

სასატი  
1852

N6 2023

პოეზია

გურამ ჯახუტაშვილი  
მაია მინდელი

პროზა

ალექსანდრე ჯაქიაშვილი  
გურო დავითიძე

ხრიტიანა-ესეისტინა

მაია ჯაღიაშვილი – გიორგი  
ჯაჭარავას რომანზე  
სოფო ნულაია – ლევან ბერიძის  
რომანზე

გურამ ჯახუტაშვილი



# ცისკარი

№6 // 2023

ლიტერატურული – საზოგადოებრივი  
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი  
ირაკლი უშვერიძე

---

ჟურნალი გამოდის  
საქართველოს კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს  
პარლამენტის, სპორტისა  
და ახალგაზრდობის  
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com  
<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

# სარჩევი

<b>პოეზია</b>		<b>საყმაწვილო სააითხაპი</b>	
<b>გურამ ჯახუტაშვილი</b>	3	<b>ნუგზარ გიგაური</b>	61
<b>მაია მინდელი</b>	9	იგაფ-არაკები	
<b>პროზა</b>		<b>ახალი თარგმანები</b>	
<b>ალექსანდრე კაკიაშვილი</b>	14	<b>რობერტ ფოქსი</b>	66
მესაათე		იგაფი	
აჩრდილი იორკშირის საგრაფოში		ინგლისურიდან თარგმნა <b>მაია ბოლაშვილმა</b>	
<b>გურო დავითლიძე</b>	25	<b>ნილ გეიმანი</b>	69
კუნტრუმა		კაჟიანი გბის მოგონებები	
<b>ხრიბიხა-ესეისტიხა</b>		ინგლისურიდან თარგმნა <b>ზურაბ სონლულაშვილმა</b>	
<b>მაია ჯალიაშვილი</b>	36	<b>ვლადიმერ ნაბოკოვი</b>	72
რომანი-აპოკრიფი		ნიშნები და სიმბოლოები	
<b>სოფიო წულაია</b>	45	თარგმნა <b>ზურაბ სონლულაშვილმა</b>	
ლევან ბერიძის რომანი „ფორა“			
<b>დრამატურგია</b>			
<b>გურამ მგელაძე</b>	50		
ფერფლისფერი ფანტელეების უდაბნო			

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-  
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-  
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

## გურამ ჯახუტაშვილი



### ძალლი და ხაზი

●  
 ეძინა ქალაქს – რკინის ავანგარდს,  
 არ ყეფდა ძალლი. დუმდა ბაზარი.  
 თოვდა. ყინულზე ბენვის დავარდნა,  
 ისმოდა ნემსის დავარდნასავით.  
 არ ყეფდა ძალლი, თუმცა თათებით,  
 მიზიარებდა თავის საყეფარს,  
 სახლთან ღამესაც ერთად ვათევედით,  
 ერთად ვუცდიდით კარის გაღებას.

თოვდა. აპრილის იყო დამლევი.  
 ჩვენ ჩამომსხდარნი მალალ კიბესთან,  
 თვალს ვაყოლებდით უცნობ გამვლელებს,  
 ულაპარაკოდ ვინც მოგვიბეზრა.  
 ვიმახსოვრებდით, ვინც არ ინება,  
 შემოგებება ძველი ეზოდან,  
 თოვდა. ვითმენდით. ეს მოთმინება  
 გვსურდა, დილამდე გამოგვეზოგა.

●  
 მახსოვს, სახლამდე როგორ ვიარეთ,  
 როგორ შევეყვით ბოლო მოსახვევს,  
 არც საკვამური გვეცნო ქვიანი,  
 არც ბორდიულზე მდგარი მოსახლე.  
 ქალაქის ბოქლომს თავი ავხადეთ,

ობობის ქსელში გადავიბლანდეთ,  
შუქი ურტყამდა კედლის ნახატზე  
წარმოდგენილი კაცის იმპლანტებს.

არსად ისმოდა ქუჩის ავ-კარგი,  
ალარც ნაცნობი ჩანდა ბექობი,  
თითქოს ბავშვობის სახლი დავკარგეთ,  
თითქოს დავკარგეთ სახლი ლეკვობის.  
დავკარგეთ ქუჩა, სადაც პირველად,  
ერთად ვიგრძენით ძალა იმედის,  
წარმოვიდგინეთ თავი ფრინველად,  
როცა გაფრენის ზღვარზე მივედით.

დავკარგეთ ეზო, სადაც გვიყვარდა,  
სადაც ვჩხუბობდით სკვერის მუხებთან,  
მე – გოგოს გამო, ძალღი ტიხართან  
მოახლოვებულ მგზავრებს უყეფდა.  
სადაც ჩავკიდეთ მიზნებს მიზნები,  
თვალეები – თვალებს, თათებს – ხელები,  
ფსკერის თევზების სიცილს ვისმენდით,  
ჩურჩულს ვიგებდით ჭიანჭველების.

ავაგებინეთ სახლი მეფიცრეს,  
ჯავშანის ნაცვლად, სითბო ავისხით,  
ჯერ გაუცნობელ ღმერთებს შევფიცეთ,  
არ დაგვეძახა თეთრი – შავისთვის.  
ერთად ვითმენდით ყველა მოლოდინს,  
ერთად ვამბობდით, რომ ამ ნაცრისფერ  
სამყაროს კარნახს არ ავყოლოდით,  
არც ტკივილისკენ, არც სიმკაცრისკენ.



ეძინა ქალაქს – რკინის ავანგარდს.  
ჩვენ, მშობლიური ქუჩის მდგმურები,  
განვიხილავდით სიზმრებს მავანთა,  
გაუმჟღავნებელ ფიქრს ვუყურებდით.  
გვიმზერდა მთვარის გრილი დიოდი,  
შუქნიშნის რკალი, ქუჩის სტელაჟი,  
თითქოს თავს ვხრიდით და გავდიოდით,  
გამავთეთრებულ ცისარტყელაში.

არ ყეფდა ძალღი, მხოლოდ უმზერდა,  
უძირო ჩიხში ჩამდგარ ქარავანს,  
სადღაც სიტყვებით და მაუზერით,  
ვიღაც კვდებოდა მიუქარავად.  
ვიდექით ერთად – ხელებგამლილი,

ჩამონერლი გრძნობის დეპოსთან  
და შემთხვევითი ლამის ბავშვივით,  
არყოფნის ეჭვი იბადებოდა.

ჩანაწერები.  
პანდემია 2020

●  
ამომაცოცდა მხარზე ობობა,  
ქსელდანვეტილი – ნერვებდანყვეტილს,  
ეტყობა, იგრძნო უმეგობრობა,  
უსინათლობა იგრძნო ობობამ  
და ახლა უფრო მალლა მობობლავს,  
უფრო გამყინავ ხმაზე დამცინის,  
დამცინის, როგორც ჯანმრთელ ავადმყოფს  
და ცდილობს, მხარზე კბილიც დამატყოს,  
როგორც მუდმივი კვალი ვაქცინის.

თაბარავალი.

ამოვისუნთქო მინდა ნაფაზი...  
ვხატავ მინაზე ორთქლის ფიგურებს,  
ჩამოყრდნობილი ფანჯრის რაფაზე,  
წინა სახლიდან ვილაც მიყურებს.  
ისიც თითებით ხაზავს ჩემსავით,  
დაუსრულებელ ფიქრის ნაწილებს,  
როგორც თანმხლები და ნათესავი,  
შორიდან თვალებს ველარ მაცილებს.

ვინყებ. აგრძელებს აბზაცს. წრიული  
მოძრაობებით ზრახვებს მირითმავს,  
სურვილს მირითმავს აკვარიუმში,  
დაახამხამოს თვალი ქვირითმა.  
მირითმავს განცდას – სუსხი თებერვლის  
რაფაზე დავდო და გრილ ლოყაზე,  
თბილი პეშვიდან, სულისშებერვით  
გამოგზავნილი კოცნა მოვხაზო.

დავხატო კაცი და არ მომბეზრდეს,  
ნახატს იმედის მზერით ვუყურო,  
როგორ დაიწყებს ციმციმს მოლბერტზე  
ორი ჩამქრალი თვალის ფუღურო,  
მჯეროდეს თითქმის და უტყუარად.  
როცა შევხვდები ამ კაცს – მიღემილს,  
შუქი ორივე თვალში თუ არა,  
მართლაც დამხვდება რომელიმეში.

მარბი.

გარეთ ომია. ყველა ფანჯრიდან  
ომის ნაცნობი ხმები შემოდის,  
გზაზე ექიმი გარბის ჩემოდნით,  
ხმას ვერ მიანვდენ, თუკი დაგჭირდა.  
თუმცა ირბინოს, იქნებ შენობით  
იცნოს ქუჩა და შენვდეს მომაკვდავს,  
ეს მე ვიკითხო თუ უშენობით  
გამონვეული ცრემლი მომადგა.

გარეთ, ომია. ბევრჯერ ჩავლილი.  
ომი უთოფო და უვაზნებო,  
მიიზღაზნება ფიქრი კვამლივით,  
და კვამლიც სადღაც მიიზღაზნება.  
ალარც მინაა, არც კვირტებია,  
გადამფრენებიც სხედან ამწეზე,  
კენკავენ წვიმის თხევად ნამცეცებს  
და შიშით ალარც მაკვირდებიან.

ვამხნევებ ჩიტებს ძველი გიტარით,  
არ ვცდილობ, თვალი რომ ავარიდო,  
მაგრამ ჩიტისთვის ნათქვამ ბარიტონს  
არა აქვს ძალა არავითარი.  
ფანჯრებიც ყველა მხარეს ჩარაზეს,  
ყველგან გაჩერდა დროის მრიცხველი,  
მე კი არ ვიცი, ამ ქვეყანაზე,  
მართლა ვცხოვრობ თუ ვიგულისხმები.

აპრილი.

გარეთ ომია. ვითომ ინათა,  
ვითომ ჩამოძვრა გვერდი კალენდარს,  
ვინც მილალატა, ისევ იმათმა,  
შემომინგრიეს კარი გარედან.  
შემოაღწია ჩემს ოთახამდეც,  
გზააბნეული მგზავრის ლილინმა,  
თითქოს ყველაფერს ფარდა ახადეს  
და მამლის ნაცვლად ენამ იყივლა.

ვითომ ავდექი, მაგრამ მაშინვე  
ჩამოვეყრდენი შუშის მაგიდას.  
თითქოს მესროლეს იარაღიდან  
და ტკივილს უნდა ვგრძნობდე საშინელს,  
მე კი, კორპუსებს ვუმზერ ახოვნებს,  
ვცდილობ, გავალღვო ჩემი მიმიკა,  
ნაკვთი, რომელიც ყინულს მიმიგავს,  
და წამოსასვლელ ცრემლებს აყოვნებს.

გარეთ ანთებენ კედლის ჩირაღდნებს,  
 კვარტალს აბრუებს სუნი სამოვრის,  
 როგორც ავლილი ვერ დაგინახეს,  
 ვერ შეგამჩნევენ უკან ჩამოვლილს,  
 გარეთ ომია, შუქით ივსება,  
 ჩემი ოთახის თითო გამზირი,  
 სევდით ივსება ხმა და ღირსება  
 და გულის კარიც ტყდება ნავსივით.

მანისი.

გარეთ ომია და ჩემს მუხლებთან,  
 არარსებული ძალის მოვიდა,  
 ფრთხილად მიყვება და მიუღლებდა –  
 როგორ ამოძვრა სიმარტოვიდან.  
 თითქოს იცოდა, რომ ვისწრაფვოდი,  
 ოდესმე სახლში ძალსაც ეყვება,  
 მეგრძნო მეგობრის თბილი შეხება,  
 თათი მჭეროდა, როგორც ნაფოტი,

აი, მოვიდა კუდის ქიციანით,  
 უცებ ამიხდა თითქოს ვედრება  
 და გამეცინა და ამ კედლებმაც,  
 დაიმახსოვრეს ჩემი სიცილი.  
 და შიში იგრძნო ყველა ტიხარმა  
 და უცებ გადნა ძალის აურაც,  
 თითქოს ვილაცამ გადაიყვარა  
 ან საიდუმლო გაუხმაურა.

და ძალისც გადნა და ოთახები  
 შემრჩა დაცლილი და გალოკილი,  
 ჩამოიჭიმნენ დაბლა ჭალები  
 სკამგამოცლილი კაცის თოკივით,  
 იატაკები გახდნენ ჭერები  
 და მეც დავინწყე ჩემში გახიზვნა,  
 მერე შეხებამ გამომაფხიზლა  
 ვიდრე არყოფნას დავიჯერებდი...

ამოვისუნთქო მინდა ნაფაზი...  
 ვხატავ მინაზე ორთქლის ფიგურებს.  
 ჩამოყრდნობილი ფანჯრის რაფაზე,  
 წინა სახლიდან ვილაც მიყურებს.

●  
 მე უშენობას  
 ვხატავდი ადრე –  
 შესაბამისად,  
 სიცარიელე იყო ნახატი.




ნაკვეთებს,  
 შუქნიშნებს  
 ან ქუჩის კადრებს,  
 ნახატის შიგნით ვერსად ნახავდი.

სიცარიელე იყო ნახატი,  
 უსასრულობის აუქციონზე  
 გამოტანილი – არყოფნის ფასად.



ის ამბავია,  
 ცეცხლმოკიდებულ სახლში რომ შევარდები,  
 რომელი სახლიც ცარიელია.  
 არავინ არის გადასარჩენი.  
 არავინ გიხმობს დასახმარებლად,  
 მაგრამ შერბიხარ.  
 ფიქრობ, რომ ვინმეს გადაანყდები,  
 ვინმე დაგხვდება – დაბნეული და მობუზული,  
 მაგრამ ყოველი ნაბიჯის შემდეგ,  
 უფრო მატულობს სიცარიელე.  
 ვერ ხვდები,  
 როგორ შეიძლება იწვოდეს სახლი,  
 ასე უსახელოდ,  
 ასე თავისთვის,  
 მაგრამ ეს შენ ვერ ხვდები,  
 სახლის პატრონი გარეთ არის,  
 ჩამომჯდარი გულგრილობის მაღალ კოცონთან  
 და ელოდება შენი ნებით როდის გამოხვალ,  
 თუკი გამოხვალ, რა თქმა უნდა.



## მაია მინდელი



დავიძინო და სხვა სიზმარში გამომეღვიძოს –  
 სადმე, გაფრენის წინა წამში, ვარდნის მიჯნაზე.  
 ეჭვის შეხება მიაღებდეს ყველა ნეირონს  
 და არ ვიცოდე, მიყვარდე თუ აღარ მიყვარდე.  
 ვერ ვბრუნდებოდე ვერც ბენვის და ვერც რკინის ხილით,  
 გზას მიფარავდეს ხსოვნის ტალღა. სიზმრის მდებლობე  
 იდგე ფიქრივით საიმედო, მკვდარივით მშვიდი,  
 გეკითხებოდე – მჯეროდე თუ აღარ მჯეროდე.  
 გავიღვიძო და შორი იყოს ჯერაც მინამდე.  
 ჩემი შიმშილით, ჩემი შიშით, სულ ორიოდე  
 ფერიტლა ვენტო. შენ კი არა, ჩემს თავს ვკიცხავდე,  
 ვეკითხებოდე – მტკიოდე თუ აღარ მტკიოდე.  
 დავიძინო და იმ სიზმარში გამომეღვიძოს,  
 სადაც არავინ აღარ მიცდის, აღარ მდიოდეს  
 გულიდან ლავა. სულაც, ლავა ვიყო მე თვითონ,  
 შიშიც მე ვიყო – აღარაფრის არ მეშინოდეს.  
 დავიძინო და გამეღვიძოს სხვა დასასრულით –  
 ვდედამინობდე, ვმთობდე, ვწყლობდე, ყვავილ-ვჭრელობდე,  
 და ვერ ვხვდებოდე – სიყვარულის მკივან არულით  
 ვინამლებოდე თუ არ უნდა ვინამლებოდე.  
 დავიძინო და შენს სიზმარში გამომეღვიძოს  
 და დაცემამდე ვერ ვასწრებდე დათვლას სამამდე.  
 სულ ერთი წამით შენც მე ვიყო და მეც მე ვიყო  
 და არ ვიცოდე უნდა მყავდე თუ აღარ მყავდე.  
 დავიძინო და ბედნიერს რომ გამომეღვიძოს...

●  
 იქ მე არასდროს მილოცია – ვერ მოვასწარი,  
 იქ აღარავინ მელოდება – ყველა აქ არი.  
 მხოლოდ სიზმრებში ვხედავ, ქარს რომ გაუნენია  
 სოხუმის ზღვასთან მაგნოლიის თეთრი თავშალი.  
 იქ აღარავინ... აქ კი – ფოტო, ფოტოზე – სახლი,  
 სახლზე, ნანატრი მისამართით – ცისფერი აბრა,  
 ციცქნა ნაგლეჯი მაგნოლიის ქათქათა თავშლის,  
 სევდა, იმ ქუჩის ძიებაში რომ დაბინავდა.  
 დარდიც ბერდება, ჩამომარცვლა დრომ სანუხარი,  
 უკვე ჩაჩუმდა, მოღრიალე, ნარსულში, სევდა –  
 მაგნოლიები ხომ არ გახმნენ?  
 ვინმე თუ არის  
 იქ... გადარჩენილ მაგნოლიებს ვინ უვლის ნეტა?!

მე შენ მიყვარდი...

მე შენ მიყვარდი სიყვარულით ათასი ქალის,  
 მე შენ მიყვარდი ისე მწველად, თითქმის ფერფლამდე...  
 გამოგადევნე სტროფებ-მარდი ლექსების ჯარი,  
 თუმცა, ვერც ერთმა მოაღწია მაინც შენამდე.  
 მე შენ მიყვარდი ისე დიდხანს, ისე ნამდვილად –  
 მიწაზე ცქერით გამოვტოვე ბევრი ვარსკვლავი  
 და ჩემს ფიცრულ სულს უშენობა როცა აწვიმდა,  
 ჭერს ვერ ვხურავდი გართულებულ ჭრილობასავით.  
 ბევრმა დღემ გვერდით, ბევრმაც გულზე გადამიარა,  
 ვერ მოვუყარე თავი ფიქრებს და გზებს შენამდე.  
 დრო გავაჩერე ფორიაქით, თმენით კი არა  
 და როგორც ფასკუნჯს, ჩემი გულის ხორციტ გკვებავდი.  
 რადგან ტკივილი, ღრმა და მუნჯი, ჩვენგან ზღვებს დევნის,  
 მეც გავშრი... მაგრამ ზოგჯერ მაინც (ისე, ხანდახან),  
 როგორც განწყვეტილ სამაჯურის მძივები – ცრემლი,  
 ხელისგულეებში მიგროვდება... ახლა სადა ხარ? –  
 როცა გეძებენ ეს ლექსები მუდმივ ხმაურით  
 და ვინც შენამდე ან შენს შემდეგ მოვიდა ჩემთან –  
 ღირდნენ ერთ პნკარად ანდა ლექსის ერთ სათაურად,  
 მაგრამ არავინ – თუნდაც მარტივ, პატარა ლექსად.  
 მე შენ მიყვარდი შეუძლებლად, უპატიებლად,  
 გაუსაძლისად – შენი ხმით და შენი ხელებით...  
 ჩემს თავზე უფრო მშფოთვარემ და უფრო ძლიერმა –  
 ამოვიშენე მარტოობის ოთხი კედელი.  
 მე შენ მიყვარდი ისე მწველად, ფერფლამდე ლამის...  
 როგორი მძიმე და მტანჯველი ხუნდი დამადე,  
 ცოდვების რიგში გჩხრეკ და გეძებ დაღლილი თვალით,  
 მე ვერ გიპოვე ათ მცნებაში... – ჰოდა, გამატებ!  
 ოქტომბერია, ნავალალებ დღეებს გავურბით,  
 მუდამ ასეა, შემოდგომა გვხოცავს და გვმარხავს.  
 სანამ ზამთარი შუბლს მოადებს სარკმელს გარედან,

უნდა მიყვარდე: გუშინ თუ ხვალ, მაშინ თუ ახლა!  
 მე შენ მიყვარდი ფორიაქით უთვალავ წამის,  
 მე შენ მიყვარდი სიყვარულით ათასი ქალის...

### სიჩუმე

ამ სიჩუმესთან რას გავხდები? რას გამოვრჩები  
 ამ თვალდახუჭულ ღამეებს და კაეშნის სიპებს?  
 მოსაწყენები, ისე, როგორც ბერის ცოდვები,  
 სწრაფად გადიან დღეები და მეც ისევე ვითმენ  
 ყველა ბუმერანგს, დაბრუნებულს ჩემთან შეცდომით,  
 ოცნებისათვის კოშკის ნაცვლად წესის აგებას.  
 დროს, ჩასაფრებულ სერიულ მკვლელს, ველარ ვენდობი  
 მე – კალენდარი, წლის თორმეტი ნაიარევით.  
 ამ სიჩუმესთან რას გავხდები აღიარებით,  
 რომ აღარ შევლის არც ავე, არც ალილუია  
 სულს, ტანჯვის ბადაგჩამტკბარსა და ველარ დანმენდილს –  
 იმედის ნერგი სხვის ბაღში რომ გადაურგია.  
 ვერას გავხდები, მარტოობის კატაკომბებში  
 თუნდ ჯარისკაცი ტკივილები სანგრებს აგებდნენ  
 ან რა ფასი აქვს გამარჯვებას ომში, რომელში  
 გამარჯვებულსაც დაუნდობლად ასამართლებენ.  
 მე რას გავხდები სიჩუმესთან, რომ გადამექცა  
 უჩინარ მტრად და საგზლის აბგად, მუზად და მეგზედ,  
 სადაც ცრემლ-წყალს ვსვამ, სადაც ბოლო ჯვარიც წამექცა,  
 სადაც იმ ჯვრიდან მკარნახობენ და მაინც ვერ ვწერ...

### ჰიჯაბი

როდის მოვიდა ეს სიბრმავე, როდიდან დადგა?  
 ცხადის ქსოვილის ბოჭკოებში ვერ ატანს შუქი –  
 ამოუცნობი ბნელის ფარსი  
 ნილაბი-ფარდა  
 გყოფს სამყაროსგან. მოძრაობის ძალა ჩაუთქვი  
 სინათლის ხელებს...  
 მხოლოდ მათ ძალუძთ, შეგახვედრონ სამყაროს, მზესაც,  
 ყვავილს, მთას, ჩიტებს, უფლის ფანჯრებს – ადამიანებს.  
 არ მოითმინო – უწონობით გადამსკდარ ტერფებს  
 მიეცი ნება (სანამ მათაც დააგვიანეს)  
 გამოზარვის და გამოჟონვის, გამოელვების,  
 ან, იყოს თუნდაც ამოხეთქვა ანდა წასკდომა,  
 როგორც ნაელდარ ვარდნის შემდეგ –  
 ცხვირიდან სისხლის,  
 ან გამოხეთქვა...  
 ოღონდ, ოღონდ, ოღონდ გამოდი  
 ამ ცის ჩრდილიდან – შენი თავის მტანჯველ ჩრდილიდან,  
 ათასწლეულთა მღვრიე ქაფში ლარვად მიმქრალმა  
 გახეთქე აპკი და გამოდი ყოფის საშოდან –

გფარავს, არ ჩანხარ, გაიხადე სულზე ჰიჯაბი!  
 ამოაწოდე შენს ლურჯ ხსოვნას თეთრი ირისი –  
 დამქანცველ ჟინით,  
 არყოფნამდე ყოფნით მისული  
 მიუშვი მზერა – მარტოხელა ირმის ყვირილი,  
 გზას შეეგრაგნე შენგან – შენსკენ, განთავისუფლდი!  
 ყველა სამსჭვალ აგეყრება შიშიდან, ურწყავ  
 და მოდუდუნე მაცვლის ბუჩქთან თუ ჩაიმუხლავ..  
 როდის მოვიდა ეს სიბრმავე, როდიდან დადგა?  
 სულს – მოგონების ჩუქურთმების გულდაგულ მრანდავს  
 აუკაპინე მწუხრისფერი ჰიჯაბის კალთა.

### წმინდა თიხა

(შოვის ტრაგედია)

ნეტავ, ხე ვიყო,  
 მინა იყოს დედაჩემი,  
 ცა – მამაჩემი...  
 მინდა, ხე ვიყო,  
 თუნდაც უფოთლო,  
 მხოლოდ ფესვები  
 მქონდეს ჩაზრდილი  
 დედის წიაღში.  
 ათასი ფესვით რომ ვსუნთქავდე  
 ერთი ვარჯიდან  
 დაუჯერებლად ხანგრძლივ ტკივილს.  
 აკვნად დავწნიდი  
 ფესვებს ჩემსას,  
 რომ იმ აკვანში  
 ჩამეწვინა და დამერწია  
 ქორფა სიცოცხლე,  
 მას კი, ეფიქრა – „ნუ მეშინია,  
 მე ხომ სახლში ვარ?!“  
 მე რომ ხე ვიყო,  
 ავანდიდი ცას – მამაჩემს  
 წმინდა თიხისგან მოხედილ და  
 უცოდველ ზვარაკს.  
 ჩემი ფესვებით შევიწოვდი,  
 თუნდაც დავლევდი  
 მინის ცხელ გულზე მოთუხთუხე  
 ამ წმინდა ტალახს  
 და მთავარს – თიხას გადავარჩენდი.  
 არ მოინდომა, ხედ ვექციე –  
 ვინც ჩამიფიქრა  
 და მომზილა წმინდა თიხისგან,  
 წამიერად ვისაც ჩასთვლიმა  
 და წმინდა თიხა  
 – ჩაასვენა წმინდა ტალახში.  
 მე რომ ხე ვიყო,

ჩემს ნედლ ტანსაც აკვნად ვაქცევდი,  
ჩავიკონებდი და ლილინით გადავარწევდი  
თიხას, რომელსაც უყვარს სიცოცხლე.  
დედაჩემი კი, გვიმღერებდა  
სხვა ძილისპირულს,  
„ნუ გეშინია“-ს გვიმღერებდა  
იავნანებად.  
და დატოვებდა შიში თვალებს,  
ხელებს, სხეულებს,  
შიშს დედაჩემი ჩაყლაპავდა –  
მინა სნეული,  
სიკვდილისნინა აგონიით გარინდებული  
ერთს გულიანად იხარხარებდა –  
სიმწრით, სიცხადით,  
რომ ვერაფრად გადავიქეციოთ:  
მე ვერ ვიქეცი ხედ,  
ის – დედად, ცა – მამაჩემად,  
შიშით მოცული და აღვსილი  
როგორ დავნებდით  
მის მკაცრ განაჩენს,  
ვინც მოზილა უპირველესად,  
ელოლიავა, ეფერა და  
ბოლოს ჩაჰბერა  
სული თიხაში, წმინდა თიხაში,  
დღეს რომ ქცეულა წმინდა ლაფად,  
ტანჯვის ალაფად.  
ვისაც დედის რძე ექცა ტალახად,  
წმინდა ტალახი რძედ რომ დალია.  
ხვალ რომ ამოვა  
მოზიბინე წმინდა ბალახად  
და მის სუსტ ლერზე  
დასასვენებლად ჩამოჯდება  
ხტუნვით დაღლილი  
მწვანე კალია.

### ხარებისა

ამ დღეს მაინც...  
სხვანაირად ფორიაქობ დამფრთხალ გულში,  
სხვანაირი შუქით ათბობს სულს, ცივ ეკვდერს – ლიტანია.  
მალე მოხვალ... გაზაფხულდა...  
როგორც წინა გაზაფხულებს,  
მოაქვს მადლი ხარების და  
ისევ ისე მიხარია,  
რომ მოხვედი, რომ იყავი  
ღმერთთან – კაცი, კაცთან – ღმერთი.  
მომატარე ჩემი თავი – დაფანტული კიდით-კიდე,  
შეინყალე ჩემი სული – ეს საბრალო ბელზებელი,  
სანამ ისევ უღმერთოდ და კიდევ ერთხელ გაგყიდდე.

## ალექსანდრე კაკიაშვილი



### მესაათე

– გამარჯობა, ძია თადეოზ!  
 – ღმერთმა გაგიმარჯოს. ამ დილაუ-  
 თენია რამ შეგანუხა?  
 – პაპიჩემის დროინდელი საათი  
 მაქვს. გარდაცვალებამდე მოიხსნა  
 ცხონებულმა და მაჩუქა, თან მთხოვა,  
 რომ, როცა გარდაიცვლებოდა, საათ-  
 ზე მინა გამეტეხა და ისრები გამეჩე-  
 რებინა. მეც ავდექი და უკანასკნელი  
 თხოვნა შევეუსრულე, მაგრამ გულმა  
 ვერ მომისვენა, ძია თადეოზ. თუ შე-  
 გიძლია, რომ თვალი შეავლო და შეაკე-  
 თო. მხოლოდ ეს ნივთი შემომრჩა მის  
 სახელზე და მის მოსაგონებლად მინდა,  
 რომ ვატარო.

– აბა, ერთი მაჩვენე, შავხე-  
 დოთ. ვახ, 06:37 წუთია. გარიჟ-  
 რაჟს გარდაცვლილა ცხონებუ-  
 ლი. ეტყობა, მზეს დალოდებია  
 და მის სხივებს ზეცად აუტაც-  
 ნიათ.

– ჰაა, რას იტყვი? კიდეც  
 დათვლის წამებსა?

– ეეჰ, შვილო. დათვლის, მაშ  
 არ დათვლის? განა რა გააჩე-  
 რებს უბედურ დროსა?

– როდის გამოგიარო?

– სალამოს შემომირბინე და  
 მზად იქნება.

– მადლობა, ძია თადეოზ!

– მადლობა მერე იყოს, როცა  
 ციცკა-ცოლიკაურის ბოთლით  
 დაიმშვენებ ხელს, სამადლო-  
 ბელს აქეთ მოგახსენებ.

ვერაზე ჩემი ჯეელობისას  
 მესაათე თადეოზა ცხოვრობდა.  
 ამ ჩია მოხუცს თითქმის მთელი თბი-  
 ლისი ცნობდა და პატივსაც სცემდა.  
 ნამდვილი ქალაქის კოლორიტი იყო –  
 თბილი, გულიანი და ტკბილენიანი. მისი  
 მომდურავი კაცი მარტო თბილისში კი  
 არა, დედამინის ზურგზე არ მეგულე-  
 ბოდა. მისულს გულს არავის წყვეტდა.  
 შეეძლო თუ არ შეეძლო, ყველა ხერხს  
 მიმართავდა, რომ მუშტარი უკმაყოფი-  
 ლო არ გაეშვა.

ჰოო, ღვინოს ნამეტნავად ეტრფო-  
 და. უყვარდა სალამოჟამს, გვიან მო-  
 სულ მუშტართან ერთად თითო ჭიქის  
 აწევა და მასლაათი. კარგა გვარიანად  
 შეზარხოშებული, ბარბაც-ბარბაცით  
 მიჰყვებოდა ხოლმე ვერის აღმართს და  
 ღიღინ-ღიღინით თბილისურ ბაიათებ-

საც დაამღერებდა. განსაკუთრებულად კი ვერის ბირჟაზე შეჩერება და ბირჟაზე მდგარ ბიჭებთან ერთად იეთმ გურჯის დატირება უვსებდა გულს სპეტაკი ცრემლით და ასე, დამჭკნარ ღანვზე კურცხალგადმოგოგმანებული განაგრძობდა, ხოლმე გზას შინისკენ.

სალამოჟამს სამსახურიდან დაღლილი გამოვედი და გეზი სახლისკენ ავიღე. მხოლოდ მაშინ გამახსენდა პაპიჩემის დროინდელი საათი, როდესაც გამვლელმა საათი მკითხა. ვიცოდი, რომ ძია თადეოზი მელოდა და იმაშიც დარწმუნებული ვიყავ, რომ სალამოს მადლს – ერთ ბოთლ ციკვა-ცოლიკაურს მეტის მონდომებით ელოდებოდა. ამიტომ გზად ბაზარში შევიარე. ქორფა კიტრი-პომიდორი, ბალჩის მწვანელი, გუდის ყველი, დედას პური და ზედ მტკვრის ცოცხალიც ხელს გავაყოლე. აბა, მითხარით?! განა, ძია თადეოზის წყენინება შეიძლებოდა? განა, მის უბერებელ გულს დავადარდიანებდი და პაპიჩემის სულს შავარცხვენდი?

როგორც კი ვერის აღმართს მივადექ, მზე თითქოს ღრუბლებს მიღმა მთვარესთან საბაასოდ წასულიყო და მიტოვებული დედამინისთვის სევდიანი ბინდი, როგორც ჩვილს, გარს შემოეხვია.

შორიდანვე შევამჩნიე „ბუტკის“ წინ მჯდარი ძია თადეოზი, რომელსაც მუხლებზე იდაყვები დაეწყო და თავჩარგული ლოდინს გათამამებოდა. მივუახლოვდი თუ არა შორიდანვე შევძახე.

– ძია თადეოზ, არ მელოდი არაა? აბა, გავშალოთ სუფრა!

თქვენ მისი სახე უნდა გენახათ. მისი გაბრწყინებული თვალები. ლოდინისგან სევდის ზღვა ჩამდგარი, როგორ დაშრეტილიყო და ჩემს დანახვაზე დილის ცვარ-წამზე აკიაფებული პირველი სხივივით, როგორ აკიაფებულიყო. თითქოს, რაღაც არსაიდან მოზღვავებული სიმხნევე შეეპარა მოხუცის დრომოჭმულ უძღურებასო და მკვირცხლად წამომხტარი, არეული ნაბიჯით გზად გამომიდგა.

– ვახ, შენ კი გენაცვალე! გელოდი, მამ არ გელოდი?

– იყავ, ძია თადეოზ. მე ვერ მოვიტან მანდამდე?

– მაიცა, კაცო. მოგეხმარო მაინცა.

– ნუ ნუხდები, შენ მაგიდა მომიმზადე.

– მაგიდა რად გინდა, შვილო? რესტორანია?

– აბა, ეს სად გავშალო?

– ეე, იმ სულმნათმა პაპაშენმა არ გასწავლა, რომა მინაზე მდგარ სკამზე აი, გლეხურადა რა, რომ ყველაფერი ტკბილი და საამოა.

– მასწავლა, მასწავლა...

– ჰოდა, ძალიანაც კარგი. მაიცა, ერთი აქ დაანყე. ოჰ, ოოჰ, რა სუნია აქვს ბიჭოს!

– ძია თადეოზ, რაო ჩემმა საათმა? ხომ არ განვალა?

– არა, შვილო. აი, ნახე. მინაც გამოვუცვალე და ჩინებულად მუშაობს.

– ჰოდა, ამ ჭიქით მარჯვენას დაგილოცავ! არასოდეს ეღალატოს და მუდამ შეეძლოს შენი ხელსაქმით ადამიანის გული გაეხარებინოს.

– იხარე შვილო. შენი მარჯვენაც დამილოცნია, ჩემო ბიჭო.

ასე, ტკბილად მოსაუბრეებმა, გამოვცალე ბოთლი. ერთს, მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და, კარგა გვარიანად შეზარხოშებულებს, თავზე ისე დაგვათენდა, ვერ მივხვდით, მესაათის „ბუდრუგანაში“ დრო როგორ გაპარულიყო.

– აბა, ერთიც შამივსე. სადღეგრძელო უნდა ვთქვა.

– გისმენ, ძია თადეოზ!

– ამით შვილო, დროს გაუმარჯოს. აი, იმ დროსა, ჩვილის დაბადებისას ათვლას რომ იწყებს. გარდაცვალებისა, რომ ჩერდება და, შეჩერების მიუხედავად, მაინც აგრძელებს უსასრულოდ წამის-წამზე შემატებას. ვერც სიკვდილი და ვერავითარი ძალა, რომ ვერ აფერხებს. აი, იმ დროსა, რომელიცა რომა პაპიშენის გარდაცვალებისას ნაჩუქარ საათზე შეჩერდა და, მიუხედავად სიკვდილისა, მაინც ციფერბლატს ანიკნიკებულა. აბა, მარჯვნივ გაიხედე. აი, ისა... ერთი კაი ყმანვილი კაცის საათი იყო. ამას წინათ მომიტანეს – შეგვიკეთეო. სანყალი, უდროოდ გარ-



დაცვლილა და დროც ციფერბლატზე შეჩერებულა. ისა კიდენა, ერთი ჯეელი გოგოსი გახლავს. ისიც უბედურად გარდაცვლილა და მის საათსაც სიცოცხლის ნამები უკანასკნელად აუთვლია. დღეს კიდენა, პაპიშენის საათი მოგიტანია. ისიც, იმ ცხონებულთა საათის მსგავსად, დროს გაჯიუტებია. მე კიდენა როგორც ისინი, პაპიშენის საათიც შევაკეთე, მაგრამ მათი უკანასკნელი სიცოცხლის ათვლა, მათთან ერთად დავიწყე. იცი, შვილო? როგორც კი ნახვედი და საათიც ანიკნიკდა, თითქოს პაპაშენსა ვხედავდი, როგორ გთხოვდა, რომ საათი გაგეტეხა. შენ კიდენა მისი დასრულებული უკანასკნელი სიცოცხლის წუთები ძალად ამანიკნიკებინე. ერთი შენს გახარებასა, საათს დახედე და მითხარ – რა დროა?...

როგორც კი საათს დავხედე, წამში გამოვფხიზლდი. ცივმა ოფლმა დამასხა და უნებურად კანკალმა ამიტანა.

– რა იყო, შვილო? ხომ კარგად ხარ?

– 06:37 წუთია.

– პაპიშენის დრო ყოფლა, შვილო.

– გავტეხო?

– რად უნდა გატეხო, შე ბემურაზო?! მიწვალთან, გამიკეთებინა და ახლა უნდა გატეხო?

– მე ვერ ნავიღებ. შენ დაგიტოვებ და გააჩერე.

– აი, იმ საათების პატრონებმაც ეგრე დატოვეს. მომეცი, ღმერთს სიკვდილის უკანასკნელი წამი მესაათისთვის მიუბარებია!

– გაგაცილებ, ძია თადეოზ.

– არა, შვილო. ჩემით ნავბანცალდები. აბა, მშვიდობით!

– მშვიდობით, ძია თადეოზ!

ვერის აღმართს ბარბაც-ბარბაცით მიუყებოდა ჩია მოხუცი და გზად გულში იეთიმ გურჯს დასტიროდა:

„გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი, საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო, თორმეტი წლის გატანჯული მოვედი.“

## აჩრდილი იარაღის საგრაფოში

გადამიყოლა ლონდინის ციდან უწყვეტმა წვიმამ, ასე მეგონა, ზეცად დემონი ცრემლებს, რომ ღვრიდა, მაშინ სხეულში ნაკურთხი ცოდვა, სარეცელს იშვა და თითქოს ღამით ჩემში იუდა, იესოს ჰყიდდა.

შინაგანი სულიერი მდგომარეობა იმგვარად დაკნინებული და გაუფერულებული მქონდა, რომ არა მახარებდა რა. რატომღაც სადღაც უკვალოდ გამქრალიყო ჩემს სიღრმეში აღკვეცილი სიმხნევე და საროსკიპოში მეძავის მიერ სალოცავად დანთებულ წმინდა სათელს ჰგავდა.

არც ბრიტანული იდილით შემეკული, საღამოს ფინჯან ჩაისთან სალონური საუბრები და არც ბიგ ბენტან წელში გამოყვანილი ქოლგით ხელში სეირნობა აღარ მახარებდა. ვგრძნობდი, სული რაღაც სხვას ითხოვდა. სხვა აღმაფრენას, სხვა სიგიჟეს, სხვა სიფერადეს ტემზაზე გადებული ცისარტყელისას. ვიცოდი, რომ რაღაც აუცილებლად უნდა მომეფიქრებინა და ჩემი სულისთვის მენამლა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცოდი რა მექნა. ასე აღრეული და მტანჯველი ფიქრების ამარა ლონდონის ქუჩებს შევეკედლე, ჩემი წელში გამოყვანილი შავი ქოლგით.

არისტოკრატიული გრაციოზულობით ნაბიჯის თითოეულ მიჯნას თვალთ ვზომავდი და ქვაფენილზე ნაგებ ფილებს თითოს გამოტოვებით ვაბიჯებდი. ცოტა ხნით ტემზის ნაპირთან შევჩერდი. არ დაგიმალავთ, ვიფიქრე კიდევ. არა! ვისურვე კიდევ, ახლადშობილი ჩვილივით შიშველი ტემზის ფსკერის ნაწილი გავმხდარიყავი, მაგრამ შემეშინდა. არ ვიცი, რისი? ან რატომ? მაგრამ შიშმა ამიტანა. ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ სადღაც, გულის ბნელ კუნჭულს, კვლავ შერჩენოდა იმედი. იმედი უკანასკნელი ზიარებისა.

აფორიაქებულმა, ხელის კანკალით, სანვიმარი ლაბადის საყელო შევისწორე, წელში მედიდურად გავიმართე, ხელს კვლავ მოხდენილად წელში გამოყვანილი შავი ქოლგა ვიმშვენიე და ქვაფენილს გავუყევი.

გონებაში, მხოლოდ ერთი კითხვა ამომიტივტივდა: „ასე რომ მომხდარიყო?“ და, გეფიცებით, გოლგოთას ნატარებ ჯვრად მექცა ეს ფიქრი. ჩემი ცხოვრების არაერთი ვერსია შევთხზე ყოველი გაფიქრებისას: „ასე, რომ მომხდარიყო?“ და გული დამწყდა, რომ კვლავ ცოცხალი, სულით ნასაყდრალი გვამით დავაბიჯებდი დედამინაზე. ამ საბედისწერო ფიქრებიდან ხმამ გამომარკვია. მეცნო, მაგრამ არ მინდოდა ფიქრისთვის მეღალატა და ყური მოვიყრუე. მოვიყრუე, თუმცა ამაოდ. ხმა კვლავ ჯიუტად იმეორებდა ჩემს სახელს.

– ჰარი, ჰარი. გამარჯობა ჰარი! როგორ ხარ? რამდენი ხანია გეძახი, ძლივს გაგაგონე.

ჩემი ძველი ნაცნობი მეთიუ ანისტონი გახლდათ. საშინლად მოლაყბე და უკიდევანო ენის პატრონი, თუმცა კეთილი გული ჰქონდა. არ შეიძლება ბოდა მისგან ნაწყენი ან შეურაცხყოფილი დარჩენილიყავი. უბრალოდ, მის ბრიტანულ სულს, მხოლოდ შეუფერებელი ენის სიგრძე უშლიდა ხელს. უგზო-უკვლოდ განსწავლულიყო და აბსოლუტურად ყველა თემაში საკადრის პოლემიკასაც გაგინევდათ. მერე რა თუ უარგუმენტოდ? მისთვის მთავარი იყო, ენა არ გაეჩერებინა და ელაპარაკა. ეყფნა საბატოს კარიბჭესთან დაბმული ტერიერივით, რომლის ბედნიერებაც სულიერის დანახვა იყო, რათა მთელი წლების ნაგროვები ამბები ერთიანად დაემღერებინა. ღმერთმანი, სულ არ მსურდა ჯერ ისედაც გამოლაყბებული ტვინის მეტად გამოლაყება, ამიტომ მეთიუს ცალყბად გავუღიმე, ქოლგა თავიდან ოდნავ მოვიშორე, ნიშნად მისალმებისა. პასუხად მივუგე, რომ მეჩქარებოდა და გზა გავაგრძლე. თქვენ რა, დაიჯერეთ, რომ მეთიუ ასე იოლად დათმობდა საუბრის სურვილს?

ალბათ, არა. თუმცა, თქვენგან განსხვავებით, მე მინდოდა დამეჯერებინა, მაგრამ ვაი, რომ მწარედ შევცდი. მყისვე გამომეკიდა, გვერდით ამომიდგა და საუბარი იწყო:

– ჰარი, ჰარი. სულ ასე იცი, სულ სადღაც გარბიხარ, სულ სადღაც გეჩქარება. ადამიანს საშუალებას არ აძლევ გესაუბროს.

– მაპატიე, მეთიუ. ვწუხვარ, საჩქაროდ უნდა ნავიდე სახლში.

– კი, რა თქმა უნდა, მესმის, საჩქაროდ უნდა მიხვიდე შინ ხომ? არ არსებული მეუღლე, არ არსებული შვილი და არ არსებული ოჯახი გელოდება, არა?

არ ვიცოდი რა მეპასუხა, მეთიუს ცინიზმით სავსე, მაგრამ სამართლიან პასუხზე, ამიტომ კვლავ ჩვეულად, ცალყბად გავუღიმე.

– იცი, ჰარი, აქვე ახლოს სადღელამისო კაფეა. ურიგო არ იქნება, თუ მიკადრებ და ცოტა დროს მოპარავ ჩემთვის შენს არ არსებულ სიჩქარის მიზეზს და ფინჯან ჩაიზე ბრიტანული შემართებით ვისაუბრებთ. აბა, რას იტყვიტ სერ?

ღმერთო, რას ავიტყებ ამ ავდარში ეს არისტოკრატიული ხეტიალი?! არ ჯობდა, ისევ შინ დავტეულიყავი და ამ მარად მოსაუბრე ჰომოსაპიენსს არ გადავყროდი? ნუთუ არასოდეს ეღლება ყბა?! სხვა რა გზაა?! თავიდან ვერ ვიმორებ. ისე, ცოტა კი ცივა. აი, ჩაიზე უარს არ ვიტყვი, მეთიუს საუბრის მიუხედავად. არ მოვუსმენ, კითხვაზეც მხოლოდ თავს დავუქნევ. ვიცი, პასუხს მაინც არ დაელოდება და საუბარს არ გააცივებს. ამიტომ ილაყბოს რაც უნდა და რამდენიც უნდა. მე კი ცხელ ჩაის მივირთმევ და მეთიუს საუბრის ფონზე ჩემს ფიქრებს მივეკედლები.

– კარგი, ნავიდეთ.

– მშვენიერია, ასე არ ჯობია ჰარი? ხანდახან საჭიროა ჩვენს არარსებულ რეალობას მოვწყდეთ და დრო ადამიანებსაც დავუთმოთ. გპირდები, თავს არ შეგანწყენ ბევრი საუბრით, უბრალოდ ჩაი მივირთვით, ცოტა ვისაუბროთ. იცი, ჰარი, რა ამბებია იორკშირში?

– არც ახლა საუბრობ ბევრს ხომ?

კაფემდე მაინც მივიდეთ.

– უკაცრავად, გავჩუმდები. გაჩუმებაზე გამახსენდა. ეს, რომ არ მოგიყვე, არ შეიძლება! დედა ყოველთვის ბევრს საუბრობდა და ამის გამო მამა მუდამ ბრაზობდა. ეჰ, ღმერთმა აცხონოს მამაჩემი. ჩემს დაბადებამდე გარდაცვლილა.

– ცრუობ, მეთიუ.

– ღმერთმანი! ჰარი!

– კი არ გარდაცვლილა, არამედ თავს უშველა და გაუთავებელ საუბარს გაექცა. ხოდა, თუ არ გინდა კაფემდე სანამ მივალთ, მეც მამაშენივით თავს ვუშველო, გთხოვ, დამინდე.

– სულ გავჩუმდები, ხმას არ ამოვიღებ. ხომ ხედავ ჩუმი ვარ, არაფერს გიყვები, არ ვსაუბრობ, არც იმას მოგიყვები იორკშირში რა ხდება. აი, ჩუმი ვარ. ხომ ვასრულებ პირობას?

– მეთიუ!!!

– ანუ სულ გავჩუმდე?

– არაა, ჩასუნთქვიდან ამოსუნთქვამდე.

– ჰარი, ეგ როგორ? ვცადე, მაგრამ არ გამომდის.

– ღმერთო... მეთიუ, რა უცნაური ხარ!

– შენ კიდევ დესპოტი! კარგია, რომ ინგლისელი ხარ, თორემ ვიფიქრებდი შოტლანდიური ფესვების ზეგავლენის ქვეშა-მეთქი. ჰარი, ისე შოტლანდიური სისხლი ხომ არ გაქვს?

– არა!

– უცნაურია... კარგი. აი, კაფეც. გთხოვთ, თქვენ შემდეგ გეთაყვა.

– მადლობა.

პატარა, მყუდრო კაფე გახლდათ, ნამდვილად ეტყობოდა, რომ ახლად გახსნილი იყო, რადგან ინტერიერს თუ შეავლებდი თვალს, აშკარად იგრძნობდი მზრუნველი პატრონის სულისკვეთებას. შესვლისთანავე შემოგვეგება ახალგაზრდა გოგონა. პლედი და ქოლგა ჩამომართვა და იქვე, სტუმრებისთვის განკუთვნილ საკიდზე, ფრთხილად ჩამოკიდა. ჩვენ კი კაფეში განმარტოვებულად მდგარ მაგიდას მივუსხედით. ეს ადგილი კი მეთიუმ საგანგებოდ შეარჩია, ალბათ, იმიტომ, რომ სალაცხოდ საუკეთესო

არეალი იყო. ხელს არავინ შეუშლიდა და თავს უფლებას მისცემდა, დაუსრულებლად, კბილების თანწყობითა და ენის სარსალით, ყბის ძვალი ემოძრაებინა. მიმტანიც მყისვე მოგვადგა.

– გამაჯობათ, რას ინებებთ?

– გამარჯობა, ჩაიზე გეახლეთ, გეთაყვა.

– კეთილი, შემოძლია ჩვენი საფირმო პუდინგი შემოგთავაზოთ. უნაზესი ფაფუკი ცომით და ვაშლის შიგთავსით.

– მადლობა, მე არ მინდა!

– უნდა, უნდა. ორი ჩაი და პუდინგი, გეთაყვა.

– მეთიუ!

– ჰარი! ორი ჩაი და პუდინგი!

– რა დავაშავე?!

– ეხლავე მოგართმევთ.

– აბა, ჰარი, მომიყვი შენზე. დიდი ხანია არ მინახიხარ.

– არაფერია მოსაყოლი. ყველაფერი ჩვეულად და ძველებურადაა.

– ჰმ, რა უნტერესო ადამიანი ხარ, ჰარი, კაცი სიახლეს ვერ გაიგებს შენზე. სიახლეზე გამახსენდა. „ნიუ-იორკ თაიმსში“ სტატია წავიკითხე. გაცუებული დავრჩი. არა, მე კი არ მჯერა მსგავსი ზღაპრების, მაგრამ, მსურს თუ არა, მაინც უნდა დავიჯერო.

– თქვენი ჩაი და ესეც პუდინგი. გაამოთ, სერ!

– ეს გასამრჯელო, მადლობა და დაგტოვე თუ შეიძლება. ვსაუბრობ!

– ჰო, ჰო... ხელს უშლით, გოგონა, მნიშვნელოვან თემას განიხილავს.

– იცინე, იცინე, მაგრამ იორკშირში რომ ცხოვრობდე, მერნმუნე, მაგ სიცილს შიშად შეგიცვლიდა ის წყეული მოჩვენება.

ღმერთოო, ახლა კი მივხვდი, რომ ჩემი საქმე წასულიყო. ამიტომ არ აღიარებული პუდინგი წინ მოვინიე და ძალად დაგემოვნებას შევუდექი. მერჩინა ვაშლის პუდინგი მეჭამა, ვიდრე მეთიუს ამბისთვის მესმინა.

– ჰო რას ვამბობდი?

– აღნიშნავდი, რომ გეჩქარებოდა, ნუხდი, უნდა ნავიდე სასწრაფოდო.

– ჰარი!

– ვიხუმრე...  
 – ჰო, გამახსენდა!  
 – მეშველა!  
 – ყურადღებით მისმინე! თურმე იორკში, უიტიზის სააბატოში, ერთ-ერთ სახლში წარმოუდგენელი ამბავი ხდება. ყოველ ღამით, საათის 3-ზე, სახლის მეორე სართულზე ოთახიდან პიანინოს დაკვრის ხმა ისმის. სახლის პატრონი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ეს ქალის მოჩვენებაა, რომელიც ერთი და იმავე დროს კორიდორში არსაიდან ჩნდება, ოთახში შედის, პიანინოს უკრავს და მერე უკვალოდ ქრებაო. არა, მე კი არ მჯერა, მაგრამ თუკი „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, გამოდის, რომ სარწმუნოა.

– კარგი, რა მეთიუ. ყველაფერი სისულელე შენ როგორ უნდა ნაიკითხო?  
 – არ ვიცი, არ ვიცი. მხოლოდ ერთი სოფლის მკვიდრის აზრი რომ იყოს, ვიფიქრებდი, სისულელეა-მეთქი, მაგრამ სარწმუნო პრესაც კი ადასტურებს, რომ ის მართლაც ჩნდება – ახალგაზრდა ქალიშვილის მოჩვენება, რომელიც ძველ გოთურ სტილში ნაკეთებ პიანინოსთან მჯდომი უკრავს. მოდი და, ნუ დაიჯერებ პრესის სიტყვას.

– ჩაი მეთიუ, ჩაიი!  
 – უი, ჩაი გაციებულა.  
 – ნეტავ რატომ?  
 – ხო, ჰარი. მიდი, მითხარი ბევრ ლაპარაკში გაცივდაო!  
 – უკვე გავიფიქრე, შენ კი მიხვდი და აღნიშვნაც დამასწარი.  
 – ეჰ, ჰარი...  
 – დროა წავიდე, მეთიუ. არ მიწყინო. გამიხარდა შენი ნახვა და მადლობა გამასპინძლებისთვის. შეხვედრამდე.  
 – ასე მალე? რა გაენყობა, შეხვედრამდე, ჰარი.

მეთიუს გამოვემშვიდობე, საკიდიდან პლედის და ქოლგის ჩამოხსნა კაფის დიასახლისს დავასწარი და ჩემს უმისამართოდ სავალ გზას დავადექი, ან უკვე შექნილი ფიქრით – იორკში, უიტიზის სააბატო, ქალის მოჩვენება... ოხ, მეთიუ! ჩემს გონებას კიდევ ეს უნდოდა საჭირველად?! სახლამდე მხოლოდ ეს სამი ფრაზა არ მასვენებდა.

თითქოსდა, რაღაც უცნაურ კავშირს ვხედავდი სულიერ სამყაროსა და მისტიკურ რეალობას შორის.

შინ მისულმა შხაპი მივიღე და საძინებლისკენ გავემართე. საშინლად დაღლილი გახლდით, თითქოსდა მთელი დღე ლონდონის ცახერლის ფაბრიკაში, დღიური გასამრჯელოსთვის ფიზიკურად მემუშავა. არადა, მთელი დღე უაზრო ფიქრსა და უნიათო მთქნარებაში გავატარე. მიუხედავად დაღლილობისა, ძილი ვერ გავიკარე, მხოლოდ მეთიუს ნახსენები ის სამი ფრაზა მახსენდებოდა...

მოულოდნელად გონება გამინათდა! სადღაც, ფიქრს მიღმა, იქ, სადაც ცნობიერი გონსანიერზე ორსულობდა, უძილო ღამეს უშობელი აზრი იშვა! ეს ხომ ის სხვა რაღაცაა, რასაც სული მთხოვდა?! სხვა აღმაფრენა! სხვა სიგიჟე! სხვა სიფერადე, ტემზაზე ხიდად გადებული ცისარტყელისა! ღმერთო, რა კარგია, რომ მოლაყებ მეთიუს გადავეყარე! სასწრაფოდ წამოვხტი სანოლიდან, კვლავ სამოსი და ჩემი სანვიმარი ლაბადა მოვირგე, ხელში ჩემი შავი ქოლგა მოვიმარჯვე და ქუჩაში გამოვედი. პირველივე შემხვედრი ტაქსი გავაჩერე და შურდულივით შევქანდი ავტომობილის სალონში.

– გამარჯობა, სერ.  
 – გამარჯობა.  
 – საით?  
 – იორკში. უიტიზის სააბატოში.  
 – კეთილი.  
 გზა ლონდონიდან იორკშირამდე საკმაოდ შორი და დამღლეი იყო. ამიტომ ვარჩიე, რომ დამეძინა. კომფორტულად მოვენყვე, პლედი ოთხად მოვკეცე და თავქვემ სასთუმლად ვაქციე.

– სერ, სეერ... გაიღვიძეთ, გეთაყვა. უკვე მოვედით. ესეც უიტიზის სააბატო. ისე, არ შემეძლია არ გკითხოთ. ამ ღვთისგან მივიწყებულ ალაგს რა დაგრჩენიათ, რომ ასე საჩქაროდ გამოემგზავრეთ?

– იმედი.  
 მძლოლმა გაკვირვებით შემომხედა. ალბათ, გაიფიქრა კიდევ, რომ შემოღლილი ვიყავ. ალბათ, გიჟადაც შემრაცხა

და გონებაში ინსპირაციად მოვლენილი ახალი ისტორიაც შეთხზა ერთ შემოქმედებულ მგზავრზე, რომელიც შუა ღამით ლონდონიდან იორკშირში, უიტბის სააბატოში ჩაიყვანა, თუმცა, მიუხედავად ამისა, კრინტი არ დაუძრავს.

- რამდენი მოგართვათ, გეთაყვა?
- 86 ფუნტი და 36 შილინგი, სერ.
- ინებეთ.
- ნახვამდის, სერ.
- ნახვამდის.

ძველი სააბატოს ტაძარი თითქმის ნანგრევებად ქცეულიყო. ერთ დროს დიდებული, დროის მარადიულ დინებაში ნებით ჩამხვრჩალიყო და ჟამთა სვლის სიმკაცრე, ჩამოშლილ სხეულზე დასტყობოდა. ამ გაპარტახებულ საუფლოს კი მცველად მარტოსული მოხუცი აბატი, ნოელი მისდგომოდა და, მიუხედავად რეალობისგან გამონვეული სიდუხჭირისა, უქონლობისა თუ უუნარობისა, მაინც, უწინდელი რწმენითა და უფლისმიერი სიყვარულით მოსილი, თავს ევლებოდა. ნანგრევებად ქცეული ტაძრის ახლოს, ვერხვის ხის ტოტების ქვეშ სახელდახელოდ შეკონინებული ფიცრული აეგო კელიად და სიმარტოვესთან ერთად უფლისთვის მლოცველი, ბედისწერის სასრულს მორჩილად ელოდა. ჩემი მისვლა შეუმჩნეველად არ დარჩენია აბატი ნოელს. გაკვირვებით და სიხარულით აღსავსე ჩემკენ გამოემშურა. ფიცრულში მიმიპატიჟა და სოფლად, ველზე ნადედოფლარი, სიყვარულის მარჩიელი, გვირილის ჩაით გამიმასპინძლდა.

- ამ ქვეყნის დასალიერს რამ მოგიყვანათ, ყმანვილო?
- უცნაურია, მაგრამ არ ვიცი, როგორ აგისნათ.
- მგონი, ვხვდები. თქვენ, ალბათ, ჩვენი მოჩვენების ამბით დაინტერესდით და აქეთ გამოემშურეთ, რათა ურწმუნო თომას ეხილა სინამდვილე, მკვდრეთით აღმდგარი უფლისა!
- მართალს ბრძანებთ. ხომ ვერ მისანავლით, სად ვიპოვო ის სახლი?
- რა თქმა უნდა! იცით? შიშით შეწუხებულმა პატრონმა სახლის გასაღები მე დამიტოვა, თავად კი გაურკვეველი

დროით ნიუკასლს გაემგზავრა. გული მიგრძნობს, რომ აღარ დაბრუნდება. ეჰ, სამწუხაროა. თუ ინებებთ, გასაღებს მოგართმევთ და შეგიძლიათ დარჩეთ რამდენ ხანსაც მოისურვებთ, ოღონდ დამპირდით, რომ არაფერს დააზიანებთ! განსაკუთრებით საკუთარ თავს!

- გპირდებით.
- კეთილი, მაშ გავეშუროთ...

აბატი ნოელის ნავსაყუდელი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული. მოხუც აბატს კი ამხელა გზაზე ფეხით სიარული უკვე აღარ შეეძლო, ამიტომ სოფლის მოსახლეობას ნოელისთვის ეტლი და ცხენი შეეძინა და აბატისთვის უბოძებია. დროის ქარცეცხლში გამობრძმედილი დაკოჟირილი ხელებით შეკაზმა თავისი მარტო ცალი ცხენი, სახელად „ამბერი“ და ეტლს შეუხიდა. გზად უცნაური განცდა დამეუფლა. ასე მეგონა, შუა საუკუნეების ინგლისელი რაინდი ვიყავ და მეფე არტურის საახლებლად კამელოტს მივიჩქაროდი. თქვენ წარმოიდგინით, იმდენად ვიქციე რეალობად, ეს ილუზიური მოცემულობა, რომ უნებურად ეტლზე მჯდომმა ხმამალა ნამოვიყვირე:

- დიდება, მეფე არტურს!!! დიდება, კამელოტს!!!

შეცბუნებულმა აბატმა ეჭვით გამომხედა. დარცხვენილმა და სახელწინილმა ვიყურე. გონებიდან ფიქრთა უკუგდება ვინყე და რეალობას დავჯერდი. უთქმელად და უენოდ განვევლეთ გზა. ერთ წამს ისიც კი ვინატრე, რომ მეთიუ გვერდით მყოლოდა. მერე და რა რიგ მოუხდებოდა მეთიუ ამ გაუსაძლის სიჩუმეს. რარიგ, აახმაურებდა მშვიდად მიძინებულ უენობას და როგორი შემართებით მოჰყვებოდა ამა ქვეყნის ამბებს, თუმცა უმალ მივხვდი, რომ ამ უენობის დიდებულება სწორედ, რომ უთქმელ სიტყვათა თანწყობა გახლდათ. ამიტომ მეთიუს, ჩემ გვერდით ეტლში ლაყაფი დავივინყე და კვლავ სიჩუმის მანტიით მოსილ წუთებს დავჯერდი.

შორს, სადღაც, ცისა და მიწის შეუღლებასთან, სოფელიც გამოჩნდა.

აბატ ნოელს, შემართება და სიმხნევე ემატა და ამბერს ყიჟინით შეუტია.

საოცარი ალაგი გახლდათ. უმშვენიერესი ბუნებით, სოფლის კიდესთან უღრანი ტყით და ბავშვობისდროინდელი მოგონებებით აღსავსე.

– ჰოუ, ჰოოუ, ამბერ!!! აი, მოვედით ყმანვილო. ეს სახლია, წამოდი შევიდეთ.

რკინის ალაყაფი ღრჭიალით შევალეთ და ეზოში შევედით. ირგვლივ ყველაფერი მიტოვებული და უპატრონოდ მიგდებული იყო. ეზო საესე გახლდათ გაუვალი ეკალ-ბარდებითა და ქვაფენილზე აღმოცენებული სარეველა ბალახით. ეზოში მდგარ ხეებსაც რატომღაც სიმარტოვის უმონყალო ხელი დასტყობოდათ და ღრმა ფიქრს მინდობილნი სნეულებით ჩამომხმარიყვნენ. ეზოს შუაგულს, ძველი ორსართულიანი ხის სახლი იდგა. მიტოვებული და ადამიანთაგან მივიწყებული ძველი ნავსაყუდელი. აბატმა, კარს გასაღები მოარგო და შინ შევედით. ყველაფერი მტვერს მოეცვა, სუნიც კი სიძველისა იდგა. სევდას მოჰგვრიდათ უადამინოდ მიტოვებული ხის კედლები, თითქოს ცრემლად დაღვრილნი და დარდით სავსენი უპატრონობას სჩიოდნენ.

– აბა, ყმანვილო. მე დაგტოვებ. აი, გასაღები და იცოდე, პირობა არ დაარღვიო. ჰო, მართლა. რა გქვია, ყმანვილო? მე ხომ შენი სახელიც არ ვიცი?!...

– ჰარი, აბატო.

– კეთილი, მე კი აბატი ნოელი. ჰარი, იცოდე, თუკი რაიმე დაგჭირდეს, სააბატოს მესტუმრე.

– კეთილი.

– მშვიდობით, ჰარი.

– მშვიდობით, აბატო ნოელ.

სარკმლიდან გავცქეროდი, როგორ ტოვებდა აბატის ეტლი სოფელს. როგორ მიიმალა მკვირცხლი ამბერი ცისა და მიწის საუღლოს მიღმა და მზიან დარს ნახვერდები ლონდონის ნისლივით როგორ გაუჩინარდა. აბატის გაცილებისთანავე სახლის დალაგებას მივყე ხელი. ყველა სარკმელი გამოვალე და შინ სოფლის საუცხოო მიწის სურნელება ვისტუმრე. საძინებელი პირველ

სართულზე მოვიწყე, რადგან ვიცოდი, რომ შუალამით, ღამის 3-ზე, მოჩვენებისთვის ხელი არ უნდა შემეშალა. მეორე სართულზე კიბეს ფრთხილი ნაბიჯით ავუყევი და ოთახში შევედი, სადაც ძველი გოთური სტილის პიანინო იდგა. იქვე მდგარ ხის სკივრზე ჩამოვჯექი. იატაკზე პენტაგრამის ყოველ ქიმზე ჩამქრალი სანთელი იყო. ალბათ, ასე ცდილობდნენ სახლად ნასახლი მოჩვენების განდევნას. შინაგანად უცნაური სიცივე ვიგრძენი. აი, ისეთი სულს, რომ აგინრიალებს და შიშით სხეულს ჟრუანტელს რომ გისახლებს. უსიამოვნო შეგრძნებით მოსილი ოთახიდან გამოვედი, კიბეს ჩამოვყევი და ეზოს მივაშურე. როგორც ჩანს, ცნობისმოყვარე თვალს არ გამოჰპარვია ჩემი ვიზიტი და, ახალი ამბის საამბნოდ, ლობის კიდეს მეზობელი მოადგა.

– სალამო მშვიდობისა, სერ.

– სალამო მშვიდობისა, მისის.

– შეგნიშნეთ და მინდოდა მოგსალმებიდით. აი, ინებეთ. ეს ჩემი ედემის ვაშლია.

– მადლობა, მისის. შეგანუხეთ, არ იყო საჭირო.

– რას ბრძანებთ, სერ. განა რა შენუხებაა ედემის ხილით ტკობა. აქ ისედაც იშვიათად გვსტუმრობენ ადამიანები. თქვენ მისტერ რუდოლფის ნათესავი ბრძანდებით?

– არა, მე ჰარი გახლავართ ლონდონიდან. აქ აბატი ნოელის მეგზურობით მოვხვდი. მეგობრის საუბრიდან შევიტყვე თქვენს სოფელზე, კერძოდ, ამ სახლსა და მის უსულო მკვიდრზე. ამიტომ გადავწყვიტე, ეს ყოველივე საკუთარი თვალთ მეხილა.

– გასაგებია, როგორი უშიშარი ყოფილხართ, მისტერ. ნუთუ არ გეშინიათ?

– მაინც რისი? ან რატომ?

– არ ვიცი, არ ვიცი. იმ წყეული მოჩვენებისგან ღამით მოსვენება დავკარგეთ, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს უკრავს იმ დაწყევლილ მუსიკას და, გეფიცებით, სერ სული მეყინება. ალბათ, ამიტომაც ვერ გაუძლო სანყალმა რუდოლფმა და ნიუკასლს გაეშურა.

– რამდენი ხანია, რაც ასეა?  
 – რაც თავი მახსოვს.  
 – უცნაურია. შეგიძლიათ უფრო მეტი მომითხროთ ამ ფაქტის შესახებ?  
 – რა თქმა უნდა, სერ.  
 – გთხოვთ, შინ შემობრძანდით.  
 – არაა, მადლობა. აქ მირჩევნია, რა ვიცი, რა მოეჩვენოს მაგ წყეულ მოჩვენებას და დროზე ადრე მოუნდეს სოფლისთვის მუსიკის გაკვეთილების ჩატარება. მის დანახვაზე გულიც კი გამისკდება. თუ არ მიწყენთ, აქ მირჩევნია თხრობა.  
 – კეთილი, მისის?  
 – ადამსი, მისის ადამსი.  
 – სასიამოვნოა. კარგით მისის ადამს, თუ შეიძლება მიამბეთ მასზე.  
 – კეთილი. 1788 წელს ამ სახლში ჰაგარდების ოჯახი სახლობდა. მათ საოცრად ლამაზი ქალიშვილი ჰყოლიათ, სახელად – მარგარეტი. ისეთი ლამაზი ყოფილა, რომ თვით მეფესაც კი მოუსურვებია ქალთან ფლირტი, მაგრამ ვერას გამხდარა. ქალის გული და სული მხოლოდ და მხოლოდ სოფელს მოვლენილი ახალგაზრდა აბატი ნილისთვის აძგერებულა. თურმე ყოველ ღამით იპარებოდა მარგარეტი უიტბის სააბატოში, ნილთან შესახვედრად და მდინარის პირას განმარტოვებულნი მღეროდნენ უჩვეულო სიმღერას. ამბობენ, თუკი ერთხელ მაინც მოისმენდით ამ სიმღერას, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვერას გზით დაივიწყებდითო. მარგარეტის და ნილის სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო. ვაჟზე იორსულა და ნილს დაუთმო სააბატოში აღსაზრდელად. „კეთილმოსურნე“ მაცხოვრებელთ ეს არ გამოჰპარვიათ და მეფის საამებლად სულ ასო-ასო უამბნიათ აბატი ნილისა და მარგარეტის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ. მეფე განრისხებულა, უბრძანებია, მარგარეტი კოცონზე დაენვათ და აბატი სააბატოს საყდარში გამოკეტილი ცოცხლად ჩაეფერფლათ. მათი ვაჟი კი აღსაზრდელად ლონდონს, ეპისკოპოსის სახლში წაუყვანიათ. მარგარეტისა და ნილის გარდაცვალებიდან 40 წლის თავზე, შემოდგომით, უიტბის სააბატოს ახალი

აბატი მოავლინეს, სახელად – ნოელი. სწორედ მისი გამოჩენისას დაიწყო ყოველივე. როგორც კი შუა ღამეს საათი სამჯერ ჩამოჰკრავდა, არსაიდან ქალის სილუეტი ჩნდებოდა და ოთახიდან პიანინოს ხმა ისმოდა. ამბობენ, რომ ეს მარგარეტია და ყოველ ღამით ნილსა და ნოელს უმღერსო. მას შემდეგ, ყოველ შემოდგომას, ერთი და იგივე ხდება, მოჩვენება არსაიდან ჩნდება და იწყებს პიანინოზე დაკვრას. აი, ასე იყო ყველაფერი. ვიცი, ცოტა დაუჯერებელია, მაგრამ დასარწმუნებლად სულ რამდენიმე საათილა დაგრჩათ.

– საინტერესო ისტორიაა, თან სახელიც როგორ ემთხვევა, აქ ხომ სწორედ აბატმა ნოელმა მომიყვანა.

– არ ვიცი, სიმართლე გითხრათ, აქ მხოლოდ თქვენ შეგნიშნეთ. მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ. შინ უამრავი საქმე მაქვს. თუკი ვერ გაუძლებთ ამ წყეული მოჩვენების თავგასულ მღერას, შეგიძლიათ გვესტუმროთ, ჩვენ მაინც არ გვძინავს, მისი გადამკიდე. ათასჯერ ვუთხარი ბილს – ბილი ჩემი მეუღლეა. ბილ, გავყიდოთ ან დავეშალოთ ეს სახლი და სხვა ალაგს გადავიდეთ-მეთქი, მაგრამ არ ესმის. არც აწუხებს ან რა შეაწუხებს, სიბერისგან ისე გამოფრტუნდა, რომ სადაც ჯდება, იქვე იძინებს, თითქოს და საძილე არტერია საჯდომზედ ჰქონდეს. ღმერთო, მე კი მეზიზღება ყოველი შემოდგომა. კარგით, სერ. მგონი, თავი შეგანყინეთ კიდევ, ნავალ, ჩემს ჩაძინებულ ბილს მივხედავ. ვინ იცის, სად ზის და სად ძინავს?! შეხვედრამდე, მისტერ ჰარი!

– შეხვედრამდე, მადლობა ვაშლისთვის.

უკვე გვარიანად მოსაღამოვებულიყო. სახლისკენ გავეშურე, სარკმელი ჩავრაზე და კომფორტულად მოვენყვე სიძველისაგან დაოსებულ ხის საწოლზე. მთელი ღამისა და დღის გადაღლილობით შეწუხებულს უმაღვე ჩამეძინა. ძილს მიცემულს ყურში უცნაური ჟღერა ჩამესმა. შიშმა ერთიანად ამიტანა და მივხვდი, რომ ეს მარგარეტი იყო! შიშის მიუხედავად, ინტერესით შეპყრობი-

ლი, სალამურის ამარა, კიბეს ავუყევი. ოთახის კარი საიდანაც პიანინოს ჰანგი ჟღერდა, ფრთხილად და შიშით შევაღე. შევაღე და ადგილზე გავქვავდი! თეთრად მოსილი ქალის სილუეტი, არაამქვეყნიური ნათებით მოკიაფე, პიანინოს ეჯდა და სევდიანად მღერდა. შიშით და სანახაობით გარინდული ვუცქერდი ამ დაუფერებელ ზმანებას! თავი სიზმარში მეგონა. გამოსარკვევად ხელზეც კი ვიჩქმიტე, მაგრამ ვაი, რომ ეს ყოველივე ცხადად ხდებოდა. სიმღერის დასრულებისთანავე არაამქვეყნიური ნათებით მოკიაფე ქალის სილუეტი გაფერმკრთალდა, გაიცრიცა და წყვილად მი გაუჩინარდა. ძალა მოვიკრიბე, კიბეს ჩავუყევი და სანოლზე წამოვწევი. ვეცადე, ძალად დამეძინა და წამნამებს ჯიუტად ვაბჯენდი ერთმანეთს. მოულოდნელად ცივი ხმა მესმა სადღაც, შორით მონასმენი.

– ნილ, სიყვარულო, გაიღვიძე ნილ. სად არის ნოელი?!

თავი ძლივს ავწიე, თვალი შიშით გავახილე და... მარგარეტი ჩემს სასათუმალთან, თავით მეჯდა. ღმერთს ვფიცავარ, შიშისგან წამოვვარდი და კედლის კუთხეს დასჯილი ბავშვივით ავეკარი. ის კი კვლავ განაგრძობდა:

– ნილ, ჩემო სიყვარულო, სად არის ნოელი?!

არ ვიცოდი, რა მექნა. ანდა რა უნდა მცოდნოდა?! ჩემ წინ მდგარი ქალის მოჩვენება მესაუბრებოდა! თუ გული არ გამისკდებოდა, არ მეგონა. წამით შიშს ცნობისმოყვერეობამ სძლია. კედლის კუთხეში, იატაკზე დავეშვი და აკანკალებული ხმით ვუპასუხე.

– ნოელი ეპისკოპოსმა წაიყვანა. ის ცოცხალია, მარგარეტ.

– რატომ, ნილ? რატომ არ შემეძლია მისი ნახვა? რატომ ვარ ასე უსხეულოდ? რატომ არ ჩანდი ამდენ ხანს ნილ? მე ხომ ორივეს სიმღერით გიხმობდით? რატომ არ მოხვედი, ნილ? რატომ არ გადამარჩინე, ჩემო სიხარულო?! რატომ მიეცი უფლება, ნოელი, ჩვენი სიყვარულის ნაყოფი, აეგლიჯათ ჩემი მკერდიდან და წაეყვანათ? განა ამაღ გიღირდა

შენი მანტია? სად იყო მაშინ ღმერთი, როცა სიყვარულსა და შვილს უღმერთოდ მოსეული გაავებული ძაღლები გართმევდნენ?! მიპასუხე, ნილ!

თქვენ? თქვენ უპასუხებდით მარგარეტს? ანუგეშებდით? უამბობდით, ნილსა და ნოელზე? ალბათ, თქვენც ჩემსავით, სიტყვის საძიებლად, სიჩუმის მიღმა, უტყვე მდუმარებაში ჩაიკარგებოდით.

– ნილ, ჩემო სიყვარულო, ნიილ.

– მარგარეტ.

– მიყვარხარ, ნილ.

– მარგარეტ.

– ნოელი მენატრება, ნილ, შენ მენატრები. ის დრო მენატრება, მდინარის პირას განმარტოებით რომ ვმღერდით ერთად. გახსოვს, ნილ?

– მახსოვს.

– მაჩვენე ნოელი გთხოვ, გთხოვ მეტს ნუ დამტანჯავ ასე ცასა და დედამინას უსხეულოდ გამოკიდულს, მაჩვენე ნოელი, ნილ!!! გევედრები!!! მაჩვენე ნოელი!!!

– გაჩვენებ, აუცილებლად გაჩვენებ, ჩემო მარგარეტ!

– შემომფიცე ნილ! მაგრამ ამჯერად შენი ღმერთის გარეშე, ჩვენი სიყვარული დაიფიცე, რომ ნოელს მაჩვენებ, ჩემო სიყვარულო.

– გეფიცები, ჩვენს სიყვარულს ვფიცავ, მარგარეტ.

– მაშ, წავალ, ნილ.

არ ვიცი, სად, როგორ გაქრა თეთრად მოკიაფე მარგარეტის სული და როგორ გაუჩინარდა წყვილადის გულში. დამფრთხალი, შეშინებული და ხილვისგან შეშლილი სახლიდან გამოვვარდი. თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი სააბატოსკენ ისე, რომ გზად არც კი შემისვენია. სააბატოს კელიას გარიჟრაჟზე მივადექი. ყვირილითა და სიმღერით მოსილი კელიაში შევვარდი, სადღაც არავინ დამხვდა. გულს მოწეული სიმწარით გაგიჟებულმა დავიღვრიალე!

– აბატო ნოელ! სად ხარო, აბატოოო!

ყვირილის გაგონებაზე კელიის კარი უცხო კაცმა შემოაღო, აშკარად მგზავ-



რი იყო. შეცბუნებულმა მკითხა.

– შემიძლია რამით დაგეხმაროთ, ყმანვილო?

– აბატს ვეძებ. აბატ ნოელს. ხომ არ იცით სადაა?!

– დამშვიდდით ყმანვილო, აფორიაქებული ჩანხართ. აქ მსგავსი სახელის მქონე და მითუმეტეს აბატი წლებია არ გამოჩენილა.

– ცრუობთ! დიახ, დიახ თქვენ ცრუობთ! ეს კელია ხომ სწორედ აბატი ნოელისაა?! მე ხომ თავად გახლდით აქ და აბატთან ერთად გვირილის ჩაიც გეახელით. თქვენ, თქვენ კი ჩემი გაგიჟება განგიზრახავთ!

– რას ბრძანებთ ყმანვილო, ეს ფიცრული მწყემსებისთვისაა განკუთვნილი. რაც შეეხება აბატ ნოელს, ის საუკუნეებზე მეტია, რაც გარდაიცვალა. მას შემდეგ აქ ამ სააბატოს აბატი არ ღირსებია. შეხედეთ, თავად ტაძარიც კი რა მდგომარეობაშია. ნაწილ-ნაწილ იშლება და ინგრევა. დამშვიდით, სერ.

– უნდა წავიდე, გამეცალე! დამეხსენი!

– მაპატიეთ, სერ. ასე ვერ გაგიშვებთ, საღ გონებაზე არ სჩანხართ. ჯონ, აქეთ მოდი მომეხმარე!

– რას სჩადით?! გამიშვით?! ვის აბამთ თქვე უღმერთოებო! აბატო ნოელ! მიშველე!

– დააკავე ჯონ, დააკავე. მაგრად გაკოჭე, ეტყობა კენსიგტონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ისევ გამოქცევა გიჟი, როგორც წინა ზაფხულს. ხომ გახსოვს, ის გადარეული?

– აა, კი. ჩემს ცხენზე რომ მიმტკიცებდა ამბერი ჰქვიაო.

– ხა, ხაა ხააა. ჰო, ამბერიო.

– ეტლზე შემოვსვით და კენსიგტონს წავიყვანოთ, ერთ-ორ შილინგსაც

გამოვკრავთ ხელს.

– რაო? შარშან, რომ არ გითქვამს ფულზე არაფერი?! გამოდის, რომ დამიმალე?!

– კარგი რა ჯონ, აბა, ორივეს რას გვეყოფოდა ის ფული, თან ძალიან მჭირდებოდა და...

– იცოდე, მოგკლავ!

– კარგი, ხო კარგი. რასაც წელს მოგვცემენ, სულ შენი იყოს, ბოლო შილინგამდე! მხოლოდ ერთი კათხა ლუდით გამიმასპინძლდი. შევთანხმდით?

– შევთანხმდით.

– მაშ, წინ კენსიგტონისკენ!!!

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მომათავსეს. მიზეზი სასხვათაშორისოდ იკითხეს და მწვავე შიზოფრენიის დიაგნოზიც მყისვე დამისვეს. რა არ ვცადე, როგორ არ ვცადე, ამ სინამდვილის ახსნა, მაგრამ ამოდ. ყურსაც კი არ მიგდებდნენ. ან რა უნდა დაეჯერებინათ?! არარსებული აბატი ნოელი თუ ცხენი „ამბერი“?!

ასე ვიქეცი კენსიგტონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მკვიდრად... ყოველ ღამით მესიზმრებოდა, თუ როგორ მღერდა მარგარეტი და როგორ მიიჩქაროდნენ მისკენ მანტიაშეხსნილი წილი და ნოელი.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა იმ საბედისწერო ღამით:

გადამიყოლა ლონდინის ციდან

უნწყვეტმა წვიმამ,

ასე მეგონა, ზეცად დემონი

ცრემლებს, რომ ღვრიდა,

მაშინ სხეულში ნაკურთხი ცოდვა,

სარეცელს იშვა

და თითქოს ღამით ჩემში იუდა,

იესოს ჰყიდდა.

## გურო დავითლიძე

### ჯანბრუბა

„ტა ტა, ტა ტა, ტა ტააააა“, – ადრიანად დაინყო ყვირილი კუნტრუშამ. თავი შეშინებულმა წამოვყავი. მარტო ვინეკი ოთახში.

„ტატა და შენ დაგიდგი კუბო, შენი ჯიში განყდა შენი!..“ – მოჰყვა სამზარეულოდან რიტას ხმა.

„ტა ტა, ტა ტა, ტატააააა“, – აგრძელებდა კუნტრუშა ყვირილს და ფეხების ბაკუნს.

„შენ გამოგდებას, განყალბოდი არ ჯობდა? არ ჯობდა?“ – ყვიროდა რიტა.

მთელ ბავშვთა სახლში მარტო კუნტრუშას და რიტას ხმა ისმოდა. სწრაფად ჩავიცვი და დაბლა ჩავედი.

სამზარეულო ცარიელი იყო. მხოლოდ რიტა და კუნტრუშა ისხდნენ მაგიდასთან. კუნტრუშას მთელი სახე ფაფით ჰქონდა მოთხუპნული და თითებს ჯამში ტოპავდა.

„ჩაიდე ეს კოვზი პირში, ჩაიდე!“ – ძალას ატანდა რიტა.

კუნტრუშა არ ჩერდებოდა. ყვიროდა და ხელებს აქეთ-იქით ისე იქნევდა, თითქოს ხეზე ობლად შემორჩენილ ფოთოლს უნდა ჩაბლაუჭებოდა, ნიკაპიდან კი წყალწყალა ფაფის წვეთები მიძიმედ ეწვეთებოდა მაგიდას.

„თომაა! მოდი აქ!“ – რიტამ თვალი მომკრა თუ არა, დამიძახა. – „ჩაიდე ეს კოვზი პირში ჩაიდე!“ – იღრიალა თან.

„ტა ტააა...“ – დაიყვირა კუნტრუშამ, თეფში დაბლა გადმოაგდო და მაგიდაზე,



კოვზით, მთელი ძალით ბრახუნი დაინყო. ფაფის თხელი მასა რიტას ცალ ფეხზე გადაესხა.

„ფუ, შენ ნაბიჭვარო!“ – სიმწრით ამოილაპარაკა და სახეში გაულანუნა კოტეს.

„ტა ტა, ტააა“, – ამოილაპარაკა და წამიერად გაჩერდა. სახე წაეშალა. შიში და ტკივილი თითქოს ერთიანად იგრძნო. თვალები აუწყლიანდა და ატირდა. ჯერ ნელა წამოიხლუკუნა, მერე ნელ-ნელა უმატა. ორივე ხელით თვალებს იგლესდა და ტიროდა. რიტა, შეშლილი სახით, ფაფაგადასხმულ ფეხს საღფეტკით იწმენდა და თავისთვის რალაცას ბურტყუნებდა. სამზარეულოს კარი ჭრიალით შემოალო გაიამ და მასაც სახე წაეშალა.

„კიდე არ ჭამს ხო?!“ – ისე, სასხვათა-

შორისოდ იკითხა.

„როგორ გინდა აჭამო? მიდი აჭამე. ერთი საათია პირი ვერ გავაღებინე ამ უპატრონოს“.

„იმ ორმა ჭამა?“

„იმათ ვაჭამე. ცოტა გრიშამ აურია, მარა ჭამა. ესაა მოურჯულებელი, ამის ჯიში განყდა, თორე, იმათ რა უჭირთ.“

„შენ რას დამიდექი აქ?!“ – გაიამ პროექტორივით მომანათა თვალები.

„რიტა აღმზრდელმა დამიძახა“ – ამოვიღულულულე და თვალები დაბლა დავხარე.

„ნაიყვანე ეს თავის ოთახში, მომაცილე. იქნებ ცოტა დაწყნარდეს. მერე ჩამოვიყვან“.

კუნტრუმს სკამიდან ჩამოხტა თუ არა, მარცხენა მხარზე მომეკრა და თავი დამადო.

„რა აქვთ ამათ დღეს?“ – ჰკითხა გაიამ რიტას და ონკანიდან წყალი მოუშვა.

„კაი რა, გაია, შენ რაღა გჭირს? რა აქვთ და ბრაუნე ესპრესოთი. ყიყლიყოს შევუნვავე და მივაშავებ. რა ექნებათ?!“

სამზარეულოდან კუნტრუმასთან ერთად გამოვედი.



კუნტრუმას ოთახს ფანჯარა ამოქოლილი ჰქონდა. ეშინოდათ, გარეთ არ გადამხტარიყო. ოდნავ იპარებოდა შიგნით სინათლე და ჩაბნელებულ სივრცეს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა. კედელი სხვადასხვანაირი პლაკატებით იყო მოჭედელი. ძირითადად მსახიობების, მომღერლებისა და ფეხბურთელების გაღიმებულ, ბედნიერ სახეებს შეამჩნევდით ჩამონგრეულ კედლებზე. ეტყობოდა, რომ წლების წინ იყო გაკრული ჟურნალ „ოსკარიდან“. კუნტრუმას, ნოდოს და გრიშას ცალ-ცალკე ოთახები ჰქონდათ. სულ მარტონი იყვნენ. ოთახში ერთი სანოლი და ერთი სკამი იდგა მხოლოდ. არც ჩვენი ოთახები იყო გამორჩეული, თუმცა კუნტრუმას ოთახში სიმარტოვე უფრო საშინლად იგრძნობოდა.

კოტე სანოლზე ჩამოვსვი. თავს აქეთიქით აქანავებდა და თავისთვის, ჩუმად, რაღაცას ბუტბუტებდა.

„კუნტრუმ, აბა შემომხედე!“ – ვუთხარი და იქვე, სკამზე ჩამოვჯექი. კუნ-

ტრუმამ ამომხედა, თვალებში ჯერ კიდევ ჰქონდა დაგუბებული ცრემლი და ტუჩებს ნერვიულად ათამაშებდა.

„აპატიე ხო? არ უნდოდა“.

„ტა ტა, ტა ტა, ტაა...“ – ამოილაპარაკა და ისევ თავის ქნევა დაიწყო წინ და უკან.

„იცი, კუნტრუმ, – ნამოვდექი და ფანჯრიდან შემოღწეულ მზის სხივს გავუსწორე თვალი, – რა კარგია, რომ ზიზლი არ შეგიძლია. რა კარგია, რომ ხვალ ისევ ისე ადგები დილით, როგორც დღეს და სულ არ გემახსოვრება წელანდელი ამბავი. არ გემახსოვრება ტკივილი, წყენა. არაფერი არ გემახსოვრება საერთოდ. ყოველ დილით ვხედავ ხოლმე, როგორ გარბიხარ სამზარეულოში და როგორ ადებ სიხარულით ჩვენს რომელიმე აღმზრდელს თავს – როგორ ეხუტები, როგორ გიხარია მათი დანახვა. შენ იმათ თვალებს ვერ ხედავ, კუნტრუმ. ვერ ამჩნევ, არ აკვირდები და არც წარსული გახსოვს. ნეტა იცოდე, რა ბედნიერი ხარ, ზიზლს და სიძულვილს რომ არ გრძნობ არავისდამი, – გულში რომ არ იტოვებ არაფერს.“

„ვუუ, ვუუუ...“ – თავს აქნევდა კუნტრუმს და პირიდან გადმოსული ნერწყვი ნიკაპიდან სანოლზე წვეთავდა.

„აი, მე კიდე, ყველა და ყველაფერი მძულს. – ვაგრძელებდი ჩემს დაუსრულებელ დიალოგს და თან ბრიტნი სპირსის მომღიმარ სახეს მივჩერებოდი. – სულ ზიზლით ვარ სავსე. გუშინ სკოლაში მცემეს. დაბლა ვეგდე და მირტყამდნენ. არ ვიცი, რატომ, კუნტრუმ. არ ვიცი, რა დაგუშავე, ისევე როგორც შენ არ დაგიშავებია არავისთვის არაფერი, მაგრამ, იცი ვის ერჩიან ყოველთვის? ჩვენნაირებს, კუნტრუმ. ძალაგამოცლილებს, ცხოვრებისგან დაჩაგრულებს და მიტოვებულებს. ვისაც ხელის შებრუნება არ შეუძლია იმათ, კუნტრუმ. ისინი არიან ყოველთვის ყველაზე დაჩაგრულები, დამცირებულები და მიტოვებულები. ეგეთები არავის სჭირდება, კუნტრუმ. ჩვენნაირები სულ მეორე ნაპირას არიან გარიყულები და არავის ვჭირდებით.“

კუნტრუმს უცნაურ ხმებს გამოსცემდა და ფრჩხილებით მუხლებს იკანრავდა.

„ხო იცი, სამზარეულოში ერთი ნახატი

კიდია ჩვენთან, – ვაგრძელებდი განწყვეტილ დიალოგს კუნტრუმასთან, – შეხვალთუ არა, პირდაპირ იმ ნახატს უყურებ. ზედ ლამაზი სანაპირო ხატია და განათებული შუქურა. ცაც რალაცნაირია, მოვარდისფრო. რამდენჯერ მიფიქრია, ნეტა იქ წამიყვანა-მეთქი. ამას წინებზე ერთი წიგნი წავიკითხე. მოგზაურის ისტორიები ეწერა შიგნით. მემგონი, ფრანგი იყო, უცნაური ქალაქიდან. და იცი, რაზე წერდა? თოლიების ქალაქზე, კუნტრუმ. ისე აღწერდა ყველაფერს, მეგონა, ჩვენს ნახატზე ლაპარაკობდა. იცი, რატო ჰქვია თოლიების ქალაქი? თურმე მატარებლის სადგურიდან რომ გამოხვალ, რამდენიმე კილომეტრის გავლა გინევს ზღვამდე მისაღწევად. მიღიხარ და თოლიებიც თან მოგყვებიან. ყველგან არიან: ეზოებში, ქუჩებში, ხეებზე, სახლის სახურავებზე. ყველგან მაგათი ხმა ისმის და ყველგან თოლიები დაფრინავენ. მერე კი, როცა ქვიშის სანაპირომდე მიაღწევ, შუქურა დგას იქ. ულამაზესადაა განათებული და იმის გარშემო გაუჩერებლად დაფრინავენ თოლიები. განსაკუთრებით დილასაა ლამაზი თურმე, მზის ამოსვლისას, როცა სანაპირო დაცლილია და ცაც – ფერადი. არ ჰგავს ეს მონაყოლი ჩვენს ნახატს, კუნტრუმ?

კუნტრუმა მოულოდნელად გაჩუმდა და თვალები მომაშტერა.

„რა იქნებოდა სხვანაირი ცხოვრება გვექონოდა? აი, ისეთი რა, ბედნიერი. უბრალოდ, რა იქნებოდა, ჰა? სხვანაირი დილა რომ თენდებოდეს და ღამეც სხვანაირი რომ იყოს. მოხდებოდა რამე? ახლა ყველაზე მეტად გაქცევა მინდა. შორს გაქცევა. იცი, სად გავიქცეოდი? იმ სანაპიროზე, თოლიების ქალაქში, კუნტრუმ. სანაპიროზე ვირბენდი და არ დავიღლებოდი. მე ცურვა არ ვიცი, კუნტრუმ. სად უნდა მესწავლა? მაგრამ შევიდოდი წყალში. ნელამდე შევიდოდი და ხელებს პატარა ბავშვივით ავატყაპუნებდი. მერე კიდე მზის ჩასვლას ვუყურებდი. ამბობენ, ზღვაზე ყველაზე ლამაზია მზის ჩასვლაო. თურმე, მთელი ცა წითლად ან ვარდისფრად იღებება და მზეც სულ წითელია. შენ კიდე ზიხარ და უყურებ როგორ ნელ-ნელა იკარგება ზღვაში

ამხელა სინითლე.

შუა საუბარში კუნტრუმას შევატყვე, რომ ემოციებისგან დაღლილი და დაცლილი იყო. ეძინებოდა. სანოლზე მივანვინე და ხელში თავისი საყვარელი რუბიკ-კუბიკი მივეცი. მალევე ჩაეძინა და ოთახიდან ჩუმად გამოვედი.



იმ საღამოს სიზმარი ვნახე: ტყეში ჩაფლული სახლის ეზოში ვიყავი და ბურთს ვთამაშობდი. იქვე ერთი მსხვილი ხე იდგა. იმ ხეს ვესროდი ბურთს და უკან დაგორებულს ორივე ფეხს ძლიერად ვურტყამდი ხოლმე. ვცდილობდი, რომ ხისთვის მომეხვედრებინა. შუა თამაშის დროს ვიღაცამ დამიძახა. არ ვიცოდი, ვინ მეძახდა. დავიძახე და გაკვირვებული ვიყურებოდი აქეთ-იქით. მერე კიდე მივხვდი, რომ დედაჩემის ხმა იყო. დედაჩემი მეძახდა. გახარებული გავიქეცი სახლისკენ და შემოვირბინე ოთახები.

„თომააა! თომააა“ – მესმოდა ხმა და დაფეთებული დავრბოდი ბურთით ხელში. თან მიხაროდა და თან მეშინოდა. უცნაური განცდა იყო – მახსოვს. დედაჩემის ხმა მესმოდა და ვერ ვპოულობდი დედაჩემს. თითქოს დამემალა. თითქოს სადღაც, ხის უკან ამოფარებული იდგა და მეთამაშებოდა.

„დედააა, დეეე!“ – ვყვიროდი მეც და სახლის გარშემო დავრბოდი, – „სად ხარ? – ვეძახდი.

„დეეეე დააააა!“ – უფრო ავუმაღლე ხმას და დამარცვლით ვეძახდი დედაჩემს.

„აქ ვარ, თომა!“ – მომესმა მოულოდნელად ხმა და, როცა უკან მოვიხედე, ხის ძირში დედაჩემი იდგა. ზუსტად ისეთი იყო, როგორსაც ყოველთვის წარმოვიდგენდი. კულულა თმები მხრებზე ჰქონდა ჩამოყრილი და მწვანე თვალებში სითბო ჩაღვროდა. ძალიან ლამაზი იყო. თხელი, ყვავილებიანი ხალათი ეცვა და მილიმოდა.

„მოდი ჩემთან, შვილო!“ – დამიძახა და მარჯვენა ხელით მზე აირიდა სახიდან.

გახარებულმა გაქცევა დავაპირე და სხეული გამიშეშდა. მთელი ძალით ვცდილობდი ნაბიჯი გადამედგა, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდი. ერთიანად გავი-

ყინე და გავქვავდი.

„ვერა, დედა, ვერ მოვდივარ!“ – ვეუბნებოდი და დაჭიმული სხეულით ვცდილობდი დედაჩემისკენ გაქცევას.

„თომა, მოდი შვილო!“ – იმეორებდა ისევ დედაჩემი და მარცხენა ხელს ჩემკენ იშვერდა.

„ვერაა, დედაა, ვერ მოვდივარ!“ – ტირილი შემეპარა ხმაში და თვალები ამინყლიანდა, – „ვერ მოვდივარ, დე, არ შემიძლია“.

„თომა, მოდი დედასთან!“ – რამდენჯერმე იმეორებდა და ვხედავდი, როგორ უჩინარდებოდა მისი გამხდარი სხეული ნელ-ნელა.

„დედა, დეეე, დედააა!“ – ვყვიროდი მაღალ ხმაზე და დედაჩემისკენ ორივე ხელს ვიშვერდი.

„დედააააააააა!“ – ვიღრიალე და შეშინებული წამოვხტი საწოლში. ფეხები და ხელები სულ დაბუყებული მქონდა. ოფლი მასხამდა და თვალები ცრემლებით მქონდა სავსე. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა დედაჩემი სიზმარში ვნახე. იმის მიუხედავად, რომ მასთან მისვლა ვერ შევძელი, არ შემიძულე, ბია არც სიზმარი და არც ღამე. პირიქით, ყველა ჩაძინება იმედი იყო. ყველა თვალის მოხუჭვა მოლოდინი იყო ჩემი, რომ დედაჩემს ისევ შევხვდებოდი, თუმცა, არ შევხვედრილვარ. აღარასდროს მინახავს დედაჩემის კულულა თმები, მწვანე თვალები და სევდიანი ღიმილი. აღარასდროს დაუძახია ჩემთვის და მეც აღარ მითამაშია ტყეში ჩაფლული სახლის ეზოში ბურთი. დედაჩემი ჩემივე სიზმარში კიდევ ერთხელ და სამუდამოდ გაუჩინარდა.

●

„უსმინე დილას კურიერს?“ – ჰკითხა გაიამ რიტას. სამზარეულოში ვისხედით ბავშვები სასაუზმოდ. ზეთში ამოგანგლული ყიყლიყოები და მანი ქაშა გვედგა წინ.

„არა, რა ხდება?“

„ჩვენები დაუბომბიათ ღამით.“

„რაო?“ – შეიცხადა რიტამ.

„ჰო, ცხინვალში დაუბომბიათ წუხელის. მე მგონი, კაი არაფერი მოხდება მალე.“

„რას ამბობ...“

„ჩართე ტელევიზორი. ყველგან მაგაზე ლაპარაკობენ“.

„საომარი მოქმედებები ცხინვალის რეგიონში. გვიან ღამით დანყებულნი თავდასხმები ქართულ საგუშაგოებზე, სტრატეგიულ სიმაღლეებსა და სოფლებზე, პერმანენტულად ახლდება. ცხინვალი მოლაპარაკებაზე უარს ამბობს“.

„ათი დაღუპული და ორმოცდაათამდე დაჭრილი. ასეთია ბოლო არაოფიციალური ცნობები კონფლიქტის ზონიდან“.

„არც ერთმა ქართულმა შენაერთმა, არც ერთმა ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფმა პოლიციურმა და სხვა შენაერთმა არ გახსნან საპასუხო ცეცხლი ძალიან ინტენსიური დაბომბვის შესაჩერებლად! განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.“

„ღმერთო, მართლა რა ამბებია!“ – შემოტრიალდა რიტა სამზარეულოში სახენაშლილი.

„კარგი არაფერი მოჰყვება ამ ამბებს.“

„გაჩერდი, ქალო, რა გულს მიხეთქავ?“

„თურმე ჩვენები არ ისვრიან. ისინი გვბომბავენ.“

„რატო მერე? სულელები ვართ?“ – გაიკვირვა რიტამ.

„როგორ დავილაღე ამ ომებით. ჯერ ერთი არაა მორჩენილი, მეორე იწყება. ნეტა ოდესმე დასრულდება?“

„სანამ ჩვენი მთავრობა არ მიხვდება იმას, რომ რუსების მეტი არავინ გვყავს, არაფერი გვეშველება.“

„ვითომ?“ – ეჭვის თვალით გახედა გაიამ.

„არაა მასე? რა, ცუდი იყო საბჭოთა კავშირი? ცუდად ვცხოვრობდით? დაიშალა და კი ვწმენდ ტრაკებს ამათ.“ – სინანულით ამოილაპარაკა რიტამ. – ველარ შეიგნო ამ ჩვენმა მთავრობამ, რომ რუსეთთან ომი სისულელეა და მეტი არაფერი“.

„მე თუ მკითხავ, არც მაშინ ვიყავი კარგად.“

„მე ვიყავი. სახლი მქონდა, კარი მქონდა და არაფერი მაკლდა. ახლა კიდევ არც სახლი მაქ, არც კარი და კი მაქ მოტყუნული პატრონი. ამათ ყურებაში ვალამებ.“

„რაო, კიდევ რას ამბობდნენ? ვერ გაგიგე, წყალი მქონდა მოშვებული“.

„დაღუპულები და დაჭრილები არიანო.“

მიშა იყო გამოსული კიდე. არ ისროლოთო. მე მგონი, მართლა შტერები ვართ.“

„და, რო ისროლო რაა რო? რას გახდები?“

„რომელი კონფლიქტოლოგი მე მნახე, შენ კიდე? მე რა ვიცი. რაცაა, იმას ვიძახი.“

„ეშინიათ და მაგიტო არ ისვრიან.“

„რისი?“

„რა თავს იდებილებ? რისი და მამაჩემის. რუსების.“

რიტამ ყავა მოსხვრიბა და სიამოვნებისგან თვალები დაბინდა.

„ყავა ღმერთის საჩუქარია. ისე, ხო იცი, მამიდაჩემის ქმარი იყო რუსი. მაგასთან ჩავდიოდით ხოლმე დასასვენებლად. უფრო სწორად ხან ის ჩამოდიოდა, ხან – ჩვენ. ხან ოჩამჩირეში ვიყავით, ხან კიდე – მოსკოვში. იმას ზღვა უყვარდა. მე კიდე, ხო იცი, დასანახადაც ვერ ვიტან ზღვას, მეზიზღება. მიყვარს რუსები, კარგი ხალხია.“

„ჭამე, შენ კიდე, ჭამე, თორე ჩაგაყოფინე ცხვირი შიგნით.“ – დაადგა გრიშას თავზე გაია.

„ინტენსიური თავდასხმების მიუხედავად, ადგილობრივები სახლების დატოვებას არ აპირებენ და რეგიონში შეიარაღებული ძალების შეყვანას ითხოვენ.“

„ოჰოო, გამომივიდნენ რა ესენიც. ადე, გამოეთრიე, წაგაცალონ თავი იქნება. რა მხარში ამოუდგები, ვის ამოუდგები, ძლივს დგებარ ფეხზე.“ – ჩაიხითხითა თავისთის რიტამ და ტელევიზორს პულტით ჩაუწია.

„მამიდაჩემის ქმარი, რო მოკვდა ბოლოს მაშინ ვიყავი რუსეთში. კაი ოცდაათი წელია გასული. მამიდაჩემმა გაყიდა მერე ის სახლი და თბილისში გადმოვიდა, დილომში.“

„მე ერთხელ ვარ ნამყოფი ქორწილში, ოლონდ პატარა ვიყავი მაშინ.“ – თქვა გაიამ და სიგარეტს გაუკიდა.

„რა მალე გადის დრო...“

„რიტა, – გაიამ რგოლებად გამოუშვა კვამლი, – ნონას არ უთხრა რუსებზე იგივე, თორე თავს წაგაცლის.“

„წამაცლის არა ისა. რატო უნდა წამაცალოს?“

„შენ მემგონი მართლა შტერი ხარ თავს კი არ იშტერებ.“

„რა გინდა?“

„რა ერქვა ნონას შვილს, გახსოვს?“

„ალეკო არ ერქვა?!“

„მერე სადაა ახლა ალეკო?“

„ხო მოუკვდა მაგას შვილი, კაცო?“

„გამარჯობა შენი... სად მოკვდა მერე? დენმა დაარტყა თუ მანქანამ გაიტანა?“

„აა, ხოო...“

„დასანახად ვერ იტანს რუსებს.“

„ისე მაგარი სისულელე რამე კია ეს ომი. ხალხს ერთმანეთს აზიზღებენ.“ – რიტამაც გაუკიდა სიგარეტს.

„ხოო... მოყოლილი აქვს შენთვის ნონას თავისი შვილის ამბავი?“

„არა. ერთი ის თქვა აფხაზეთში მოკლესო. მეტი არაფერი. აღარ ჩავეცი.“

„მეც ერთხელ მომიყვა მარტო. არ ლაპარაკობს მაგაზე არასდროს.“

„მომიყევი რაააა, – მიუცუცქდა რიტა გაიას, – მაინტერესებს.“

„თავის ერთ ძმაკაცთან ერთად გაპარულა. კლასელი იყო, მგონი. საწოლში მუთაქები და ბალიშები ჩაულაგებია და გადაუფარებია ზედ საბანი, რო არ შეემჩნია ნონას და მამამისს. დილას რო უნდა გაეღვიძებინა ნონას საჭმელად, შერჩენია ეს ბალიშები თურმე. ისე, ეს ისტორია როგორ არ იცი? ყველამ იცის... ამათმაც მგონი.“

„არ ვიცი და ჰა, მომიყევი თუ ყვეები რააა.“

„იარალის სროლა იცოდა. უბანში თავის ძმაკაცს ჰქონია და იმას უსწავლებია თურმე. ხოდა წავიდაა... წავიდა და ერთ საღამოს შეტაკებაში მოყვნენ კიდეც. ეს ამბავი ნონას ამ ალეკოს ძმაკაცმა მოუყვა, ის ჩამოვიდა. ისიც აღარაა საწყალი, მოუკლავს თავი თურმე ომიდან მალევე. შეტაკება რო ამტყდარა ალყაში მოუქცევიათ. უკან უნდა დაეხიათ, თუ როგორცაა და დაჭრილა ეს ძმაკაცი და გავარდნია იარალი. ჰოდა, ეს დაჭრილი რალას დაიჭერდა იარალს და გამოქაჩეს, გამოათრიეს, თავი რო შეეფარებინათ. ამ ჯარისკაცებს ხო უცნაური წესები აქვთ. შენი იარალი არ უნდა დატოვო სადმე, თორე მტერი იპოვის და შენივე იარალით მოგკლავსო. სისულელეა, მარა წესია. აუჩემებია ამ ალეკოს ძმაკაცს უნდა წამოვილო იარალიო. სროლა იყო სასწაული თურმე და მაინც გაქცეულა გიჟივით იმ

ადგილისკენ. მირბის ეს ალეკოს ძმაკაცი კოჭლობით, მირბის, მირბის და ტყვია არა ხვდება. თან უკვირს, თან კიდე უხარია. მიაღწია იმ ადგილამდე, დასტაცა ამ იარაღს ხელი, შემოტრიალდა და რას ხედავს, იცი? დგას ეს ალეკო და აზღვევს. ისვრის რემბოსავით. იქვე იდგა, ორ მეტრში. იმასაც ურბენია ამასთან ერთად და მთელი გზა აზღვევდა.“

„მერე? მერე?“ – ინტერესი კლავდა რიტას.

„გახარებია ამ ძმაკაცს. მე მგონი, ლადო ერქვა იმ ბიჭს, აღარ მახსოვს წესიერად. ის-ის იყო, უნდა შემობრუნებულიყო ალეკო, უკან გასაქცევად, ამ ლადოსთან ერთად და არ მოხვდა ტყვია? პირდაპირ გულში თან. ველარ გადაარჩინეს ის უბედური. ან რას გადაარჩინდნენ? გულში ჰქონდა მოხვედრილი.“

„ნახე, რა ბიჭი ყოფილა?!“

„ხოდა, გაიგე ახლა რუსმა მოკლა, ჩეჩენმა, აფხაზმა თუ აფრიკელმა. ყველა ერთიანად ეზიზღება ნონას და არ გინდა შენი პაესტკების ამბების მოყოლა მაგასთან და ნოსტალგიის ფრქვევა კიდე.“

„შემეცვოდა, ხო იცი... ისე, მაგის ძველი სურათი რომ ვნახე, პირი დავაღე. რა გოგო იყო?“

„ხო, ალეკოს ამბის მერე შეიცვალა. ერთ წელში დაბერდა.“

„იმედია, ეს ომი მალე მორჩება.“

„რა ვიცი, რა ვიცი...“

„გეყოთ ჭამა ახლა, აიშალეთ.“ – დაიყვირა რიტამ და მაგიდებიდან ერთიანად წამოვიშალეთ.

იმ ზაფხულს ომი დაიწყო.

●  
„სად, დავემყოფი, დავემყოფი ცრემლმს?! არ დავემყოფი ამდენ წველს... სად არი, სად არის, ვინ მიმასწავლის გზას?! ქალაქში, რომელიც ჩემს ქალაქს აღარ გაავსა...“ – უუუუ, რა მიყვარს?! არ ძველდება რა... – ამღერდა რიტა და მაგნიტოფონი მხარზე შემოიდო.

„იიქ, სადაც ვიცი, მელოდებიან...“ – აჰყვა გაიაც. ცალ ხელში სიგარეტი ეჭირა, მეორეს აქეთ-იქით აქანავებდა. ერთ ხმაში მღეროდნენ.

„მზეს ველოდებიები...“ – უფრო აუმაღლა ხმას რიტამ და ორჯერ დატრი-

აღდა. მე და კუნტრუშა მისაღებ ოთახში, ტელევიზორის წინ, დივანზე ვისხედით. კუნტრუშას თავისი საყვარელი რუბიკი-კუბიკი ეჭირა და ათამაშებდა.

„გამორთე, გამორთე!“ – დაიყვირა უცბათ გაიამ და ორივე ტელევიზორთან მოცვივდა.

„ცხინვალის სამხრეთით სოფლების უმრავლესობას საქართველოს მხარე აკონტროლებს. სამთავრობო ჯარებმა სტრატეგიული სიმაღლეების აღება შეძლეს. ადგილებში, რომლებსაც სეპარატისტები აკონტროლებდნენ, ქართველი ძალოვნები იმყოფებიან. სწორედ ამ ადგილებიდან იბომბებოდა ქართული სოფლები.“

„შეხედე შენ... ცინგლიანი ქვეყანა ეძახე და არ დააფარეს თავზე ყველაფერი? – გაკვირვებულმა შეხედა რიტამ გაიას.

„აეყარეთ ახლა, ვერ მიხვდეთ თქვენით! – შემოგვიბღვირა გაიამ და კუნტრუშა წამოვაყენე.

„მომანყვიტე ეს აქედან!“ – კუნტრუშას რუბიკი-ბუიკი კედელს მთელი ძალით მიენრაცხა და ფერადი კუბიკები ერთიანად მიმოიბნა იატაკზე.

კუნტრუშა გაკვირვებული იყურებოდა დაბლა. ვერ იგებდა, რა მოხდა.

„მანაც ვერ გამიგია რისთვის ბრძოლობენ.“ – ამოილაპარაკა რიტამ. ფერადი კუბიკები ხელით წამოვკრიფე და კუნტრუშასთან ერთად მისაღები ოთახიდან გავედი.

●

სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი, არ არსებობდა იმაზე ბინძური ადგილი, როგორც საჭირო ოთახი იყო. შარდისა და განავლის სუნით აყროლებული სივრცე, სადაც შესვლას, სკოლის უკან, ბუჩქნარში გადაძრომას ამჯობინებდა ყველა. თუ, რა თქმა უნდა, პატარა უნდოდა და არა დიდი, როგორც ამას ვეძახდით ხოლმე. ეს იყო ადგილი, სადაც, როგორც წესი, მასწავლებლები არასდროს დადიოდნენ და, სადაც ყველაზე ხშირად იკრიბებოდნენ თინეჯერი ბავშვები სიგარეტის მოსანევადად. მყრალ, გამაბრუნებელ სუნში გაზაფხული სიგარეტის სუნი უფრო მეტად თავბრუდამხვევს ხდიდა იქ ყოფნას. კედლები გადაჭედული იყო ათასგვარი უხამსი სიტყვებითა

და ნახატებით. ერთადერთი რამ, რაც ამ მყრალ და საზიზღარ ოთახს შვებას აძლევდა, ჩამსხვრეული ფანჯრები იყო, რომლებიც ჩასმისთანავე ძალიან მალე იმსხვრეოდა ხოლმე. საჭირო ოთახს კიდევ ერთი და, ალბათ, ყველაზე მთავარი დანიშნულება ჰქონდა. ისევე როგორც სკოლის უკანა ეზოს. იქ საქმეები უნდა გარჩეულიყო. სკოლის უკანა ეზოში მახსოვს ლამაზი ნუშის ხე იდგა. ძალიან ლამაზი და ყოველ გაზაფხულს, უფრო მეტად ლამაზდებოდა, როცა სითბოს მონატრებულ ხეს გაზაფხულის ჯერ კიდევ სუსტი მზე დააცხრებოდა და დაბერილ კვირტებს ერთიანად დახეთქავდა ხოლმე. როცა პირველად შემათრიეს საჭირო ოთახში, ჩამსხვრეული ფანჯრიდან კარგად მოჩანდა აყვავებული ნუშის ხე, რომლის სუნი მეორე სართულის საჭირო ოთახშიც კი იგრძნობოდა. ოდნავ, მაგრამ მაინც.

მას შემდეგ, რაც ქოჩორამ თვალები გამიშტერა, შემეშინდა. სიძულვილი და ზიზღი ვიგრძენი. თვალები ცეცხლივით უელავდა. მარჯვენა ხელი ფანჯრის რაფაზე ჰქონდა ჩამოდებული და თითებში შუაზე გადატეხილ პარკეტს ათამაშებდა. დანარჩენების სახეები სიგარეტის კვამლში იყო ჩაკარგული.

„რა გქვია შენ, ბიჭო!“ – ირონიული ტონით მკითხა, პარკეტი რაფაზე ჩამოდო და ჩემკენ გამოიწია.

„თომა მქვია“

„იცი, მე ვინა ვარ, თომა?“

„არა, არ ვიცი.“

„აქაურობის მტყვენლიი. სუ ყველასი და ყველაფრის. – პირში ასანთის ღერი ჩაიდო, – ლამაზი დედა გყავს, თომა? – შემეკითხა ირონიული ღიმილით.

„არ მყავს მე დედა.“ – ვუპასუხე და ვეცადე, თვალი ამერიდებინა.

„რა ბოროტი ხარ, ე“ – კართან მდგომმა უთხრა ქოჩორას სიცილით.

„ბოროტი მამაშენია.“

„თომა, – ისევ მომიბრუნდა ქოჩორა – ქოჩორა ვარ მე. შეიძლება იცი, შეიძლება – არა. ეტა ხუინა. სხვათა შორის, მე არასდროს მინახიხარ. ეტყობა, კლასში ჯდომა და ჯიბის ბილიარდი გიყვარს. ასწორებს, არა?“

„არა, არ მიყვარს.“

„ისე, დედა თუ არ გყავს, როგორ გარინდი? ეხლა არ მითხრა კომბოსტოდანო, თორე შეიძლება დირექტორს დავემსგავსო. – უცბათ ახარხარდა ყველა.

არაფერი მიპასუხია. ჩუმად, შეშინებული ვიდექი ანითლებული თვალებით.

„მოიცა, მოიცა, – ერთ-ერთი, რომელიც აქამდე ჩუმად იდგა, მომიხლოვდა, სახეში მომამტერდა და... – შენ ბავშვთა სახლელი არა ხარ?“ – მკითხა.

„კი-მეთქი“ – ჩუმად ამოვილაპარაკე.

„რაო, მახინჯი ხარ და ვერ წაგიყვანთო? თუ ბოზობასთანაა საქმე? – ისევ ახარხარდა ყველა და ქოჩორამ სიგარეტს გაუკიდა.

„კაროჩე უეჭველი მაგრად მიქარა დედამისმა, – სახეში მომბოლა ქოჩორამ – მერე კიდე შეეშინდა და მაინც გამოჩეკა. გამოჩეკა და მიაგდო იქა, არა, თომა? ეხლა არ თქვა მასე არ იყო...“

„არ იყო მასე.“ – დაბალ ხმაზე ამოვილაპარაკე და ვიგრძენი, როგორ ამინყლიანდა თვალები.

„იმდენი შენი დედა მოვტყან, ბიჭო“ – ილრიალა და სახეში ძლიერად გამანნა გაშლილი ხელი – „არ იყო მასე... ყველა მაგას როგორ იძახით, ბიჭო. ყველას როგორ დაგებრიდათ დედიკოები და მამიკოები. ხან ავარიებშიო, ხან ტრაკშიო, ხან სახლშიო. ვაბშეტა, ყველა დასანჯავები ხართ ტო, იმენა უნდა ამოგბუგოთ მთელი ბავშვთა სახლი კაცმა. ბენზინი უნდა მოგასხან სახეზე და დაგწვან პაკრიშკასავით. დადიან, დატასაობენ აქ იმეებივით ეს აქოთებულები.

„რეებივით, ქოჩორ?“

ყველამ ერთიანად კიდევ ერთხელ გადაიხარხარა. კანკალმა ამიტანა. მთელ სხეულში გამიჯდა შიში და სიმარტოვის შეგრძნება. დედაჩემზე არაფერი ვიცოდი. არასდროს არავის უთქვამს რამე. წარმოდგენაც არ მაქვს, ვინ იყო. არც ის ვიცოდი, როგორ აღმოვჩნდი ბავშვთა სახლში. იქნებ მართლები არიან? იქნებ მართლა ადგა დედაჩემი და ნანგრევებში გადაგდებული ლეკვივით მომისროლა მეც? იქნებ მართლა არ მომკვდარა, როგორც ამას მთელი იმდენი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი? იქნებ ახლაც ცოც-



ხალია? იქნებ უბრალოდ იმიტომ მიმაბარა ბავშვთა სახლში, რომ თავისი ცოდვა არ გაემხილა? ვფიქრობდი და ვუსმენდი, როგორ იცინოდნენ ხმამაღლა ყველანი. ვფიქრობდი და ვუყურებდი, როგორი ზიზღნარევი სახით მომშტერებოდა ყველა. არ ვიცოდი, რა დავუშავე. პირისპირ არასდროს მინახავს რომელიმე. შორიდან მომიკრავს მხოლოდ თვალი და ისიც სწრაფად ავარიდებდი ხოლმე. ვიცოდი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. ამას მეუბნებოდა ყველა. ამას მასწავლიდნენ. იმ დღეს პირველად დაველაპარაკე ლმერთს. პირველად მომიხდა მისთვის კითხვები დამესვა. პასუხგაუცემელი კითხვები, რომლებიც ახლაც კი მიტრიალებს თავში და ვერ მოვიცილე. აყროლებული საჭირო ოთახი, სიგარეტის კვამლში ტივტივებდა.

„თომა, ახლა ჯიბეებს ამოისუფთავებ. მაყუთი გექნება შენ რამე. შენზე გვითხრეს კარტოფილიანი პერაშკები ევასებაო, არა, თომა?“

„არა, არ მიყვარს მე პერაშკი“.

„ვისაც პერაშკი არ ევასება, ჩემს თვალში ბოზია. არა, ნუპაკ?“

„დავი.“

„პერაშკი მაგარია, ტო. ერთადერთი რამეა, რაც მევასება ჩვენს ბუფეტში. თან მოშნად დებენ ის ჩემისეხი კარტოფილს და ასწორებს. ეს კიდე იძახის – არ მიყვარსო. მიდი, მიდი, მაიტა რაც გაქ ხურდები და დავაი, აუდე აქედან. დამალალა ამ სუნიანმა.“

ვცდილობდი ჩემს თავში ძალა მეპოვნა. ვერ შევძელი. ვერ მოვახერხე ის, რაც მთელი გულით მინდოდა. ვერ გადავლახე შიში. ტკიპასავით მომენება ტანზე და არ მშორდებოდა. ამოვიხიკე ჯიბეებიდან ხურდები და ხელში ჩავუყარე ქოჩორას. ბევრი არ იყო, ორ ლარამდე. ნასიამოვნები სახე მილო და გაიღიმა. მერე კი, ხელით მანიშნა კარებისკენ, წადიო. მივუახლოვდი თუ არა გასასვლელ კარს, მომაძახა:

„დედაშენი კი იყო ბოზი, მარა შენ არ ყოფილხარ, ბიჭი.“

სისხლი ყელში მომანვა და მარჯვენა ხელი ამიკანკალდა. შემოვტრიალდი და ქოჩორას ბოროტ, ცივისისხლიან მზერას შევეჩხე. თვალები ცრემლებით მქონდა სავსე.

„ბოზი შენ თვითონ ხარ!“ – ვუთხარი ჩემდაუნებურად. თავისით, შეუცნობლად წამომცდა. როგორც ბავშვებს წამოსცდებათ ხოლმე უფროსებთან უზრდელი სიტყვა, ზუსტად ისე. უფრო მეტად ამიტანა შიშმა და ამაკანკალა. თვალებიდან უფრო მეტად გადმომცვივდა ცრემლები და ავტირდი. ხმამაღლა ავტირდი და ვუყურებდი ქოჩორას საზიზღარ, გულისამრევ მზერას, რომელმაც ჩემკენ გამოიწია და ფანჯრის რაფიდან უცბათ აღებული პარკეტი გადამარტყა თავში. დაბლა დავეცი. პირველი, რაც ვიგრძენი, პარკეტიდან აორთქლებული შარდის სუნი იყო. ხელებით თავზე მანვებოდნენ და მარჯვენა ლოყით ცივ, ბინურ იატაკს ვგრძნობდი. ქოჩორა გამეტებით მირტყამდა პარკეტს ნელზე. ტკივილისაგან მოკრუნჩხული ხმასაც ვერ ვიღებდი. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ყველაფერი, რომელიღაცას რომ არ დაეძახა, სასწავლო ნაწილი მოდისო. ერთი წუთი? ორი? იქნებ მთელი დასვენება? როცა გაიგეს, რომ სასწავლო ნაწილი საჭირო ოთახისკენ მოდიოდა, წამოიშალნენ და სწრაფად გაცვივდნენ იქიდან. ნელა წამოვდექი. ტანსაცმელი და სახე სულ ტალახიანი მქონდა. იქვე, ნიჟარასთან მივედი. წყალი წვეთებად მოდიოდა. ხელი დავისველე, სახეზე მოვისვი და ზარის დარეკვამდე გარეთ არ გავსულვარ. მერე კი, როცა ყველა ბავშვი საკლასო ოთახში დაბრუნდა, პირველი სართულის ფანჯრიდან გადავხტი, ეზოში ვინმეს რომ არ დავენახე ატირებული და გარაჟების მხრიდან ბავშვთა სახლისკენ წავედი.



ნეტა მართლა მიმაგდო დედაჩემმა? იქნებ უბრალოდ სხვა გზა არა ჰქონდა და მაგიტომ? როგორ თქვა? მიქარა და გამოჩეკაო? დედაჩემი მაგას არ იზამდა. არ შეეძლო, ეგ ექნა. დედებს ხო შვილები უყვართ. სულ უყვართ და მასეთ რალაცებს არ აკეთებენ. მასე არაა? რატო მიმაბარებდა ბავშვთა სახლში, თუ არ მომკვდარა და თუ ცოცხალია? იმათმა არაფერი არ იციან. საიდან უნდა იცოდნენ? იმათ უბრალოდ უნდოდათ, რო გავემწარებინე და მეტირა. ეგ უნდოდათ მაგათ. მაგათ ხო სულ ეგ უნდათ, რო ვილაც ტიროდეს და მაგიტომ ატირებენ

ბავშვებს. სიამოვნებას იღებენ მაგით, ვიღაც რომ ტირის. მე ისეთი მყავს წარმოდგენილი დედაჩემი, მაგას არ იზამდა. დედაჩემი კეთილი იქნებოდა. ძალიან კეთილი და ლამაზი კიდე. ძალიან ლამაზი დედა მეყოლებოდა, ვიცი. კულულა თმები ექნებოდა და – მწვანე თვალები... და ლამაზი ღიმილი. სხვანაირს ვერ წარმოვიდგენ მე. თუ წარმოვიდგენ მარტო გაღიმებულს და კეთილს. არ მოუხდებოდა ასეთ ლამაზ ქალს მონყენილი სახე. იმათმა რაც ილაპარაკეს, ყველაფერი სისულელეა. იმათ რას ვუჯერებ? ისინი ყველას ეგეთ რამეებს არ ეუბნებიან, რომ იცინონ მერე? როგორ გამეტებით მირტყამდნენ. რა დავაშავე? დავუშავე რამე, უფალო? რა უნდა დამეშავებინა მაგათთვის? საერთოდ რას გვერჩიან, რა უნდათ?

მივუყვებოდი ტროტუარს და ღმერთს, რომელმაც საჭირო ოთახის ბინძურ იატაკზე, ქორორასა და მისი ძმაკაცების ხელში შემატოვა, ათასგვარ კითხვას ვუსვამდი. გზაში რამდენჯერმე ამეტირა. გაჩერდებოდი და ვტიროდი. ყველაფერი მტკიოდა. მთელი ძალით მირტყამდა ქორორა პარკეტს და იცინოდა თან. ტალახიანი და დასვრილი რომ დავენახე რომელიმე აღმზრდელს, არც ისინი დამაკლებდნენ ცემას. აღარ შემეძლო. გაქცევა მინდოდა. მეზიზღებოდა ჩემი აღმზრდელების გაბოროტებული სახეების დანახვა, რომლებიც დღე და ღამე სამზარეულოს მაგიდასთან ისხდნენ და მზესუმზირას გაუთავებლად აკნატუნებდნენ.

გამიმართლა, რომ მოსაცდელ ოთახში არც ერთი არ დამხვედრია. სწრაფად შევედი ჩემთან, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ფანჯრის რაფასთან ჩამოვჯექი. გარეთ ისევ ისე დასდევდნენ პატარა ბავშვები ბურთს და გამახსენდა, როგორ ძალიან მინდოდა ეზოში ყოფნა მაშინ, როცა ჯერ კიდევ პატარა ვიყავი და გარეთ არ მიშვებდნენ. მეგონა, ფანჯარაზე აკრულ გისოსებს მიღმა, სხვა სამყარო დამხვედებოდა. მეგონა, გავეცლებოდი მუდმივ აგრესიასა და ზიზღს ცოტა ხნით მაინც და გაუსაძლის რეალობას ზურგს შევაქცევდი. ახლა კი ვხვდები, რომ ამ სამყაროში ძალიან ცოტა სიყვარულია. იმდენად ცოტა, რომ შეიძლება მთელი ცხოვრება ისე

იცხოვრო, ვერ მიაგნო – ვერ გადაწყდე.

● ბავშვთა სახლში სამი აღმზრდელი გვყავდა: რიტა, გაია და ნონა. ამ სამი მათგანიდან ძნელია რომელიმეზე ვთქვა მიყვარდა-მეთქი. თითოეულში იყო ჩალვრილი დაუცლელი ზიზღი და სიძულვილი ჩვენდამი – რაღაც მოუშორებელი განცდა იმისა, რომ მათ ცხოვრებას უარესობისკენ ვცვლიდით, თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, აღმზრდელ გაიასთან გვერჩივნა ყველას, – უფრო მეტად ველოდებოდით ორშაბათს და ოთხშაბათს, როცა საღამოს ცვლაში უწევდა ჩვენთან დარჩენა. ჩამოვდებოდა მოშორებით და შუალამემდე, კროსვორდების შევსებით ანდაც ტელეფონზე ლაპარაკით ირთობდა თავს. ჩვენ კი უფრო მეტ დროს გვჩუქნიდა, მისთვის ხელი რომ არ შეგვეშალა და ტელევიზორის ყურების უფლებასაც კი გვრთავდა იმაზე დიდხანს, ვიდრე ჩვენთვის იყო განკუთვნილი და თუ ისე მოხდებოდა, რომ უშუქოდ გვიწევდა ყოფნა, მაღალ თაროზე შემოდგმულ მაგნიტოფონსაც გვთხოვნიდა ხოლმე, კასეტებზე ჩანერილი მუსიკებისთვის რომ მოგვესმინა.

აღმზრდელი რიტა ყველაზე მეტი სიძულვილით გამორჩეოდა ჩვენდამი. ერთადერთი იყო, ვინც ბავშვებს უმოწყალოდ, თვალის დაუხამხამებლად, გულის აუჩუყებლად გვცემდა. ამისთვის არ იყო საჭირო რაიმე მიზეზი, ისე, უბრალოდ ხდებოდა ეს ყველაფერი, რადგან ჩვენ, საკუთარ ოთახებში გამომწყვდეული ბავშვები, ერთადერთი საშუალება ვიყავით, ჯავრი ვინმეზე რომ ეყარა და თავისი საშინელი ხასიათით ავსებული სხეული როგორმე დაეცალა. ყველა აღქაჯ რიტას ეძახდა, ყველა ბავშვს სძულდა და რამდენადაც სძულდათ, იმდენად ეშინოდათ მისი.

ნონა აღმზრდელი ხასიათების ქალი იყო, თუმცა მკაცრი და პრინციპული. შეიძლება დღეები ისე გასულიყო, ხმა არ აქმედებინა ჩვენთვის. სულ ჩუმად დადიოდა. იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას და ისიც მაშინ, როცა საჭმელად, დასაბანად ან ეზოში გასაყვანად გვეძახდა ხოლმე, თუმცა ჩამავებულები და დასიებული

თვალეობით ყოველთვის გვაგრძობინებდა იმას, რასაც არ ამბობდა. მერე, ცოტა რომ წამოვიზარდე, ხმები დაირხა – შვილი ჰყავს მკვდარი და მაგიტოა ასე გაბოროტებული. შესახედაობით ლამაზი ქალი იყო. ცუდ ცხოვრებას დაებერებინა, ეტყობოდა. რიტასთან და გაიასთან შედარებით, ის იყო ყველაზე ახალგაზრდა, ტკივილითა და დარდით ავსებული ქალი, რომელსაც ეს ყოველივე, ზიზღში და სიძულვილში გადაეზარდა. გადაეზარდას იმიტომ ვამბობ, რომ ღრმად მწამს, არ არსებობს ადამიანი თავისი ნებითვე გაბოროტდეს – თავისი ნებითვე შეიძულოს რაღაც ან ვიღაც. შეუძლებელია. ამ ყოველივეს ყოველთვის რაღაც, უხილავი, ან კარგად ხილული ახლავს, რომელიც ადამიანში ნელ-ნელა, ეტაპობრივად იღვენთება. იმხანად, როცა ყველაფერი ამოყირავდა და ქვეყანამ მომაკვდავი პაციენტით დაიწყო სუნთქვა, ადამიანები გაბოროტდნენ, შეიცვალნენ. ეს ყველაფერი კი დრომ ქნა. დრო კი, ერთადერთია, რაც ადამიანებში სასტიკ მეტამოფროზას იმდენად მალე იწვევს, შეუძლებლად მოგეჩვენება დაჯერება. რაღაც დროის შემდეგ, როცა შენი მატარებელი რელსებს მოსწყდება და მომავლისკენ გეზს აიღებს, მერე გინევს უკან მოხედვა. უკან მოხედვა კი ერთადერთი რამაა, რაც შენს თავს სხვაგვარად განახებს. არაფერს შეუძლია იმაზე უკეთ შენი თავი ხელში შემოგაჩეროს, როგორც წარსულს და როცა ეს მოხდება, მერე იწყებ რაღაცეების გადაზარებას; რაღაცეების, რასაც ანმყო დროში ვერ დააკვირდები და ვერ გაუმტერებ თვალს. წარსულის დანახვას კი, მხოლოდ მომავალი სჭირდება და სხვა არაფერი.

● როცა მთელ ქალაქში სიტყვა „ომი“ ისმოდა, როცა ყველგან ერთადერთი სალაპარაკო თემა იყო, ოთახში ჩაკეტილი, კუნტრუშას ჩემი სკოლის ისტორიებს ვუყვებოდი ხოლმე. მთელი გულით მჯეროდა, რომ მისმენდა. შეიძლება ეს ჩემივე შექმნილი ილუზია იყო, თუმცა სხვა გზა არ მქონდა. უნდა მელაპარაკა, უნდა დამეჯერებინა ის, რისი დაჯერებაც მეტად სასაცილო შეიძლება

ყოფილიყო სამყაროსთვის. ვუყვებოდი ამბებს, რომელმა ამბებმაც საშინლად გამაძლიერა. ამას მერე მივხვდი. ძალიან ბევრი წელი რომ გავიდა, მერე ვიგრძენი ის, რაც არასდროს მიგრძენია – სიძლიერე და ყველა სიტყვა, რომელიც კი დამცდენია, უფრო მეტად შემეყვარდა. კუნტრუშა ჩემი ერთადერთი მსმენელი იყო ბავშვთა სახლში. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მუდმივად შეეძლო ჩემთვის მოესმინა. იმ ზაფხულს, როცა ქოჩორასთან პირველად შეხვედრის ამბავს ვუყვებოდი, ხმამალა დაიწყო სიცილი. მთელი გულით ხარხარებდა და მეც ავყევი. ვისხედით ორნი ოთახის იატაკზე და ჩვენი სიცილი ბავშვთა სახლის კედლებს ანგრევდა. ეს იყო ყველაზე გაბედული აქტი ჩვენი და ამ აქტმა მიმიყვანა, ალბათ, იქამდე, სადაც ახლა ვარ. სიმართლე გითხრათ, ახლა რომ ვარ, ეგეც მიკვირის. სად ვარ, ეგ მეორე ამბავია, მაგრამ, რაც მთავარია, იქ ვარ, სადაც მთელი ცხოვრება მინდოდა ყოფნა – სიმშვიდეში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შეუძლებელია ადამიანი წარსულს დაემალოს.

● ყველაფერი, ერთი შეხედვით, ისე მიედინებოდა, როგორც ბავშვთა სახლში მყოფი ადამიანის ცხოვრებაში. სიახლეების გარეშე. ომი, როგორ სწრაფადაც დაიწყო, ისე მალევე დასრულდა და სექტემბრის დასაწყისში ყველანი სკოლაში წასასვლელად ვემზადებოდით. ჩვენი სახლიდან არც ისე მოშორებით ერთი საპარიკმახერო იყო, სადაც ქათქათა, თეთრ ხალათებში გამონყობილი, ხანში შესული მელოტი კაცები მუშაობდნენ. წელიწადში რამდენჯერმე იქ მივყავდით ხოლმე თმების შესაჭრელად ხან გაიას და, ხან რიტას. ნონას – იშვითად. იმ დღეს კი, როცა თმა უნდა შემეჭრა, არც ერთს არ ეცალა და მარტო გამიშვეს. გამიხარდა. მატრასის ქვემოთ ყოველთვის ვინახავდი ხურდებს: ხან ოც თეთრს, ხან ათს, ხან ოქროსფერ ორმოცდაათთეთრიანს, მერე ჩუმად შოკოლადებს ვყიდულობდი და კუნტრუშასთან ერთად ვჭამდი ხოლმე. მთელი აგვისტო ვაგროვებდი ფულს იმისათვის, რომ კუნტრუშასთვის

ახალი რუბიკი-კუბიკი მეყიდა. ძვირი არ ღირდა, მაგრამ არც ცოტა მქონია. ამიტომ, როცა ხილ-ბოსტნის მაღაზიაში მგზავნიდნენ, თუ შესაძლებელი იყო, რამდენიმე თეთრს ვიპარავდი და ხურდას არასწორად ვუბრუნდები ხოლმე. ამით პატარა დანაზოგის გაკეთება შევძელი და მატრასის ქვემოთ დაგროვებული ხურდები ჯიბეში ჩავიჩხრიალე.

კუნტრუმასთვის ახალი რუბიკი-კუბიკი უნდა მეყიდა.

თმა რომ შევიჭერი, საპარიკმახეროს გადაღმა მდგარ ბუტკასთან გადავირბინე. ყველაზე დიდი რუბიკი-კუბიკი შევარჩიე და ბედნიერი გამოვტრიალდი უკან. გზაში ვცდილობდი ამეწყო, მაგრამ ვერ ვახერხებდი. რამდენჯერმე მაინც ვცაადე. კუნტრუმა აწყობდა. არავის უსწავლებია მისთვის, მაგრამ სულ აწყობდა ხოლმე. ყველა ფერს ერთად მოაქცევდა და სიხარულისგან აქეთ-იქით დახტოდა. ერთი სული მქონდა, როდის დავინახავდი მის ბედნიერ სახეს და თვალებს. როცა გაიამ კუნტრუმას რუბიკი-კუბიკი კედელს შემოახეთქა, თითქოს სათამაშო კი არა, კუნტრუმას ბავშვობა დაამსხვრია, მაგრამ ამას ვერ მიხვდა ვერც მაშინ და, დარწმუნებული ვარ, ვერც მერე, როცა მენიგეტი დაემართა და ძალიან მალევე დალია სული.


ბავშვთა სახლს მალევე მივუახლოვდი. შიგნით შესვლისას პირველი, რისი დანახვაც შევძელი, კუნტრუმას ოთახის ღია კარი და ბავშვების შემლილი სახეები იყო. სააბაზანოდან ჯერ კიდევ ისმოდა მოშვებული ნყლის ჩხრიალი და რიტას ხმა:

„დამლუპა ამ უპატრონომ და დამაქცია ამ უჯიშომ, დამლუპა და დამაქცია!“ – ყვიროდა რიტა და თავში ხელები ჰქონდა ნაშენილი. მთელი ტანი დამიბუჟდა

და კეფა ამენვა, როცა კუნტრუმა თავის საწოლზე მთლიანად გალურჯებული, უსულოდ მწოლიარე დავლანდე. სახეზე გარედან შემოღწეული ერთადერთი მზის სხივი ეცემოდა და ისე იწვა, გეგონებოდა, ტკბილად ეძინა. რუბიკი-კუბიკი ხელიდან გამივარდა, კედელს ზურგით მთელი ძალით მივენარცხე და მალალ ხმაზე ავტირდი.



სახლი, სადაც ახლა ვცხოვრობ, ზღვის ნაპირასაა. აქ კი ზუსტად ისე ამოდის მზე და ისე დაფრინავენ თოლიები, როგორც იმ ნიგნში, ბავშვობაში რომ ნავიკითხე და როგორც იმ ნახატში, ჩვენი სამზარეულოს კედელზე რომ ეკიდა. მართალია, სხვა ქალაქში ვცხოვრობ, მაგრამ დღე არ გავა თბილისის ყველაზე მიტოვებულ და მიგდებულ ბავშვთა სახლში რომ არ დავბრუნდე. იმ დროს, როცა სამყარო მეზიზღებოდა და, როცა სამყაროსი მეშინოდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი დავკარგე. არ ვიცი, რა მოხდებოდა, მე რომ თმის შესაჭრელად ანდაც ახალი რუბიკი-კუბიკის საყიდლად არ წავსულიყავი. წარმოდგენა არ მაქვს. ის, რომ კოტე მარტო არ უნდა შეეშვათ საბანაოდ, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ამ ყველასგან, არავის გახსენებია, როგორ უყვარდა კოტეს ყვინთაობანას თამაში. კოტემ ჩაყვინთა და უბრალოდ ამოყვინთვა ველარ შეძლო. თვალები ძლიერად დახუჭა და ეს საზიზღარი და დაუნდობელი სამყარო გამოიცვალა. მე კი ყოველ დილას, როცა მზის ამოსვლას სანაპიროდან ვაკვირდები, როცა ჩემს თავზე თოლიები დაფრიალებენ, მხოლოდ ერთადერთ და შეუცვლელ კითხვას ვსვამ: რატომ ვართ ადამიანები ასეთი სასტიკები, ღმერთო?!



## მაია ჯალიაშვილი

### რომანი-აპოკრიფი

(გიორგი კაჭარავას რომანი „პილატე და კაიაფა“)



მსოფლიო ლიტერატურაში სხვადასხვა ჟანრის არაერთი მხატვრული ნაწარმოებია, რომლებშიც ბიბლიაში (ძველსა თუ ახალ აღთქმაში) მოთხრობილი ამბები ახალ ქრონოტოპშია გადააზრებული, ნაცნობი სიუჟეტები მოდიფიცირებულია, შეცვლილია, მიმატებულ-გამოკლებულია, მაგრამ წყაროსთან კავშირი

(პირდაპირი თუ ირიბი), სხვადასხვა დონეზე (სახელების, ხასიათების, ტოპონიმების, სიუჟეტური პერიპეტეიებისა და სხვ.) კავშირი შენარჩუნებულია. ამგვარად, მკითხველი თავისუფლად ამოიცნობს ნაცნობ ბიბლიურ გმირებსა და მათს თავგადასავლებს. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: ლეონიდ ანდრეევის „იუდა ისკარიოტელი“, მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“, ნიკოს კაზანდაკისის „იესო კვლავ ჯვარს ეცმის“ და „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“, სელმა ლაგერლოფის „ლეგენდები ქრისტეზე“, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო ძე კაცისა“, ფრანსუა მორიაკის „იესოს ცხოვრება“, ბორხესის „იუდას გაცემის სამი ვერსია“, ჟოზე სარამაგუს „იესოს სახარება“ და „კაენი“, ერიკ ემანუელ შმიდტის „პილატეს სახარება“ და სხვ. ლიტერატურათმცოდნეობაში ასეთი ნაწარმოებები ახალი ტიპის აპოკრიფებადაა მიჩნეული. სწორედ ასეთი რომანი-აპოკრიფია გიორგი კაჭარავას „პილატე და კაიაფა“.

ქართულ ლიტერატურულ ტრადიცი-აშიც მძლავრად წარმოჩნდება ბიბლიური მოტივები, სიმბოლოები, ალუზიები და სხვა. კონკრეტულად, ლიტერატურულ აპოკრიფებად კი შეიძლება მივიჩნიოთ, უპირველესად, დავით გურამიშვილის „დავითიანის“ ზოგიერთი ეპიზოდი, მაგალითად, „ადამის საჩივარი“ და „ღვთისმშობლის ტირილი და მოთქმა“. ამ ორ ლექსში პოეტი ისეთ ამბებს გვიყვება, რომლებიც ბიბლიურ კონტექსტს მიესადაგება, ამ შემთხვევაში იგი არ

ცვლის ხასიათებს, მაგრამ წარმოსახვით ავსებს და აფართოებს მათ. რომან-აპოკრიფთა მხატვრულ ნაირსახეობათა შორის, აგრეთვე, შეიძლება დავასახელოთ გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, რომელშიც ქვეტექსტურად, დაშიფრულად ირეკლება უძღვები შვილის შინიდან წასვლის, თავგადასავლებისა და შინ დაბრუნების ამბავი. აპოკრიფულია, აგრეთვე, მიხეილ ქვლივიძის „იუდას მონოლოგი“, ლაშა იმედაშვილის „იესოს საქმე“, მაკა ჯოხაძის „ადუი“, „მარიამ მეგვიპტელი“, „ჩოჩორიკას თოვლი“, გივი მარგველაშვილის „ნიგნის გმირების დროული გადასახლება“, „ისააკის გაქცევა ბეთლემში“ და სხვ.

ოღითგანვე ხელოვანთათვის ბიბლიური სიუჟეტები თუ პერსონაჟები ძლიერი შთამაგონებელი წყაროა. თანამედროვე სამყაროშიც გრძელდება ლიტერატურულ აპოკრიფთა შექმნა. ამ ტიპის ნაწარმოებებში მწერლები თავისუფლად, ერთგვარი არტისტულობითა და თამაშით ეპყრობიან საკრალურ ტექსტებს. პერსონაჟებსაც სრულიად ახალ კონტექსტებში, განსხვავებული რაკურსებით წარმოაჩენენ, ცვლიან ხასიათებს, გარემოს, რათა საკუთარი სათქმელი სწორედ ამ პარადიგმულ სახეთა მეშვეობით გამოხატონ.

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამგვარ რომან-აპოკრიფად შეიძლება მივიჩნიოთ გიორგი კაჭარავას ისტორიული რომანი „პილატე და კაიაფა“. ორივე სახარებისეული პიროვნება ხშირად გვხვდება ლიტერატურაში, თუმცა, ამ თვალსაზრისით, პილატეს ტრანსფორმირებული სახე უფრო გამოკვეთილია. მაგალითად, ორ რომანში ის მთავარ გმირად გვევლინება. ვგულისხმობთ შმიდტის „პილატეს სახარებას“ და მიხაილ ბულგაკოვის „ოსტატსა და მარგარიტას“.

გიორგი კაჭარავას რომანის მთავარი თემები ეგზისტენციალურია, ავტორს მხატვრულ სახეთა მეშვეობით სურს წარმოაჩინოს ადამიანის სიცოცხლის საზრისი, კონკრეტულ დროსა და სივრცეში მისი ხანმოკლე არსებობის დანიშნულება. აქაც წარმავალი და მარადიული ერთმანეთს უპირისპირდება. ცოდვისა და მადლის კონტექსტებში წარმოჩნდე-

ბა ის ღირებულებები, რომლებიც ადამიანის ყოფას განსაზღვრავენ ნებისმიერ დროში, მათ შორის, თანამედროვეობაშიც. მწერლისეული წარმოდგენები რელიგიური და ლიტერატურული ტექსტებითაა შთაგონებული. ადამიანის სულშია პილატეცა და კაიაფაც, ქრისტეცა და იუდაც, მთავარია, რომელს ასაზრდოებს თავისი შიშითა თუ სიყვარულით, რომელს მისცემს ძალას თავისი სიკეთითა თუ ბოროტებით. დანტემაც ასე გვამოგზაურა ადამიანის სულის ჯოჯოხეთში, განსაზღვრავს თუ სამოთხეში, რათა ეჩვენებინა ცოდვისა და არარაობისაგან ხსნის გზა. ადამიანში „მოსახლე“ დემონი გამუდმებით დევნის ღვთაებრივს, ისევე როგორც განდევნა დიდმა ინკვიზიტორმა მეორედ მოსული ქრისტე სიტყვებით: „წადი და ნულარ მოხვალ, საერთოდ აღარ მოხვიდე... არასოდეს, არასოდეს!“ და „ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში გაუშვა იგი“ (დოსტოევსკი, „ძმები კარამაზოვები“).

გიორგი კაჭარავა რომანში უფრო აღრმავებს იესო ქრისტესა და პილატეს „სულიერი ნათესაობის“ ხაზს, რომელიც ბულგაკოვის რომანშია. ამიტომაც აქვს ეპიგრაფად ამ რომანიდან ფრაზები: „ოსტატი პოეტის ნათქვამმა ააღელვა, სანოლის კიდეზე ჩამოუჯდა და ისე უთხრა: ეს ძალიან კარგია, ძალიან კარგი... შენ გააგრძელებ ჩემს რომანს, ჩემო მოწაფე!“. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ქვეტექსტურად წარმოჩნდება ავტორის ფარული სურვილი, რომ თვითონაც იყოს ამგვარი „გამგრძელებელი“. მას მოწაფეობა, გარკვეულწილად, გამოსდის კიდეც, რადგან სახარებისეულ პერსონაჟთა საინტერესო აპოკრიფულ მხატვრულ სახეებს ქმნის, დამაინტრიგებლად გვიყვება იმ ამბებს, რომლებსაც სხვა რომანებში ვერ შევხვდებით, რადგან მისი გამოგონილია.

პილატესა და კაიაფას დაპირისპირება სახარებაშივეა გამოკვეთილი. მიხაილ ბულგაკოვიც მიაქცევს ამას ყურადღებას. გვახსენდება მათი ერთი საუბრის ეპიზოდი, როდესაც პილატე ეტყვის, რომ მის გვერდით „სული ეხუთება“. კაიაფა კი ბრალს დებს იუდეველთა რწმენის ნაბილწვისა და „რომაული მახვილის ქვეშ მოქცევის“ ამო განზრახულობაში. ეს

დაპირისპირება საინტერესოდ არის დახატული სხვა მწერლებთანაც. გიორგი კაჭარავასთვის კი ეს ანტაგონიზმი რომანის ხერხემალია. მათი სახით მწერალმა წარმოგვიჩინა სულიერ-მატერიალური ძალაუფლებისთვის მებრძოლი ორი გამოკვეთილად ინდივიდუალური სახე-ხასიათი.

თავიდანვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ავტორი შესანიშნავი მთხრობელია, მკითხველის წარმოსახვაში თავისუფლად ჩნდებიან მის მიერ ექსპრესიულად აღწერილ პერსონაჟთა ვიზუალური ხატები. ასევე, დამაჯერებლად არის წარმოჩენილი ის პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული სივრცე, რომელშიც მოიქცევა ალწერილი მოვლენები. ავტორი ყურადღებას მიაქცევს იმ დრამატულ ამბებს, რომლებიც რომის სახელისუფლებო წრეებში მიმდინარეობდა. ავტორისთვის მნიშვნელოვანია ის სულიერ-ზნეობრივი გარემოც, რომელიც მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს განსაზღვრავდა. საინტერესოა რომანის სტრუქტურაც: პირველ ნაწილში პილატეს პონტოელი გვიყვება ამბავს, ხოლო მეორე ნაწილიდან კაიაფაც „ჩაერთვება“ თხრობაში. ამგვარად, მწერალი ხატავს, თუ როგორ აღიქვამს ეს ორი პერსონაჟი ერთსა და იმავე ფაქტს, მოვლენას და მათი დაუნდობელი, ურთიერთგანადგურების სულისკვეთებით გამსჭვალული „დეულის“ მაყურებლებად გვაქცევს. იესოსთან ურთიერთობა ორივეს ტრანსფორმაციას იწვევს. მაგალითად, პილატეს მისი პირველად მოსმენისას უცნაური განცდა დაეუფლა: „თითქოს ანკარა წყარო მორაკრაკებდა გამშრალ კლდეთა ნაპრალებიდან, რათა მის წიაღში ჩაგუდული სულები გაეცოცხლებინა“. კაიაფასაც აღეღებებს იესოს ქადაგება და ფიქრობს: „ვცხოვრობთ უკუნეთსა და წკვარამში, და რომ ჭეშმარიტების შუქი მუდამ გვაფრთხობდა ცოდვილებს“.

მწერალი პილატეს ბედისწერას თავიდანვე გამოკვეთს. მისი რომანისეული ამქვეყნად მოვლინება რალაციით ჰგავს იესო ქრისტეს შობის ამბებს. როდესაც ქრისტე ბეთლემში დაიბადა, აღმოსავლეთიდან მოსულმა მოგვებმა უთხრეს ჰეროდეს: „სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი

ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვცეთ მას“ (მათე, 2, 1). ჰეროდე „ძალზე განრისხდა, წარგზავნა ხალხი და ამოანყვეტინა ყოველი ყრმა ბეთლემსა და მთელს მის შემოგარენში, ორ-ორი წლისა და უმრწემესნი (მათე, 2, 16). უფლის ანგელოზს რომ არ გაეფრთხილებინა იოსები და მარიამი, ქრისტესაც ასე მოაკვდინებდნენ. ჩვილ პილატესაც უწინასწარმეტყველეს „ბრძენმა ფლამინებმა“, რომ სახელოვანი კაცი იქნებოდა: „ახალშობილი იქნება ყველაზე ცნობილი რომაელ კაცთა შორის და მის სახელს წარმოთქვამენ ადამიანთა ვაების დასრულებამდე ღმერთთა უფლის სახელთან ერთად...“. „შემინებული“ იულიუს კეისარი მკვლელებს აგზავნის ახალშობილის მოსაკლავად, მაგრამ, გარემოებათა წყალობით, პილატე გადაურჩება სიკვდილს. ეს წინასწარმეტყველება თან სდევს მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში და განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ ნაბიჯებს. პილატეც იჯერებს თავის გამორჩეულობას და ამიტომაცაა, რომ თავდაუზოგავად ისწრაფვის პირველობისაკენ, ყოველი გამარჯვების ჟამს ეუფლება განცდა, რომ წინასწარმეტყველება აღსრულდა, თუმცა შემდეგ აცნობიერებს, რომ მხოლოდ რომის კეისრობა დაუსვამს წერტილს მის სწრაფვას ძალაუფლებისაკენ.

მწერალმა შესანიშნავად იცის რომის ისტორია და კონკრეტული ეპოქა, ამიტომ ცოცხლად გვიხატავს იმ დროის პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს. მკითხველის თვალწინ ჩაივლის პილატეს უზრუნველი ბავშვობა, ვხედავთ, ვინ და რა გარემოებები ახდენენ ზეგავლენას მისი მორალურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაზე. მწერალი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ ინერგებოდა მის ცნობიერებაში რომის იმპერიალისტური ზრახვები: „თითქოს თვითონ ღმერთები მიდიოდნენ მარშით, რათა მუხლებზე დაეჩოქებინათ ერები, რომლებმაც რომის ურჩობა გაივლეს გულში“, „თუ ჩვენ ჩივილის არ შევიტანთ ბარბაროსებში, ისინი კიდევ უფრო მეტად დაკარგავენ ადამიანურ სახეს და მუდმივ საფრთხეს შეუქმნიან რომს!“ ეს სტრიქონები ეხმიანება თანა-

მედროვეობასაც. ჩვენს დროში სწორედ „ახალი რომის“ ამბიციით ხორციელდება ძალადობრივი პოლიტიკა საქართველოს და სხვა ქვეყნების მიმართ, ამიტომაც, როცა ჯოჯოხეთს ხატავს, მწერალი „ჩრდილოეთს“ წარმოაჩენს, როგორც ყველაზე ამაზრზენს. საღვთისმეტყველო სწავლებითაც, ჩრდილოეთი ბოროტების მხარეა. პილატე იზრდება ტრადიციული იდეალებით: „მე ყოველ ღამე ვკითხულობდი აპოლონიუს როდოსელს, ძველი ბერძნების გასაოცარ თავგადასავალს რომ ჰყვებოდა და ვოცნებობდი დღეზე, როცა, თუნდაც შორეულ-შორეულ მომავალში, ადამიანები სიმღერას შეთხზავდნენ რომაელ გმირზე ტკბილხმოვანი სახელით „წონტიუს ჯილატუს!“ „ადამიანთა მოდგმიდან ოლიმპოზე მხოლოდ გმირები თუ ავლენ, და ისიც რჩეულნი! – მაფრთხილებდა მამა. მაშასადამე, ჩემი მომავალი განსაზღვრულია: მე გავხდები გმირი, და არა მარტო გმირი, არამედ ყველაზე გამორჩეული ამ გმირთა შორის!“

უძლეველობის პირველ შეგრძნებას პილატეს ჰეტერა ლოლოა აკარგვინებს თავისი ჯადოსნური კოცნით. პილატე აქაც ისევე იღვიძებს ახალი ცხოვრებისთვის, როგორც მძინარე მზეთუნახავი ცნობილ ზღაპარში: „მთელი ღამე მაცივებდა. დედა საფენებს მიცვლიდა გახურებულ შუბლზე და ოჯახის მკურნალს ჩემს გადარჩენას შესთხოვდა“. აქ შეიძლება დავინახოთ „ვეფხისტყაოსნისეული“ ალუზიაც – ნესტანთან შეხვედრისას ტარიელის ტირილი და დაბნედა, სამი დღე უგონოდ ყოფნა. აქ ხდება მისი პირველი გარდაქმნა, მაუნყებელი იმისა, რომ პილატეს კვლავ სიყვარულის გზით ტრანსფორმაცია მოეღოს, ოღონდ ის უკვე სხვანაირი, ღვთაებრივი, არამინიერი გრძნობა იქნება. კვლავიას სიყვარული გადაალახვინებს შიშსაც და პილატეს იესო ქრისტეს ფარულ „მოკავშირედ“ აქცევს.

პილატე მოგვითხრობს, როგორი სიმამაცითა და იოლად მიიწევს წინ სამხედრო კარიერის კიბეზე, თუმცა ყურადღების მისაქცევია ერთი ნიუანსიც. მას მეომრისთვის დამახასიათებელი გაქვავებული გული არა აქვს, ესთეტია, მშვენიერების აღქმა შეუძლია და სწორედ ამ

გზით ეზიარება რალაც იდუმალს. იგი უშიშრად ხოცავს მტერს, მაგრამ თანვე სიკვდილის იდუმალეზაც აფიქრებს: „დიდხანს ვიდექი უზარმაზარი მინდვრის შუაგულში: დაისის ცქერით ვტკბებოდი. მწვანე გორაკს მიღმა ჩამავალი მზე, რატომღაც გადამნიფებულ ფორთოხალს ვამსგავსე. გავცქეროდი უცნაურ სილამაზეს და მოულოდნელად იმ მეომრებზე ფიქრმა გამიტაცა, ვისაც ხვალ წაფუძლევებოდი ბრძოლაში და ვისთვისაც ეს მზის ჩასვლა უკანასკნელი აღმოჩნდებოდა. შეეკრთი“. ადამიანის ამგვარი შინაგანი შეძვრა ქრისტესთან შეხვედრისას აღარ გაგვიკვირდება, რადგან იმისთვის, რაც პილატემ დაინახა, სულიერი თვალის ახელაა საჭირო.

იმისათვის, რომ უფრო ცოცხლად დაგვიხატოს პერსონაჟის ბუნება, ავტორი მათ ექსტრემალურ სიტუაციაში ხატავს. როგორც არისტოტელე „პოეტიკაში“ შენიშნავს, პერსონაჟის ბუნებას წარმოაჩენს ის, თუ რა არჩევანს აკეთებს. კელტებთან ბრძოლა, მოწინააღმდეგე „ნითურ დათვთან“ შერკინება, ბრძოლის დროს მუშტი-კრივი, სიცილ-ხარხარი და სამოსის გაცვლა, დამეგობრება, ტიბერიუსის მიერ პილატეს „მოჩხუბარას“ ზედმეტსახელით მონათვლა – ეს ყველაფერი თხრობას დინამიკას მატებს. წლებს თავისი გამოცდილება მოაქვს, გერმანიკუსთან მეგობრობა აფიქრებინებს, რომ ახდა მისი რჩეულობის წინასწარმეტყველება და ასკვნის: „უმჯობესია, ადამიანი ანმყოში დარჩეს და შეიგნოს პითაგორას შესანიშნავი დარიგება: „ბედნიერების საიდუმლო ანმყოში ცხოვრების ცოდნაა!“ 33 წელი მისთვისაც მნიშვნელოვანია. იგი ტიბერიუსს გადაარჩენს მოულოდნელი მკვლელი თავდამსხმელისაგან, რის გამოც „ღვთიურმა აუგუსტუსმა რომის იმპერიის მფარველი ანგელოზი“ უწოდა. პილატეს „ისევ აქვს განცდა, რომ ახლა ნამდვილად აღსრულდა ბრძენი ფლამინების სიტყვა!“. ჩვენც, მკითხველები, კვალდაკვალ მივდევთ ამ წინასწარმეტყველებას, თუმცა ჩვენ ვიცით ის, რაც პერსონაჟმა ჯერ არ იცის, რომ ეს არ არის „წინასწარმეტყველებათა ახდენა“, თუნდაც მომხდარი ასეთი მნიშვნელოვანი იყოს: „ოცდაცამეტი წლის ასაკში



მე ისტორია შევცვალე, მაგრამ ეტყობა, ჩემთვის ესეც არ იყო საკმარისი“. პილატე პატივმოყვარეა და მისთვის რომის იმპერიის კეისრობაა მთავარი ოცნება, მაგრამ მკითხველმა იცის, მის ცხოვრებაში მთავარი ქრისტესთან შეხვედრა იქნება. პილატე ნამდვილ ისტორიას მაშინ შეცვლის, როდესაც ქრისტეს ჯვარცმის განაჩენს გამოუტანს.

პილატეს მწერალი ხატავს, როგორც მოფიქრალ ადამიანს, რომელსაც ალღევებს არსებობის აზრი და მიზანი. საგულისხმოა მისი ასეთი მრავალმნიშვნელოვანი დაკვირვება: „ის, რომ არსებობს და ისი და არსებობს ჰორიზონტი, რომელსაც ვერასოდეს დაენევი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი არსებობის მიზეზები. სიცოცხლეს მეცნიერება ვერანაირად ვერ ახსნის, და ეს მშვენიერია: ესე იგი, ვერ მოვსპობთ მას, როგორც ვსპობთ ყველაფერს, რაზეც მიგვიწვდება ხელი“. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მეომარია, პილატეში პაციფიზმის ნაპერწკალი ღვივის: „ვერც ერთი ომი, მიზნით თუ უმიზნოდ, ვერ გაამართლებს სიცოცხლის ხელყოფას. ადამიანები ვერასოდეს გაიგებენ ყოფიერების საიდუმლოს, რათა მახვილი არ აღმართონ მასზე. ჩვენ ბარბაროსები ვართ და ზღაპრული სილამაზის, განუმეორებელი ფერის ჰორიზონტებს დავდევთ, რათა წავშალოთ მათი სილამაზე“. პილატეს პიროვნების კეთილშობილებას კარგად წარმოაჩენს გერმანიკუსთან მეგობრობის საუკეთესო მოგონებები, მშობლებთან ურთიერთობა. მას ახსოვს მამამისის ნათქვამი: „სიბერე არც წლებია და არც ნაოჭები, სიბერე თვალებში გამქრალი ნაპერწკლებია...“

პილატეც ფიქრობს ომისა და მტრობის უაზრობაზე ალღუდა ქეთელაურივით: „და ვერ გავიგე მე, მათრობელა ღვინის მიზეზით, რატომ არის წითური დათვი მტერი ჩემი და რატომ ვარ მე მტერი მისი? ვინ და როდის დაგვადგინა მტრებად, როცა მთელი შეგრძნებით ვხვდები: საუკეთესო მეგობრები გავხდებოდით, სხვა ვითარებაში რომ შევხვედროდით ერთმანეთს. რა გამოდის, ცხოვრება ვითარებაა?“ პილატეს აფიქრებს ეგზისტენციალური კითხვები, რომლებზე პასუხების

ძიებაში იბადება აზრის ფილოსოფიური ნაკადები. პილატეს სიზმარში მკვლელთა თავდასხმა, რომელიც რეალობაშიც ხდება, იმაზე მინიშნებაა, რომ სიზმარ-ცხადი ერთი და იგივეა: „ეს დასასრულია. ბედს ვურიგდები, მაგრამ ბასრ მახვილს ვერ ვაშორებ თვალს, უკანასკნელად რომ გაიბრწყინებს გაელვების შუქზე და მერე... ისე, ჩვენში რომ დარჩეს – რა მერე? პირველად გავიაზრე და გამიკვირდა, აქამდე რომ არასოდეს მიფიქრია სიკვდილის გარდაუვალობაზე“.

ავტორი ნელ-ნელა „ამზადებს“ პილატეს იმისთვის, რომ მისი მზერა სულში ჩაღრმავდეს, რათა მერე ბუნებრივი იყოს მისი ქცევა თუ ფიქრები: „იმედი მყიფეა და ვერასოდეს აღმართავს კიბეს ზეცისკენ. ტყუილსაც თავისი სახელი აქვს, პატივცემულნი და მას სიამაყე ჰქვია. სწორედ სიამაყე გვიბნელებს გონებას, გვიბამს თვალებს, ცაში ამავე კიბეს მტრის გვამებით გვიკირწყლავს და გვიმძიმებს სულს“.

რომანში ქრისტიანობისთვის წამებულ ღონგინოსასის თავის აპოკრიფული სახეცაა დახატული. მწერალი მისი ცხოვრების საინტერესო ქრონიკას ქმნის და დასამახსოვრებელ პერსონაჟად აქცევს. პილატემ ქრისტიანულ მცნებათა რეალური ხორცშესხმა მაშინ შეიგრძნო, როცა ერთგულმა ღონგინოსმა მკვლელთა პატიება სთხოვა: „შენ მათ შეწყალებას ითხოვ, იმათმა კი ლამის სიცოცხლეს გამოგასაღმეს. – ჰო, მაგრამ მე გადავრჩი და მსურს ვაპატიო“.

ერთ ეპიზოდში პილატე იმეორებს ჰანოცრის სიტყვებს, პილატეს რომ ეუბნება: „სიმართლის თქმა იოლია და სასიამოვნო“ („ოსტატი და მარგარიტა“). რომანში კი პილატე ფიქრობს: „თუ სწორია გამოთქმა, სიმართლის თქმა სასიამოვნო და ადვილიაო (რადგან არაფრის მოგონება არ გჭირდება), სწორია ისიც, რომ სიმართლის მოსმენა მძიმეა და გამაღიზიანებელი“.

ავტორი რომანში იმ აზრს ავითარებს, რომლის მიხედვითაც, პონტიოელები ქართველთა შორეული წინაპრები არიან, ამიტომაც მკურნალობენ პილატეს „კოლხური რეცეპტით“. იგი ტიბერიუსს „გრძელფეხება თხას“ უწოდებს.

ასეთ სითამამეს რა აძლევს? ხილვა აქვს: „მე ვიხილე ჩემი წინაპრები: საბრძოლო კოცონის ირგვლივ ისხდნენ სულეთში, კოლხთა ომახიან სალაშქრო სიმღერას მღეროდნენ, ვარდისფერ ღვინით სავსე თასებს სწევდნენ და სიამაყით ახსენებდნენ უკანასკნელ პონტოელს, რომელმაც არანაკლებ ამაყი აკვილიუს პონტოელის მიერ დაგრეხილი დაუმორჩილებლობის ჯაჭვი საბოლოოდ შეკრა“. შემდეგ კი მის ქორწილში: „მუსიკოსები – ჩემი შორეული სამშობლოდან. უცნაურ კაბებში გამონყობილი კოლხები მთელი ღამე მღეროდნენ მრავალხმიან და გულში ჩამწვდომ სიმღერებს, და იქვე, ცეცხლოვანი ცეკვით და ველური დოლებით გვაოცებდნენ“.

პილატეს სულიერ ცხოვრებას აღრმავებს სიყვარული, რომელიც მას კლავდიას სახით ეწვევა. ის სხვაგვარად, უფრო სიღრმისეულად იწყებს სიცოცხლის აღქმას: „მეორე ადამიანი მარადისობის სარკმელია, და ჩვენ ვგრძნობთ მისი სიღრმიდან შემოჭრილ ქროლას. ახალგაზრდებს სჯერათ: მარადიულნი არიან. ჩვენ კი ვიცით: უკვდავები ვართ. ეგაა რომ მინიერი ცხოვრება ახალგაზრდობასავით სწრაფად ქრება. იპოვო შენი მეორე ნახევარი, ამ გაელვების უმთავრესი აზრია. მარტოობით ეს არ მიიღწევა. სიცოცხლის მოჯადოებულ წრეს მარტო ვერ გაარღვევ. და მხოლოდ ანდროგენი, რომლაც გადაიქცევა ორი მიჯნური, მო-ი-პოვებს თავისუფლებას, რათა გაექცეს პირობითობის ველებს“. აქ პლატონისეული სიყვარულის კონცეფციაც ირეკლება („ნადიმი“).

პილატეს გამორჩეულობის დასადასტურებლად მწერალი ბიბლიურ ალუზიებს იყენებს. მას ჯერ კაპიტოლიუმთან დანთებული ცეცხლიდან შემოესმება უცხო ხმა, შემდეგ კი იუდეაში ნიგნის კითხვისასაც იგრძნობს ამ ხმის ძალას. 50 წლის პილატეს ცხოვრებაში ახალ ეტაპად იქცა იუდეის პროკურატორად დანიშვნა. აქ დაიწყო მისი დიდი მეტამორფოზა, რომელიც სიკვდილამდე გაგრძელდა. იუდეის უდაბნომ მისი სულის უდაბნოები გაამიშვლა და ღირებულებათა გადაფასება დაიწყო: „მე მყავს მტრები, ესე იგი, ვარსებობ!“ (დეკარტისეული

ფრაზის ვარიაცია ვაჟა-ფშაველას ცნობილ აფორიზმს გვაგონებს: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“ („ალუდა ქეთელაური“).

კლავდია რომანში გამორჩეულია სილამაზითა და სულიერებით, ამგვარად, ის მიემსგავსება სახარებისეულ პირველსახეს. ის თავიდანვე გრძნობს იუდეის ზედაპირული სიუხემის მიღმა „საოცრებას-უდაბნოს სულს“. იმას, რომ „ამ მოყვითალო და ბაჯალო ოქროსფერი პეიზაჟების მიღმა ყოფის საიდუმლო იმალება“. სწორედ ის უბიძგებს პილატეს, რომ იესოს გადარჩენისთვის იბრძოლოს და ამ გზაზე სასწორზე დადოს თავისი სახელი და კარიერა. რომანში გაკრთება „ოსტატი და მარგარიტას“ ალუზიები. პილატე კლავდიას ეუბნება: „ეტყობა ვერ აცნობიერებს, რომ მისი სიცოცხლე ბენვზე ჰკიდია, და თუ მე გადავჭრი ამ ბენვს, ტანჯვით ამოხდება სული, როცა ძელზე დაკიდებენ, როგორც არამზადას“. ბულგაკოვისეულ „ვერსიაში“, როცა პილატე დაემუქრება იესოს, შენი სიცოცხლე ბენვზე ჰკიდიაო, იესო უპასუხებს: „– ხომ არ გგონია, ბენვზე შენ დაჰკიდე, იგემონო? – დაეკითხა ტყვე, – თუ ასე ფიქრობ, ძალიან ცდები! პილატე შეკრთა და კბილებში გამოცრა: – მე ისიც ძალმიძს, ეგ ბენვი გადავჭრა! – ამაშიც ცდები, – სახე მოიჩრდილა და გულლიად გაუღიმა ტყვემ, – დამეთანხმები, ბენვის გადაჭრაც იმასვე ძალუძს, ვინაც დაჰკიდია“ („ოსტატი და მარგარიტა“).

თუ რომანის პირველ ნაწილში პილატე გვიყვებოდა ამბავს, მეორე ნაწილში, 28-ე თავიდან კაიაფას თხრობა იწყება. აქედან უკვე ერთმანეთს ენაცვლება პილატესა და კაიაფას მონათხრობები, რაც მეტ ექსპრესიას, დრამატულობას სძენს ამბავს. ხედვის რაკურსთა ამ მონაცვლეობით მწერალი რომანისეულ ცხოვრებას თეატრალურ წარმოდგენად აქცევს, რომლის სცენაზეც ერთმანეთს ცვლიან ნიღბები. ყველა საკუთარ როლს თამაშობს. ამ კონტექსტში ბუნებრივად ეწერება პილატეს ფიქრები: „ღმერთებს რაში ვჭირდებით ადამიანები თავიანთ თამაშებსა და გაჯიბრებაში? ჩვენ მათთვის ჭიანჭველებიც არა ვართ: უმწეო არსებები, რომლებსაც ღმერთთა სავანისკენ

უჭირავთ თვალი. მათ კი დიდ ხანია და-  
იპყრეს ჩოსმოს, იქიდან გვიცქერენ და  
სიცილით იხოცებიან“.

საინტერესოდ წარმოაჩინეს მწერალი,  
როგორ ემზადება კაიაფა ახალ პრეფექ-  
ტთან შესახვედრად, როგორ გეგმავს  
ადრინდელების მსგავსად მის მოქრთამ-  
ვას, თუმცა პირველი გაცემა მაშინ და-  
ეუფლება, როცა გაიგებს, რომ პილატე  
ბერძნულ ენაზე ნათარგმნ ბიბლიას კით-  
ხულობს. ავტორი ოსტატურად ხატავს  
„მთავარი იუდეველის“, მღვდელთმთა-  
ვარ კაიაფას სახეს, „უდაბნოსავით და-  
ცარიელებულს ემოციებისგან“. შეხვედ-  
რისას პილატემ ისიც იგრძნო, რომ მისი  
მოჩვენებითი მდუმარება სახიფათო იყო:  
„უდაბნო მასში დამალული ქიმერებით  
კლავს მარტოხელა მოგზაურს: ნელ-ნე-  
ლა, გამოცდებით და უიმედობით“.

კაიაფა და პილატე, შეიძლება ით-  
ქვას, ერთმანეთის ერთგვარი ვარიაცი-  
ული სარკისებური ანარეკლები არიან.  
ისინი ერთმანეთს ჰგვანან ძალაუფლე-  
ბისკენ სწრაფვით და ფარული რომანტი-  
კული სულისკვეთებით. კაიაფა ლექსებს  
თხზავდა ბავშვობაში, მაგრამ პოეზიის  
სიღრმეები ვერ შეიცნო, რადგან სადუ-  
კველმა მკაცრმა მამამ ლექსები ცეც-  
ხლში დაუნვა შეუვალა პრაგმატიზმით:  
„ვის რაში სჭირდება ლექსები? – იკით-  
ხა მკაცრი ხმით და თვითონვე უპასუ-  
ხა: – არავის! ტყუილად ნუ კარგავ დროს  
ილუზიაზე! ნუ იხედები ნურც მარჯვნივ,  
ნურც მარცხნივ! მხოლოდ უფლისკენ  
წარმართე მზერა! მხოლოდ მისკენ! ნუ-  
რავის და ნურაფერს ამჩნევ ამ გზაზე!  
წინ, მხოლოდ წინ! უფლისკენ!“. ეს არ  
ცვლიდა კაიაფას დაეჭვებას: „ჰო, მაგრამ  
რისთვის? – ვეკითხებოდი, როგორც ყო-  
ველთვის უხმოდ, – რისთვის მივაპყრო  
მზერა უფალს, თუკი მარადისობაში არ  
ვიარსებებ და მიწის მტვრად ვიქცევი,  
რომლისგანაც გავჩნდით“.

პილატესა და კაიაფას ფარული ორ-  
თაბრძოლა რომანის ფინალამდე გრძელ-  
დება. მწერალი ორივეს ხასიათს და  
ქცევის მოტივაციებს ფსიქოლოგიური  
ნიუანსებითა და მრავალმნიშვნელოვანი  
დეტალებით გვიხატავს. რომაელ მოქა-  
ლაქეზე თავდასხმის გამო პილატემ იუ-  
დეაში ჯვარზე სამარცხვინო გაკერის

სასჯელი აღადგინა: „შემეძლო კი მე-  
ვარაუდა, რომ ეს ბრძანება მომავალში  
სამყაროს თავის ზღვართან მიიყვანდა?  
რა თქმა უნდა, არ შემეძლო“.

იესოს გამოჩენა იუდეის „სცენას“ თავ-  
დაყირა აყენებს და ორივეს, პილატესაც  
და კაიაფასაც, თავსატეხს უჩენს. პილა-  
ტეს აფიქრებს მესიის შესახებ ებრაელთა  
წინააღმდეგობრივი წარმოდგენები: „ერ-  
თი წინასწარმეტყველის პირით ამბობ-  
დნენ გალილეველი იქნებაო, მეორე წი-  
ნასწარმეტყველით – ბეთლემში დაიბადე-  
ბაო, ხოლო მესამე წინასწარმეტყველით  
– ეგვიპტიდან გამოიძახებო ღმერთების  
უზენაესი!“ მესია არასოდეს მოვა, მაგრამ  
მოვლენ სხვები, მუდმივად რომ აღანთე-  
ბენ თავისუფლებაზე მეოცნებე სულელებს:  
„ეს ხომ არ არის აღთქმული მესია?!“ ბო-  
ლოს და ბოლოს, ერთ-ერთი ასეთი „მე-  
სია“ აიყოლიებს მასებს და გაათავისუფ-  
ლებს ისრაელს დამპყრობლებისგან“.

კაიაფა ფიქრობს, რომ იესოს გამო-  
ჩენა რომის იმპერიულ ხრიკია, პილატეს  
ახალი არაფერი მოუგონია: ჯერ იქმნება  
ლეგენდა, და მერე ლეგენდა თავად ქმნის  
გმირს. როგორი „გმირის“ შემოგდებას  
გვიპირებენ რომაელები, ძნელი მისახ-  
ვედრი არ უნდა იყოს, თუკი პრეფექტის  
მიერ „წმინდა წერილების“ კითხვის მიდ-  
რეკილებას გავითვალისწინებთ“. „ისი-  
ნი ხვდებიან, რომ ჭეშმარიტი ღმერთის  
რწმენა, ბოლოს და ბოლოს დაამარცხებს  
ცრულმერთებს და, გადაწყვიტეს შეტევა  
სულიერებაზე მიიტანონ, რათა რწმენა  
ჩაახშონ ჩვენში“.

საინტერესოა იუდა იშკაროტელის სა-  
ხე. კაიაფა მას შემთხვევით გადაარჩენს,  
მოისყიდის და თავის მარიონეტად აქცევს.  
რომანის მიხედვით, კაიაფა არის ისეთივე  
შთამაგონებელი იუდასი, როგორც ივანე  
კარამაზოვი სმერდიაკოვისა („ძმები კა-  
რამაზოვები“). კაიაფა ჩააგონებს, რომ  
იუდამ იესოსა და იუდეველთა სიკეთის-  
თვისვე უნდა გასცეს მოძღვარი. რად-  
გან იესო ადამიანურ შესაძლებლობებს  
სცდება სასწაულებით, იგი ან მესიაა ან  
ხორცმესხმული ეშმაკი. მისი „მხილებით“  
კი იუდა სიკეთეს იქმს – ან მესიის გვერ-  
დით დადგება ან მაცდურს გამოავლენს.  
მიუხედავად იმისა, რომ მწერლობამ (ლე-  
ონიდ ანდრეევმა, მიხაილ ბულგაკოვმა,

ნიკოს კაზანძაკისმა, ბორხესმა, შმიდტმა) იუდას სახის არაერთი საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, გიორგი კაჭარავასეული ვერსიაც არანაკლებ საინტერესო და დამაჯერებელია.

კაიაფას სახის წარმოსაჩენად რომანში მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დეტალია მისი ხილვა-სიზმარი: ის ლუციფერს სტუმრობს და ესაუბრება. ლუციფერის სახე ტრადიციული შტრიხებით იხატება. იგი კაიაფას შეახსენებს ფიცს, რომ არასოდეს უნდა დაეჭვდეს საკუთარ თავში. მკითხველი ხვდება, რომ შემდგომში კაიაფას დაუეჭვებელი გადანწყვეტილება, რომ ქრისტე დამნაშავეა და უნდა დაისაჯოს, სწორედ ეშმაკთან გარიგების შედეგია, მის სულში ბოროტი სანყისის გამარჯვების დასტური.

კაიაფა დარწმუნებულია, რომ ახალი მესიის, „რომაელთა ჯამუშის“ გამოჩენა იმპერიული ხრიკია, რომელსაც პილატეს ხელით აღასრულებენ: „რომაელებმა ებრაელთა სულის გათელვა გადანყვიტეს, რადგან სხეულის ჯიჯგნა უკვე მოსწყინდათ. „მკურნალი, წინასწარმეტყველი, მასწავლებელი!“ ესე იგი, ახლა მირონცხებულის ადგილს უმზადებენ. და ეს „მესია“ საყოველთაო სიყვარულისკენ მოუწოდებს ჩემს ხალხს!“ ქრისტეს „შეგონება“: „გიყვარდეთ თქვენი მტრები“ – მან რომაელების მორჩილებისაკენ მოწოდებად აღიქვა.

რომანისეულ თხრობას საბრძოლო ასპარეზს ამსგავსებს ვნებათა დაპირისპირება. ქრისტეს ორივე მხრიდან უტყვენ – როგორც რომაელი, ასევე იუდეველი ხელისუფალნი. კაიაფა თავის პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევს იესოს მხილებასა და დადანაშაულებას. პილატეს კი, თავის, მხრივ, რომის წინააღმდეგ შეთქმულებად მიაჩნია „იესოს საქმე“.

პილატე და კაიაფა ორი სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსია. ისინი ერთმანეთის ჩანაფიქრთა გამოცნობას ცდილობენ. კაიაფა ცდილობს გამოიცნოს პილატეს გეგმები იუდეასთან დაკავშირებით, რომაელი პროკურატორიც ცდილობს, ჩასწვდეს მღვდელმთავრის აზრებს. მკითხველიც კვალდაკვალ მიჰყვება მათ და ცდილობს, ორივეს მიუხვდეს, წინასწარ განსაზღვროს მათი ხრიკები.

მნიშვნელოვანია, რომ ორივე ეჭვებით იტანჯება. პილატეს ეჭვი ნაირგვარია, ის ფიქრობს, რომ ტიბერიუსმა მის გარშემო ყველა მოისყიდა, მაგრამ მისთვის განსაკუთრებით დამთრგუნველია კლავდიას შესაძლო ლალატზე ფიქრი.

პილატეს სახის წარმოსაჩენად სრულიად ორიგინალურია რომანისეული ვერსია, რომლის მიხედვითაც, პილატე ცდილობს კაიაფას მოტყუებას და იესოს გადარჩენას. იგი ლონგინოსს ავალებს ჯვარცმისას მონყურებულ იესოს მკვდარივით დამაძინებელი კოლხი მედეასეული წამალი შეასვას, შემდეგ კი აკლდამიდან მოიპაროს მისი ცხედარი. ისევ ბულგაკოვისეული ვერსია გვახსენდება, პილატე პონტოელი საიდუმლოდ რომ მოაკვლევინებს იუდას.

რომანის ფინალში წარმოჩნდა მწერლის ოსტატობა, როგორ გაანბილოს მკითხველი და ამგვარად მოჰგვაროს გაოცების ელდა. ლონგინოსს პილატესთან ცხედრის აკლდამიდან გაქრობის ამბავი მოაქვს. განრისხებული პილატეს მიერ ნაწამები ერთგული ლონგინოსი სიკვდილის წინ მეგობარს ეუბნება: „ბრძენ ფლამინთა წინასწარმეტყველება აღსრულდა, ამაცო პონტოელო... და დღეიდან, შენს სახელს, უზენაეს ღმერთთან ერთად მოიხსენიებენ საუკუნეების განმავლობაში...“

რომანის კიდევ ერთი გამოკვეთილი აპოკრიფული პერსონაჟია საული (იგივე პავლე), კაიაფას ერთგული მსახური. მწერალი დასამახსოვრებელი დეტალებით თვალს მიგვადევნებინებს მისი ცხოვრებისათვის. კაიაფა მას დამასკოში აგზავნის ქრისტეს მონაფეთა დასარბევად, მაგრამ საული ქრისტეს მიმდევარი ხდება. მწერალი ზედმინევნით მისდევს სახარებას: „როცა დამასკოს მივუახლოვდი, უეცრად მომეფინა სინათლე ზეციდან. დავეცი მიწაზე და მომესმა ხმა, რომელიც მეუბნება: „საულ, საულ, რად მდევნი მე?“ მე ვუთხარი: „ვინ ხარ შენ, უფალო?“ და მან: „მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი. მაგრამ ძნელია შენთვის წვერის წინააღმდეგ დარტყმა!“ ძრწოლით და შიშით ვკითხე: „რას მიბრძანებ უფალო, რომ გავაკეთო?“ ხოლო მან: „ადექი და შედი ქალაქში და მოგეხსენება რა უნდა აკეთო!“ და აი, ახლა, თქვენ წი-

ნაშე დგას არა ფარისეველი საული, რამეთუ იგი მოკვდა, არამედ უფლის მონა პავლე, და გახარებთ უდიდესი სიხარულით: იესო აღსდგა მკვდრეთით და გაიმარჯვა სიკვდილზე!..“

საგულისხმო და მნიშვნელოვანია ფინალური ეპიზოდი: ყოვლის განმნმენდი მხაპუნა წვიმის ფონზე ძველ სახლში განმარტოებულ, სენატის მიერ დასჯილ პილატეს რიგრიგობით ეცხადებიან გარდასულთა საყვარელი აჩრდილები (სენატი ასამართლებს პილატეს, ნერონი ბრალს სდებს მას ქრისტიანობის გავრცელებაში და სასჯელად არა სიკვდილს, არამედ რომის ისტორიიდან გაქრობას მიუსჯის – ბრძანებს ყველა დოკუმენტის განადგურებას, რომლებშიც მისი სახელია მოხსენიებული. ნერონმა არ იცის, რომ პილატეს სახელი უკვე „ზეცაზე“ წერია), სულ ბოლოს კი პილატესთან კაიაფა გამოჩნდება: „ნელა გამოდის სიბნელიდან, ჩემკენ მოაბიჯებს ყოველთვის გამოუცნობი მზერით... ყოფილ პროკურატორთან ერთად ჯდება მარმარილოს მაგიდასთან, და მასთან ერთად სველდება მხაპუნა წვიმის ქვეშ“. პილატე ეუბნება: „ერთადერთი, ვისიც ვერაფერი გავიგე, ეს შენ ხარ, კაიაფა!“ ისევ ბულგაკოვისეული შთამბეჭდავი სურათი გვახსენდება, მთვარის სხივს რომ მიჰყვებიან ბაასით ქრისტე და პილატე. ესეც დასამახსოვრებელი ხატია.

საინტერესოა რომანისთვის პროლოგის ნაცვლად წამძღვარებული ტექსტი, რომელშიც „ჯოჯოხეთში“ მოქცეული ერთი იმ იუდეველის მონოლოგს ვეცნობით, რომელმაც ყვირილით მოსთხოვა პილატეს ქრისტეს ჯვარცმა და ბარაბას გათავისუფლება. მწერალი ირონიულ-პაროდიულად, ერთგვარი შავი იუმორით გვიხატავს მის განცდებს. იგი გვიყვება

ამბავს მარიამ მაგდალინელისა და იესოს შეხვედრისას, თუ როგორ „მოთვინიერდა“ ცეცლისთმიანი ალქაჯი ქრისტეს დანახვისას, როგორ „წაართვა“ ქრისტემ სიყვარული და შურისმაძიებლად აქცია. იგი ჯოჯოხეთის „ჭუჭრუტანებიდან“ გასცქერის სამოთხის მკვიდრთა მონყენილ სახეებს და გვაჯერებს, რომ ცხოვრება სიმშვიდე კი არა, ბრძოლაა საკუთარ თავთან. მთავარია, ადამიანმა სიცოცხლეშივე არ იქციოს ცხოვრება ჯოჯოხეთად, იგრძნოს და გზა მისცეს საკუთარ სულში ყოველნამიერად დაბადებულ იესოს, ცეცხლისთმიანი მარიამ მაგდალინელივით მოუდრიკოს მუხლი, არ შეეშინდეს და არ აცვას ქრისტე „ჯვარს“.

გიორგი კაჭარავამ ამ რომანით არა მხოლოდ მარადიული, არამედ თანამედროვეობის პრობლემებიც გამოხატა, ერთი მხრივ, სულიერი კრიზისი, მატერიალურ სამყაროზე მიჯაჭვულობა, პრაგმატულობა, ძალაუფლებისთვის ბრძოლა, საერო და სასულიერო პირთა ფარული დაპირისპირება და ფარისევლური, ინტრიგებით სავსე, დიპლომატიური ვითომ ურთიერთგაგება, ადამიანთა პირფერობა, გამორჩეულ ადამიანთა ვერშემწნევა, სულიერი სიბრმავე, დაეჭვებულობა და სიფრთხილე კეთილ საქმეთა აღსრულების გზაზე, გულგრილობა, შიში, ბოროტების მიმართ განურჩევლობა, ზესახელმწიფოთა ახალი ტიპის იმპერიული სულისკვეთებანი; მეორე მხრივ კი, სინათლის, სიკეთის, ერთგულების, სიყვარულის მხსნელი ძალაც წარმოაჩინა. რაც მთავარია, მან კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველს, რომ აუცილებელია საკუთარი თავზე ფიქრი არა დამაბრმავებელი ყოველდღიურობის, არამედ თვალის ამხილავი მარადისობის პერსპექტივიდან.

## სოფიო წულაია

### ლევან ბერიძის რომანი „ფორა“

როგორია 21-ე საუკუნის ადამიანი, რა თვისებები შეიძინა და დაკარგა მან?

ერთი შეხედვით, მარტივად გადასაწყვეტი საკითხია, რადგან არსებობს საშუალება, საკუთარ თავსაც და გარშემო მყოფ ადამიანებსაც პირდაპირი ფიზიკური კონტაქტის საშუალებით დააკვირდე, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანებს შორის გაადვილებულ კომუნიკაციაზე, მაგალითად, სოციალური ქსელის საშუალებით, სადაც ყველას შეუძლია, ნამებში გააზიაროს საკუთარი შემოქმედება, ნაფიქრ-ნააზრევი, განცდები, ტკივილი და ემოციები... თუმცა, მზად უნდა ვიყოთ იმისთვისაც, რომ, ერთი შეხედვით, ადვილად გასარ-კვევ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი დასკვნა ყოველთვის საკამათო, ორაზროვანი და საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის მიუღებელი იქნება.

და მაინც, ეპოქაში, სადაც ტექნიკამ ყველაფერი შთანთქა, იმ დროის ჩათვლით, რომელიც ადამიანებს საკუთარ თავზე დაკვირვებისა და ერთმანეთთან ურთიერთობისთვის უნდა გამოეყენებინათ, ყველაზე თვალშისაცემი ღმერთდაკარგული ადამიანის ტრაგედიაა, ადამიანისა, რომელიც მხოლოდ იმ სიბრტყეული სამყაროს გარშემო ტრიალებს, რომლის ცენტრშიც თვითონაა, მის ირგვლივ კი სიცარიელეა (თუმცა კი ეს მოსაზრება ათეისტური ცნობიერების მქონე ადამიანებისთვის, ასევე, ცალკეული სოციალური ჯგუფებისთვის მიუღებელი იქნება). იმაში კი, ალბათ, ნამდვილად არ შეგვეკამათებინა, რომ თანამედროვე ადამიანის აზროვნება სიბრტყეულია, ჰორიზონტალური, უფრო სწორად კი, საკუთარი სიბრტყის (და არა სივრცის) გარშემო კონსტრუირებული, ზოგჯერ შეიძლება, პედანტური სიზუსტით აწყობილ-დალაგებული, თანმიმდევრული და რაციონალური (მაგალითად, ევროპული სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სოციალური მო-



რების მქონე ადამიანებისთვის, ასევე, ცალკეული სოციალური ჯგუფებისთვის მიუღებელი იქნება). იმაში კი, ალბათ, ნამდვილად არ შეგვეკამათებინა, რომ თანამედროვე ადამიანის აზროვნება სიბრტყეულია, ჰორიზონტალური, უფრო სწორად კი, საკუთარი სიბრტყის (და არა სივრცის) გარშემო კონსტრუირებული, ზოგჯერ შეიძლება, პედანტური სიზუსტით აწყობილ-დალაგებული, თანმიმდევრული და რაციონალური (მაგალითად, ევროპული სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სოციალური მო-

დელი), ზოგჯერ კი ქაოტურ-სპონტანური (ე.წ. „მესამე სამყარო“, თუნდაც, საქართველო), მაგრამ ორივე შემთხვევაში – საფუძველგამოცლილი, შეიძლება, აპოკალიფსურიც, რადგან თითოეული მათგანის წინაშე, მართალია, სხვადასხვა სახით და ფორმებით, მაგრამ მაინც მწვავედ დგას ეგზისტენციალური პრობლემა – იარსებოს, თუ არა ან როგორ უნდა იარსებოს სამყაროში, რომელიც არაფერს გვპასუხობს კითხვაზე: რისთვის ვარსებობთ, რა აზრი აქვს ჩვენს არსებობას და საერთოდ, რამეს თუ აქვს ამქვეყნად აზრი, როცა ხედავ და გრძნობ, რომ ყველაფერი გაქვს და მაინც არ ხარ ბედნიერი? ამგვარად ფორმულირებულ კითხვას, რომელსაც უმთავრესად საკუთარ თავს უსვამენ ხოლმე, მთელი რიგი სუიციდების სერია მოსდევს; რაც შეეხება „მესამე სამყაროს“, აქ ადამიანებს სრულიად აქვთ დაკარგული სტაბილურობისა და უსაფრთხოების შეგრძნება, უმთავრესად ყველაფერს კარგავენ, სიცოცხლის ჩათვლით და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფნი, თვითგადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილნი, იმ სამყაროსკენ ისწრაფვიან, სადაც ვერ ხვდებიან, რატომ აღარ აქვს სიცოცხლეს აზრი. დაახლოებით ისეთივეა ხელოვნებაც, რომელსაც ღმერთდაკარგული და მისი ძიების ყოველგვარ სურვილწართმეული ადამიანი ქმნის – არქიტექტურაც კი, რომელიც ზეცისკენ მიისწრაფოდა, შემოქმედთან მაქსიმალურად მიახლოების სურვილით შეპყობილი, თანამედროვე ეპოქამ მიწაზე გაართხა, ცაში ატყორცნილი ქვების სიმფონია გამჭვირვალე კედლებს მიღმა არსებული რეალობის ასახვის სურვილმა ჩაანაცვლა, ეპოქის სიმბოლოდ საერო დანიშნულების ნაგებობები იქცა და არა ხუროთმოძღვრება, სახელმწიფო დანესებულებების ზედაპირულმა გამჭვირვალობამ კი მხოლოდ მის სიღრმეში არსებული ჭუჭყი გამოიტანა სინათლეზე და საზოგადოების ცნობიერების მონამლვა გამოიწვია.

თანამედროვე ლიტერატურაშიც და-

ახლოებით მსგავსი ტიპის სიტუაციაა. ავტორების უმეტესობას სააშკარაოზე პიროვნული თუ კოლექტიური ნაგავი გამოაქვს, რომელიც ვიზუალურადაც საზარლად გამოიყურება და ისევ და ისევ ცნობიერების მონამლვას ემსახურება. მაგალითისთვის, პატრიკ ზიუსკინდის „პარფიუმერიც“ საკმარისი იქნებოდა, რომლის მთავარი პერსონაჟიც პარიზის ნაგვისა და დამპალი თევზის სუნიდან გამოსული ადამიანია, დაბადებული იმისთვის, რომ სამყაროში მშვენიერება გაანადგუროს. მართალია, ზოგჯერ პერსონაჟები გაფრენასაც ცდილობენ მათ მიერ შექმნილი „პასაროლათი“, ადამიანების ნებას აგროვებენ და მზისკენ მიისწრაფვიან (ყოზე სარამაგუს „მოგონებები მონასტერზე“), მაგრამ მათ მთავარ მიზანსაც დედამიწაზე უკეთესი ადგილის პოვნა და აქ მოპოვებული დიდება წარმოადგენს და არა შემოქმედთან მიახლოება... და ასეთი ლიტერატურის ფონზე ტექსტი, რომელიც სიბინძურისკენ კი არ არის ჩაბრუნებული, პირიქით, მისგან ამოღწევას, ამოფრენას ცდილობს, იმთავითვე თვალმისაცემი და საინტერესო ხდება თანამედროვე მკითხველისთვის. სწორედ ასეთია ლევან ბერიძის რომანი „ფორა“.

ერთი შეხედვით, სიუჟეტში თითქოს განსაკუთრებული არაფერია, რადგან რომანი მოგვითხრობს მარტოსულ, ცხოველების მოყვარე და ადამიანების მოძულე ევროპელ მოხელეზე და, მისი სახით, ზოგადად თანამედროვე ევროპელ ადამიანზე, მის გამოცარიელებულ შინაგან სამყაროზე, ფარულ ტკივილზე გადაჭედული ყოველდღიურობის გამო, რომელთა გაცნობიერების არც დრო და არც საშუალება არ გააჩნია. ბუნებრივია, იბადება შეკითხვა: მაშინ რატომაა რომანი თანამედროვე ლიტერატურაში ტრანსცენდენტურის, მიღმიერის, მხატვრულ ტექსტში ღმერთის დაბრუნების ერთ-ერთი მცდელობა? პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ პერსონაჟი თანდათან ხვდება, მის სამყაროში ღმერთისთვის ადგილი რომ აღარ არის.

ხაზი უნდა გაესვას ერთ ძალიან საინტერესო ფაქტს – ნაწარმოები ეკუთვნის ქართველს, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ევროპაში, მაგრამ საქართველოსა და ევროპას შორის მკვეთრ ზღვარს არ ავლებს, როგორც ეს ძირითადად ხდება ხოლმე მსგავს შემთხვევებში. იგულისხმება ის, რომ მწერალი პედალირებას არ აკეთებს დასავლეთზე, როგორც ტექნოკრატიული ეპოქის მიერ სულიერად დასახიჩრებული ადამიანების სამყოფელზე და მას არ უპირისპირებს უზარმაზარი სასიცოცხლო ენერჯის მქონე საქართველოს, სადაც ჯერ კიდევ სუფევს ტექნიკისგან შეურყენელი ბუნებისთვის (მათ შორის, ადამიანური ბუნებისთვისაც) დამახასიათებელი პირველადობა, პირველქმნილობა, ანუ ღვთაებრივი საწყისი. პირიქით, ავტორი მთელი კაცობრიობის ტრაგედიას გვიჩვენებს, ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე, ხატავს ერთიან სამყაროს, ერთიან რეალობას, სადაც ადამიანები ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს თავიანთი ბედისწერით, პიროვნული თვისებებით, სურივლებით და შინაგანი სამყაროთიც კი, რომ ძნელია მათი ერთმანეთისგან გარჩევა და განსხვავება. გლობალიზაციის შედეგად ორი განსხვავებული სამყაროს გაერთიანების ტრაგიზმსა და უაზრობას ლევან ბერიძე შემდეგნაირად აღიქვამს: „აღმოსავლეთიდან დაძრულმა ტალღამ, ყველა უაზრო დამბასთან ერთად, სიკვდილის პირას მყოფი დასავლეთის ყველა ჩარაზული კარიბჭე შემოანგრია, ერთი ნამით ყველა გამოაფხიზლა... მაშინ მეგონა, რომ ამ გაერთიანებით რაღაც მესამე წარმოიქმნებოდა, რაღაც სალი და ქმნადი, მაგრამ ძალიან მალე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი, დასავლეთის რიცხვის მაგიამ მალე მონუსხა გახლებული ენერჯია. ას-ასი მარკა ჩაუჭუჭყყეს, მეორე ასს შეჰპირდნენ და ცოტა ხანში ბანანის სახით ჩასჩარეს პირში, მაშინ კი დაადუმეს, დაამონეს და ბევრი სულის გაყიდვის, საკუთარ თავზე უარის თქმის პირასაც კი მიიყვანეს“.

რომანის დასაწყისში თხრობა თითქოს მოზაიკურია, არალინეალური, ავ-

ტორი ერთი ამბიდან მეორეზე ოსტატურად გადაცურდება, თითქოს, ცდილობს, სანამ ძირითად სათქმელზე გადავა, მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია, შეგრძნება მოგვანოდოს მთავარი გმირის შესახებ, რომელიც თავადაა მთხრობელი. ასე ვიგებთ მისი ოჯახის წევრების – მშობლების, დის, მეუღლის, შვილის და ძაღლის შესახებაც კი, რომელიც ოჯახში ჰყავს. ვიგებთ, რომ არის მელომანი, უყვარს დოსტოევსკი, ვეცნობით მის მეზობლებს და მათი საქმიანობის შესახებაც კი დანვრილებით ვართ ინფორმირებულნი და ამ ყველაფერს ვიგებთ მანამ, სანამ მისი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვება, რის შემდეგაც, თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დგება, რომანის სიუჟეტი და მთავარი პერსონაჟის მონათხრობი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდის და მოქმედება 90-იანი წლების თბილისში გადაინაცვლებს. ამ ეპოქაზე ძალიან ბევრი დანერილა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, ამ მხრივაც, თითქოს, ახალი და განსაკუთრებული არაფერია, ავტორიც არ ცდილობს, იყოს ორიგინალური, ყველა ყოფით ისტორიებს უშუქობასა და მძიმე კრიმინოგენულ სიტუაციაზე, ქუჩის გამოსვლებზე, ვირთხებით გაძევილ სადარბაზოებზე... თუმცა, ეს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალსა და ეპოქაზე მინიშნებაზე მეტად ორფეოსის ჯოჯოხეთში ჩასვლის აღწერას ჰგავს — კონკრეტული გარემო და სივრცე განზოგადებულ სახეს იძენს, რასაც ხელს უწყობს ტექსტში ორგანულად შემოცურებული რელიგიური სიმბოლიკაც – და პირდაპირ მიგვანიშნებს ღმერთდაკარგული ადამიანის უბედურებაზე, უმთავრესი ქრისტიანული სიმბოლო – ჯვარიც, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელად, სინამდვილეში კი ძალიან მიზანმიმართულად შემოიჭრება საერთო სიუჟეტურ ქარგაში – მას მთავარ პერსონაჟს ერთ-ერთი შემოლილი მანიფესტანტი ქალი ზურგში ჩაარტყამს. გონდაკარგული გმირი მეორე დღეს დაინახავს, როგორ გამოესა-



ხა ზურგზე ჯვრის ფორმის მონითალო-მოლურჯო ლაქა. ეს ის ჯვარია, რომელიც მან ცხოვრების ბოლომდე უნდა ზიდოს – ადამიანად ყოფნის ჯვარი, რომლის ფარულ ტკივილსაც დროდადრო გრძნობს კიდეც, მაგრამ ბოლომდე არც კი აქვს გაცნობიერებული მისი სიძიმე და მნიშვნელობა.

აქვე ჩნდება მეორე მინიშნებაც – ცნობილი დანიელი ფილოსოფოსის, სიორენ კერკეგორის წიგნი „ან – ან“, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთი მოქმედი პირის, ვახოს სამაგიდო წიგნია. ავტორის თეისტური ეგზისტენციალიზმი ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვითაც ადამიანის ამქვეყნიური არსი სწორედ რწმენაში მდგომარეობს, თუმცა ამ ფილოსოფიურ დასკვნამდე მისასვლელად რთულზე რთული გზის გავლაა საჭირო, ისეთივე რთულის, როგორც მთავარმა პერსონაჟმა გაიარა ბერლინიდან თბილისამდე. ასე ერთიანდება ერთ სიბრტყეზე ანტიკური სამყარო, ქრისტიანული ცნობიერება და ევროპული ფილოსოფია.

შესაძლოა, თავიდან ტექსტში არსებულმა რამდენიმე მინიშნებამ გვაფიქრებინოს, რომ ავტორს მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე წერა გადაუწყვეტია, იმაზე, რაც ბევრჯერ დაწერილა: დაკარგულ თბილისზე, რომელიც თითქოს მხოლოდ „60-იანელთა“ ხსოვნაში ცოცხლობს (ე.წ. „60-იანელთა“ დიდი ნაწილი ქართულ ლიტერატურაში მართლაც იყო ის თაობა, რომელმაც სულიერების სხვა პლასტი, ყოფიერების და ცნობიერების სხვა განზომილება შემოიტანა საბჭოთა რეალობაში, ძირითადად, იგულისხმება ოთარ ჭილაძის რომანები, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“ და მისი მოთხრობები, თამაზ ჭილაძისა და გურამ გეგეშიძის რომანები...), თუმცა ავტორის მიზანი ბევრად უფრო ღრმა და მრავალმხრივია – მას სურს საკუთარი პერსონაჟი ჯოჯოხეთში ჩაუშვას, რადგან კარგად იცის, მისი ხილვის გარეშე ვერასდროს შეძლებს დაკარგული სამოთხის პოვნას. ეს უფრო ადამიანის

სულიერ სამშობლოში დასაბრუნებელი გზების ძიების სურვილია, ვიდრე კონკრეტული დროისა და სივრცის რეკონსტრუქციის, გაცოცხლების მცდელობა, თუმცა პირველი თავის თავში მეორესაც არ გამოორიცხავს.


ტექსტის ნაკითხვის შემდეგ შეუძლებელია, არ გაგვიჩნდეს განცდა, რომ თანამედროვე ადამიანმა ღმერთი დაკარგა, მაგრამ ეს მისი ბრალი სულაც არ არის, მას არჩევანის უფლება ნაართვეს და თითქოს ხელიდან გამოსტაცეს ის, რის გარეშეც მის ყოფას არანაირი გამართლება და აზრი აღარ აქვს. ნაართვეს ან მოპარეს, მაგრამ იმდენად დიდია მისი პოვნის სურვილი, იმდენად ძნელია მის გარეშე ცხოვრება, რომ მზადაა, ჯოჯოხეთშიც ჩავიდეს, ძაღლებსაც კი დააგლეჯინოს თავი, რომ უკან დაიბრუნოს ის, რაც მისია – მისი სულის განუყოფელი ნაწილი. ლევან ბერიძის ერთ-ერთი შემფასებელი, ნორმუნდს ნაუმანისი ამბობს, რომ ტექსტი ხტონური ენერგიითაა გაჟღერებული. ამ მოსაზრების ფონზე, ძალის ქვეყნელის კარიბჭის დამცველი ცერბერის შორეულ ალუზიადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. ეს ცხოველი ნაწარმოების მთელ სიუჟეტს წითელ ხაზად გასდევს, ევროპაში, ანუ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთში მას ერთი ძაღლის, ტიბალტის სახე აქვს, რომელსაც მთავარი პერსონაჟი საქართველოში გამომგზავრების წინ სრულიად მოულოდნელად კლავს, საქართველოში ჩამოსულს კი ძაღლების მთელი ხროვა ესხმის თავს, მაგრამ სწორედ მათგან დაგლეჯილი, ჯოჯოხეთიდან ამოსული, აღმდგარი აცნობიერებს, რომ „არ არის აუცილებელი, რამეს შეეხო, რომ მისი დაიჯერო, რომ არ შეიძლება, უხილავ ქალაქს (დაკარგულ სამოთხეს) იოლად მიაღწიო, მაგრამ ის მარტო მისკენ სავალ გზებზე არსებობს, რომელზეც მხოლოდ მისი უნდა გვეროდეს და ამ რწმენაში საკუთარი თავი შეიცნო“.

რომანი „ფორა“ ლევან ბერიძემ გერმანულ ენაზე დაწერა და მშობლიურ ენაზე თავადვე თარგმნა. აუცილებ-

ლად უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტი ფილოსოფიური პროზისა და პოეტიზმის ორგანული სინთეზია, სადაც ერთი მეორეს ხელს არ უშლის, პირიქით, თითოეული მათგანი საერთო სათქმელის სრულყოფას ემსახურება და კონკრეტულ ტექსტს სრულიად მიჯნავს იმ ტექსტებისგან, რომლებშიც იგივე ეპოქა სკაბრებისა და ჟარგონის ენითაა გაცოცხლებული. რამდენიმე ადგილას ისეთი ოსტატური პოეტიზმი იყო გამოყენებული, დამენანა კიდეც მათი ჩაკარგვა ტექსტში მოთხრობილი საინტერესო ამბების ორომტრიალში. განსაკუთრებული მხატვრული დამუშავებით გამოირჩევა ფინალური სცენა, სადაც პერსონაჟის ძაღლებისგან დაგლეჯის ამბები სიურრეალისტურადაა აღწერილი და სასტიკი ნატურალისტური სცენის მოლოდინში ვხედავთ, როგორ გადაინაცვლებენ პერსონაჟი და მისი მეუღლე სამოთხეში, სადაც სიმშვიდე და სიყვარული სუფევს. ეს კიდეც ერთხელ მოწმობს, რომ ზღვარი ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ სამყაროს შორის პირობითი და გარდამავალია, გარდამავალია ზღვარი სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორისაც და ყველაფერს ჰეგელისეული

რაციონალიზმით ვერ ჩასწვდება, თუ კერკიგორის სამყაროს არსის თეოცენტრული გააზრება არ გამოიყენე.

რომანში აღწერილი გარემო, მოქმედი პირები, ანტურაჟი, მთავარი პერსონაჟი კი, ერთდროულად კაფკას „პროცესისა“ და მაქს ფრიშის რომანების უღმერთო, გზააბნეულ გმირებსაც გვაგონებს და ჰეროიკულ პერსონაჟებსაც, რომლებიც მიზნის მისაღწევად მზად არიან, ყველანაირი დაბრკოლება გადალახონ. ალბათ, სწორედ აქ კვეთს ერთმანეთს ორი ენერგია, ორი განსხვავებული კულტურა, ფასეულობები და ვიღებთ ადამიანს, რომლის ეთნიკურ წარმომავლობას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება, ადამიანს, რომელსაც ღმერთთან ყოფნის ბედნიერება და სიხარული წაართვეს, მაგრამ იბრძვის, იბრძვის, რომ საკუთარი თავი არ წააგოს, რომ გადაარჩეს, სწორი გზა იპოვოს და მის გარშემო ხელოვნურად შექმნილი ფორის ზონა დატოვოს, რომელიც გარს კი შემოარტყეს, ღმერთამდე მისასვლელი გზა რომ აბნეოდა, მაგრამ არასდროს, არავის არც ერთხელ არ უთქვამს, რომ მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია.



## გურამ მგელაძე

### ფარფლისფარი ფანტაზიის უღახრო

„ის, რასაც ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარულს ვეძახით, სეზონია. გაფურჩქენის პერიოდში ეს სეზონი სიმწვანის დღესასწაულია, ჭკნობის დროს კი მხოლოდ დამპალ ფოთოლთა გროვა“.

**ორიანა ფალაჩი „წერილი ვერდაბადებულ ბავშვს“.**

„ჩვენ გამოვდივართ სიყვარულის მუზეუმიდან და გაქვავებულ ფიტულების ნუხილით ვცხოვრობთ“.

**თამაზ ბაძალუა**



#### პერსონაჟები:

რუსიკო ( რუსო) – 48 წლის.

რეზო – 50 წლის.

საშუალო გემოვნებით განყოფილი სამზარეულო. გაზქურა. მაცივარი. ჭურჭლის კარადა. მაგიდა. სკამები. კუთხეში – ფანჯარა. ფანჯრის ქვეშ – მომცრო რადიატორი. ალაგ-ალაგ ამო-

ტეხილ კაფელსაც ვამჩნევთ. მარცხნივ სხვა ოთახში გამავალი კარია.

გადაულებლად წვიმს.

მაგიდაზე – საჭმლის ნარჩენები, ნახევრად დაცლილი ღვინის გრაფინები, ჭიქები და მორჩენილი ტორტის მოზრდილი ნაჭერი, რომელზეც ხუთის და ნულის ფორმის სანთლები სევდიანად ნაბრეცილან...

რეზო რადიატორთან დგას, ეწევა. პერიოდულად ფანჯრის რაფაზე მიდგმულ კაქტუსში აფერფლებს.

რუსიკო დიდ სინზე ნასუფრალის დასვრილ თეფშებს ალაგებს.

ხანგრძლივი პაუზაა.

**რუსიკო** (სინს მაგიდაზე დგამს და სკამზე ჩამოჯდება): უჰ, ისე ვარ შეჩვეული სიჩუმეს, რომ დღევანდელმა რია-რიამ რალაცნაირად ერთიანად დამამძიმა. ამათი დარეცხვის თავიც არ მაქვს.

პაუზა.

**რუსიკო:** რა შვები, შენ, არ იძინებ? ადრე ხარ ასადგომი.

პაუზა.

(კრემიან თეფშებს ლანგარზე აწყობს)

**რუსიკო:** ისე, როგორი ყურადღებები ანები არიან, არა, ჩვენები? გეფიცები, ვერც კი წარმოიდგენ, რამდენი ვეხვენი და ვემუდარე თამილას – არ შენუსხდე, ტორტს მე თვითონ ვიყიდი-მეთქი. აიჩემა, გინდა თუ არა, ჩვენ, რეზიკოს კოლეგებმა, უნდა გავუკეთოთ სიურპრიზიო. კი იცი, რომ ტკბილეულს ველარ ვჭამ, მაგრამ ხათრის გამო ერთი ნაჭერი მაინც გადავიღე. ვაიმე, ისეთი ფანტასტიკური კრემი აქვს – ფუმფულა, ჰაეროვანი, რომ რა ვიცი... ვკითხო უნდა ერთი მცხობელის ნომერი. ეკლერიც ეცოდინება. რამდენი წელია, გემრიელი ეკლერი არ მიჭამია. ბოლოს რომ გავსინჯე კრემი, წვერის საპარს ქაფს უფრო ჰგავდა – არც შაქარი ჰქონდა და არც რამე მოტკბო არომატი (იცინის).

პაუზა.

**რუსიკო:** ხომ ხედავ, რამდენს ვქაქანებ! შევცდი, არ უნდა დამელია, მაგრამ შეაგნებინებ ხარჩილავას რამეს? (გულიანად აკისკისდება) რა ენა აქვს ოხერს, რა ენა! (საუბრის პარალელურად, სინზე საჭმლიანი თეფშები გადააქვს). არ მეგონა მანანას ქმარს ამდენი სმა თუ შეეძლო. ოთხ კაცს ჩაჰყავდა ბანცალით კიბეებზე. თან ეხუმრები ამსისქე კაცის თრევას? კამეჩივითაა.

პაუზა.

**რუსიკო:** დაურეკე რა, მერე ბიჭებს – ხომ მშვიდობიანად განაწილდნენ სახლებში. მთვრალეები არიან მაინც, რა ვიცი.

ისმის მობილურის შეტყობინების ხმა. რუსიკო ეკრანს დახედავს, ხელს სალფეთქზე შეინმენდს და ესემესს გზავნის. მერე სოციალურ ქსელს სქროლავს... აუ, სოფრომაძემ ჩვენი სუფრის ფოტოები გამოდო ფეისბუქზე. ნახე, რა, რა კადრებია!

პაუზა.

**რუსიკო:** ხომ კარგად ხარ!

**რეზო:** ისე რა.

**რუსიკო:** რა ისე რა, ბიჭო, რომ გიყურებ, თავი პანაშვიდზე მგონია (იცინის) მოიცა, ფხალმა ხომ არ განყინა? (ფხლიან თეფშს ყნოსავს). უი, არა. ჩვეულებრივი სუნი აქვს ამას. თქვი ახ-

ლა, ასე უცებ რა დაგემართა... არადა, ყველა ისე კარგად ვერთობოდით, ისე ვმხიარულობდით, რომ...

**რეზო:** მოიცა, რა. ჩვენები რომ არ ატეხილიყვნენ, საერთოდ არ ვაპირებდი არაფრის გადახდას.

**რუსიკო:** რა ბზიკმა გიკბინა!

**რეზო:** არ მიყვარს საკუთარი დაბადების დღეები.

**რუსიკო:** უმადურივით ნუ იქცევი! (შეტყობინებას გზავნის).

**რეზო:** რა შუაშია, რუსო, უმადური, არ ვარ იმ ასაკისა, რომ ბავშვური სენტიმენტები გამაჩნდეს ასაკდარწობილი ტორტისა და ბათქით გახსნილი შამპანურია მიმართ...

**რუსიკო:** რა თქვი?

**რეზო:** (ახველებს) არ მისმენდი?

**რუსიკო:** ბოდიში, თამილას ვწერდი. საოცარი წყვილი ხართო, გვაქებს. ნუ ეწევი შენ კიდე ამდენს! ხველებს გსიამოვნებს თუ კვამლის ყლაპვა?

პაუზა.

**რუსიკო:** მითხარი, აბა, რატომ დუმილი...

**რეზო:** ბავშვობას ვიხსენებდი.

**რუსიკო:** ეგ სიბერის ნიშანია.

**რეზო:** რა თქვი?

**რუსიკო:** რა ვთქვი?

**რეზო:** რა შუაშია სიბერე?

**რუსიკო:** ოოო.

**რეზო:** რა ოო, რუსო, რა ოო! ბარემ ისიც მითხარი, რომ ცალი ფეხი სამარეში მიდგას.

**რუსიკო:** (იცინის) გაგიჟდი? მე უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად ნოსტალგია უფრო ძლიერდება. გგონია, მე არ მახსენდება ჩემი ახალგაზრდობა, მშობლები, სკოლა და დრო?..

**რეზო:** როცა ბედნიერი იყავი, არა?

**რუსიკო:** მე ეგ არ მითქვამს.

**რეზო:** მაგრამ იგულისხმე.

**რუსიკო:** ოჰო, ეგ რაღაც ახალია. იმედია, ხუმრობ (ღვინოს ისხამს).

**რეზო:** (იცინის) იმედია.

**რუსიკო:** ხოდა, ჩემს ხუმარას გაუმარჯოს! (სვამს).

**რეზო:** (იცინის) ხუმარები ადრე ზანზალაკებიანი ჩაჩით დადიოდნენ.

**რუსიკო:** ეგ იმიტომ, რომ ჩაჩი ძალიან ჰგავდა სამეფო გვირგვინს. პაუზა.

**რუსიკო:** რალაცას გკითხავ, ოღონდ არ დამცინო.

**რეზო:** მიდი.

**რუსიკო:** ჩვენი პირველი პაემანი თუ გახსოვს?

**რეზო:** აუფ! (იციინის)

**რუსიკო:** მართლა მაინტერესებს.

**რეზო:** როდინდელ ამბავს იხსენებ.

**რუსიკო:** ანუ არა!

**რეზო:** მაგას რა დამაფინყებს.

**რუსიკო:** ქარიანი დღე იყო.

**რეზო:** შემოდგომის.

**რუსიკო:** ხო. შემოდგომის.

**რეზო:** პარკში შევხვდით.

**რუსიკო:** ბამბის მენაყინის ჯიხურთან.

**რეზო:** მაგრად მიგიხუტე.

**რუსიკო:** თან ისე მაგრად, რომ გადახვევისას ახალგაპარსული და ლოსიონშეხელილი კანის სუნი ვიგრძენი.

იციინიან.

**რუსიკო:** ციოდა. პარკში ყავისფერი ფოთლების ხრამუნის ფონზე მივსეირნობდით, მარტონი, უხმოდ. ისეთი, ისეთი, ისეთი ბედნიერი ვიყავი მაშინ...

**რეზო:** ახლაც მიკვირს, რამდენს დავხეტილობდით ქალაქიდან ქალაქში. უმიზნოდ, დაუგეგმავად, ზურგჩანთააკიდებულები, არადა, იმ ზღვისპირა დასახლების პორტის ატმოსფეროც კი მახსოვს – თოლიების ქყვილი, ტალღების ნერვიული რწევა, მბჟუტავი ლამპიონები და...

**რუსიკო:** თევზის კონსერვი. ობლებივით ვისხედით უკაცრიელ ნაპირთან, ვხსნიდით კონსერვს და რიგ-რიგობით ვანობდით გამაგრებული პურის ნაფშვენებს. გვიან მივხვდი, გვიან გავაცნობიერე, რომ ეს რიტუალი ჩვენი სიყვარულის ექვარისტია იყო.

ისმის მელანქოლიური მელოდია.

**რეზო:** შენც დაბერებულხარ, ჩემი არ იყოს.

**რუსიკო:** უსმინე, ისევ მანაგაძეების ბავშვი უკრავს.

**რეზო:** ჰოო, თანაც შოპენს!

**რუსიკო:** „ამ სახლში ისევ უკრავენ

შოპენს“ – გახსოვს ეგ ლექსი?

**რეზო:** რა თქმა უნდა. ჟრჟოლა მივლის, როცა ვკითხულობ ხოლმე.

**რუსიკო:** მეც.

პაუზა. მუსიკა წყდება.

**რუსიკო:** კარგი ბიჭი ჰყავთ მანაგაძეებს – ნიჭიერი, ზრდილობიანი. სულ მიკვირდა ნერვოზიანი მშობლების ხელში ეგეთი მშვიდი და განონასწორებული როგორ გაიზარდა-მეთქი.

**რეზო:** რა გიკვირს, შენი დაქალის შვილიც ეგეთ გარემოში არ იზრდებოდა?

**რუსიკო:** უიმე, ნესტანი სულ დაჭიმულ ნერვებზეა, ყოველ წვრილმანზე ფეთქდება, თუმცა არაა ზოგადად ტოქსიკური ქალი.

**რეზო:** არ მეგონა, ვანიკოს უცხოეთში სწავლის ამბავს თუ ასე მარტივად შეეგუებოდა.

**რუსიკო:** რა ექნა. არადა, ახლაც თვალწინ მიდგას ვანიკო ბავშვობიდან როგორი მორიდებული და ჩუმი იყო, მაღალი, აწონილი.

**რეზო:** ყანჩასავით.

**რუსიკო:** ხო. ყანჩასავით, თანაც სევდაშედეებული მზერით.

პაუზა.

**რუსიკო:** ერთ წელს დავფეხმძიმდით მე და ნესტანი. მისი შვილი დოქტორანტურას ამთავრებს ბრიუსელში. ჩემი კი... ჩემი... (ხმა ეზარება. ტირის).

რეზო რუსიკოსთან მიდის და თავზე კოცნის. ეხუტება.

**რეზო:** კარგი, ჰო, კარგი. დამშვიდდი, რა მოგივიდა!

პაუზა.

**რეზო:** უკეთ ხარ?

რუსიკო თავს უქნევს.

**რეზო:** ხოდა, გამიღიმე!

რუსიკო ცრემლს იწმენდს და უღიმის.

**რეზო:** აი, ეგრე! (კოცნის).

**რეზო:** მაჩვენე, აბა, ფოტოები.

რუსიკო მობილურს გაუნვდის. ერთხანს ჩუმად არიან.

**რეზო:** უი, რამდენს დაუკომენტარებია.

**რუსიკო:** შენი მოსწავლეებიც არიან.

**რეზო:** საკონტროლოების კვირა ეწყებათ და ესენი კიდევ რითი ერთობიან.

**რუსიკო:** გაფასებენ, ნუ. რა ქნან (რუსიკო ერთ ერთ ფოტოს აკვირდება). ოჰ, სოფრომადესაც მოუსწვრია პრანჭიაობა. არ შემოძლია რა, ამ გოგოს უსაზღვრო ნარცისიზმი. პორტის ბოზივით იქცევა.

**რეზო:** რას ერჩი.

**რუსიკო:** ვერჩი? მთელია დღეა თვალებს გიჟუჟუნებდა.

**რეზო:** ნუ ბოდავ!

**რუსიკო:** ბრმა კი არ ვარ!

**რეზო:** კაი, რა.

**რუსიკო:** რა კაი, რა, რეზო, რა კაი, რა. თვალებით ჭამდით ერთმანეთს. დებილი გგონივარ? არ მინდოდა დაბადების დღის ჩაშხამება, მაგრამ ბოლოს მაინც მათქმევინე.

**რეზო:** შვილის ტოლა გოგოზე ეჭვიანობ? შენ საერთოდ ნორმალური ხარ?

**რუსიკო:** შვილის ტოლა რომაა და უკვე ამდენს ბედავს, ეგ ვიგულისხმე უხსტად.

**რეზო:** მინვევ. გეუბნები, მოგეჩვენამეთქი. თან მაგრად არ გიხდება ეგ როლი, ფაფუ, გაუვიდა ნილაბს ვადა.

**რუსიკო:** რას?

**რეზო:** ეჭვიანი ცოლის ნილაბს.

**რუსიკო:** რეზო, მე ყოველთვის მქონდა საეჭვიანო. შენ მიქმნიდი ამის საბაბს.

**რეზო:** უყურე შენ, რამხელა ნარმოდგენა გქონია ქმრის სექსუალურ პოტენციალზე! რა ვქნა, ტაში დაგიკრა?

**რუსიკო:** არ არის საჭირო ეგ ირონია!

პაუზა. რეზო კვლავ სიგარეტს ეწევა.

**რეზო:** არ გეზარება ამეების დარეცხვა? დავწვეთ, რა.

**რუსიკო:** უცებ ვიზამ. თუ გინდა, უჩემოდ დაიძინე.

**რეზო:** დაგელოდები.

ხანგრძლივი პაუზა. „მესენჯერის“ ხმაა. რუსიკო რეზოს მობილურს დახედავს და შეტყობინებას კითხულობს.

**რუსიკო** (მობილური ეკრანს რეზოსკენ აბრუნებს): ესეც მეჩვენება?

**რეზო:** ჰა?

**რუსიკო:** ნაიკითხე!

**რეზო:** ვერ ვხედავ, წვრილი შრიფტია. ვინაა?

**რუსიკო:** სოფრომადე.

**რეზო:** (მშვიდი ხმით) რაო? მივედიო?

**რუსიკო:** (კითხულობს) ძან საყვარელი ხარო და ცხრაას წითელ გულს გიგზავნის.

**რეზო:** მერე?

**რუსიკო:** მოსწონხარ.

**რეზო:** მოვწონვარ არა – იხვის ტოლმა.

**რუსიკო:** მალიზიანებ!

**რეზო:** ვაიმე, რა გავაკეთო, სიმპათიითაა განწყობილი ადამიანი და მოვკლა, ფეისბუქზე დავბლოკო თუ სკოლა შევიცვალე?

**რუსიკო:** როგორც ჩანს ამ დღის ჩაშხამება მოგვიწევს.

**რეზო:** როგორ არ გესმის, რომ ვერ ვიტან ამ თარიღს, მეზიზღება, ორგანულად, ლამის ფიზიოლოგიურადაც კი მძულს. რა შუაშია საერთოდ სოფრომადე?! ხანდახან ისიც კი მგონია, რომ სასაზე ბლანტი სიცარიელე მაქვს ანებებულო, მედუზასავით სლიპინა და ჟრჟოლვისმომგვრელი. წლებია ამორწყევას ვცდილობ, მაგრამ უშედეგოდ (პაუზა). რატომ არ გინდა ჩემი მოსმენა, რატომ?

**რუსიკო:** საიდან მოიტანე!

**რეზო:** ვგრძნობ, არადა წლებია უკვე უთქმელობის ზიზღი მიღებს ბოლოს.

**რუსიკო:** რისი უთქმელობის? ვერაფერი გავიგე.

**რეზო:** შეხედე ამ კედლებს, მათი ნაპრალებიდანაც სიმარტოვე ჟონავს. იქნებ ჩვენი შვილიც ამ ყროლმა გაგუდა სწორედ.

პაუზა.

**რუსიკო:** გიკრძალავ ბავშვის ხსენებას! მთელი ცხოვრება მწამლავდი შენი ეგოიზმით. შენ მე დამაავადმყოფე.

**რეზო:** ჩვენ ერთმანეთი დავაავადმყოფეთ. აი, ეს არის ტრაგედია.

**რუსიკო:** რომელ „ჩვენზე“ მელაპარაკები, შე ლაჩარო! უშენო დღეებში ექვსჯერ მაინც ვცადე თვითმკვლელობა.

**რეზო:** უჩემო?

**რუსიკო:** თავს ნუ ისულელებ (პაუ-

ზა).

**რეზო:** აზრს ვერ აკონტროლებ, მეტი აღარ დალიო...

**რუსიკო:** არა, ჩემო კარგო. ასეთი ფხიზელი ჯერ არ ვყოფილვარ (სვამს).

მთელ მონოლოგს მელანქოლიური მელოდია გასდევს ფონად.

**რუსიკო:** იცი, წლებს ნინ მშობლები დამესიზმრა. ლამის ჩვენსელები იყვნენ, თუმცა შინაგან მონინებას მაინც ვგრძნობდი. გარდაცვლილი ხომ, რა ასაკისაც არ უნდა იყოს, ჩვენზე უფროსია (პაუზა). თოვლში იდგნენ, პალტოებში შეყუყულები, ლეკვებივით. თავები ჩაეხარათ, თუმცა აშკარად მოწყენილები თუ დადარდიანებულები ჩანდნენ. დე, მა! – აქ რას აკეთებთ-მეთქი, – ვუთხარი და ჩასახუტებლად გავიქეცი. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მანძილი სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ჯიუტად არ ვჩერდებოდი. ისინი კი დაუმთავრებელი ძეგლებივით იდგნენ ფერფლისფერი ფანტელების უდაბნოში. ფილტვების დახეთქვამდე ვყვიროდი, თუმცა ერთხელაც არ გამოუხედავთ. უცებ, სირბილისას, რაღაცას ნამოვეგე და პირდაპირ სახით დავეცი. დღემდე მძაფრად მახსოვს დაცემის მომენტი. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ, თოვლის ნაცვლად, შუშის ნამსხვრევის გემო ვიგრძენი პირში. არ ვიცი, რამდენად გასაგებად ვლაპარაკობ, მაგრამ მინდა ბოლომდე მომისმინო. ნამოდგომა დავაპირე, საშინლად მტკიოდა სახე. მიწას რომ დავხედე, თოვლი შუშის ნამსხვრევის სასაფლაოდ ქცეულიყო. ჩემებს დავუწყე ძებნა. ორი ფეხის ნაბიჯზე იყვნენ. ჯერ მამა მომიახლოვდა, მერე – დედა. ნაღვლიანი თვალები ჰქონდათ, თანაც განგამის მომგვრელი. ამაოების უფსკრულებიო, როგორც ერთი პოეტი ამბობს თვალებზე, ზუსტად ისეთი.

დედამ პალტოს დიდი ჯიბიდან რაღაც ამოაძვრინა და მე გამომიწოდა გაშლილი ხელით. მკვდარი მერცხალი ესვენა, ნისკარტზე სისხლის პანია წვეთი უბრწყინავდა. ისე შემეშინდა, რომ უხმოდ ავეყირდი და საკუთარმა ხმამ გამომალვია.

**რეზო:** რა საშინელი სიზმარია!

**რუსიკო:** მეორე დღეს სისხლდენა ამიტყდა და ბავშვი დავკარგე... მეხუთე სართულამდე ნათრევი გაზის ბალონის გამო. კიდეც კარგი, გაზს აქვე ახლოს ტენიდნენ, შორს წასვლა არც დამჭირვებია, მაგრამ სახლისაკენ მომავალი ბილიკი მექცა ტანჯვის გზად. გიფიქრია მაინც რა გამოვიარე? შენ კიდეც სარკოფაგად ქცეულ სარეცელზე მენუნუნები. იმ დროს რომ გვერდით მყოლოდი, ყველაფერი სხვაგვარად დასრულდებოდა.

**რეზო:** რას გულისხმობ?

**რუსიკო:** მშვენივრად ხვდები, რასაც.

**რეზო:** რას, ხო, რას?

**რუსიკო:** შენ რომ კახპებში დარბოდი, ხუთი თვის ორსული გაზის ბალონს დავათრევი კიბეზე. აი, რას!

**რეზო:** ბოდავ!

**რუსიკო:** აა, ესე იგი ისევე მე გამოვივარ დამნაშავე, არა?

**რეზო:** მოსაკლავი ხარ, მოსაკლავი... ამდენი წლის მანძილზე შვილის სიკვდილის მიზეზს მიმაღავდი?

**რუსიკო:** ცხონებულ თინიკოს რომ არ შეემჩნია შედებულ კარი, ალბათ, კბილებით დავიჭამდი ხორცს, საკუთარს თავს დავიძიძგნიდი, სვავივით (პაუზა). მუცლის მოშლის მერე დამენყო გაუცხოების და გულისრევის შეგრძნება. ველარ ვიტანდი ამ ოჯახის დამთრგუნველად ნაცნობ ნივთებს: ტაფებს, საათს, სავარცხელს, სერვანტში შელაგებულ ხელუხლებელ ჭიქებსა და თეფშებს. ყველაზე უფრო საძინებელს გავუუცხოვდი, ჩანყვდიადებულ კარცერად რომ ქცეულიყო ჩემთვის. შენთან ერთად გატარებული ყოველი ღამე დაუსრულებელ, დროში განელილ კომმარად მექცა, წყევლად. შენი ყოველი შეხებისას, ჟრუანტელის ნაცვლად, კანზე ლურსმნის ფხაჭნას ვგრძნობდი, კოცნისას კი საფერფლის გემო მრჩებოდა პირში. ბოლოს, სხეულსაც კი ვერ ვცნობდი, საკუთარი მკლავები, ბარძაყები, ტერფები მძულდა. სქესიც კი დავკარგე, უორგანო ფიტულად ვიქეცი, სამუზეუმო ექსპონატად. შენ კი

ისევ ვილაც რესპექტაბელურ ბოზებთან წვებოდი. გეგონა, ვერ ვხვდებოდი ან საიდან უნდა გეგრძნო, რომ სახლში უცხო ქალის სუნი შემოგეკონდა, ბილნი მეტოქის კანის სუნი. საათობით ვიდექი ხოლმე აბაზანაში და სისხლდენამდე ვცდილობდი ტანის გახეხვას. ყველაფერს ისტერიულად ვისუფთავებდი: ღრძილებს, ილღიებს, ფეხის გულებს... თავიდან ბოლომდე ყარდი, სული გიყარდა, გესმის, სული! დღემდე ვერ ვხვდები, რატომ მივუსაჯეთ ერთმანეთს თანაცხოვრების ოცდახუთწლიანი კარცერი ან მე როგორ გავძელი ამ სიმარტოვის, გულგრილობისა და ეგოიზმის ქაობში! უკვე აღარც კი მჯერა იმ წლებისა, როცა სამყარო მხოლოდ ჩვენი გვეგონა, მხოლოდ ჩემი და შენი.

პაუზა.

**რეზო:** ნუთუ ყველაფერი სიზმარი იყო?

**რუსიკო:** ეგ მე კი არა საკუთარ თავს უნდა ჰკითხო. რა გაკლდა, მითხარი, გაკლდა რამე?

**რეზო:** იქნებ, სწორედ იმას ვიღებდი სხვებისგან, რისი მოცემაც შენ არ შეგეძლო? გიფიქრია ოდესმე ამაზე?

პაუზა.

**რეზო:** გიფიქრია?

**რუსიკო** (თავს მაგიდაზე ჩამოაყრდნობს, თვალებს ხუჭავს, თითქოს ძილს აპირებდესო და მშვიდი ხმით იწყებს): ერთ სამეფოში სევდიანი პრინცესა ცხოვრობდა. იჯდა ხოლმე ღამით სარკმელთან და მსუქან მთვარეს ელაპარაკებოდა. წლები გადიოდა, პრინცესა კი სულ უფრო მეტად სევდიანდებოდა. ბოლოს, მთვარესაც მობეზრდა მასთან საუბარი. გოგონა ოთახში გამოიკეტა, უმადობა დაეტყო. მეფემ უცნაური სევდის სამკურნალოდ მთელი სამეფო ააწრიალა. მეზობელ სახელმწიფოებშიც კი გაგზავნა თავისი მაღემსრბოლები. საიდან აღარ მოდიოდნენ, ცხრა მთასა და ზღვას კვეთდნენ სახელგანთქმული ექიმები, ექიმბაშები, ფილოსოფოსები თუ პოეტები. რა არ იღონეს, მაგრამ ვერაფერმა გაჭრა. ერთხელ, პრინცესა წყაროსთან სეირნობისას თავისი ასაკის მწყემს ბიჭს გადააწყდა. მარტოდ-

მარტო იჯდა და სალამურს უკრავდა, თანაც ისე, რომ მუსიკის ხმაზე მთელი სამყარო გარინდებულყო, წყაროც კი არ ჩუხჩუხებდა. იდგა ეს ჩვენი უბედური გოგონა და თვალებს არ უჯერებდა: ფლეტიდან საფირონისფერი პეპლები გამოფარფატდნენ.

**რეზო** (ირონიით): აღარ უნდა გაიზარდო?

**რუსიკო:** ჩუუუ! მოიცა, დამამთავრებინე (პაუზა). სად გავჩერდი? ა, ჰო, გამახსენდა. მოკლედ, თავდავინყებით შეუყვარდა პრინცესას ლურჯთვალა მწყემსი ბიჭი. დამავინყდა მეთქვა, რომ ლურჯი თვალები ჰქონდა. დამეგობრდნენ კიდეც. დღე არ ჩაუგდიათ, ერთად რომ არ ესეირნათ. გოგონა გახალისდა, ბავშვური სიანცე დაიბრუნა, ხან რას თამაშობდნენ, ხან რას. ერთ დღესაც, დახუჭობანას დროს, მაგრად გაუნვიმდათ, ბიჭმა გოგონა სასახლემდე მიაცილა, შემდეგ კი უკან გაცუნცულდა. ორი დღის მერე გამოიდარა. გოგონა სირბილ-სირბილით ჩავიდა წყარომდე, ოღონდ იქ მწყემსი ბიჭი აღარ დახვედრია. ჯერ გაუკვირდა, მერე დასევდიანდა და უკან გაბრუნება დააპირა. უცნობმა ქალმა შეაჩერა, მწყემსი ბიჭის დედა აღმოჩნდა, აქ მისი უკანასკნელი თხოვნის ასასრულებლად მოსულა. სწორედ შაოსანი ქალისგან შეიტყო გოგონამ, რომ ბიჭს წვიმის გამო ფილტვების ანთება დამართნოდა, ისეთად სულ ავადმყოფობდაო, ბავშვობიდან.

ხანგრძლივი პაუზა.

**რეზო:** მერე?

**რუსიკო:** არაფერი. სიკვდილის წინ ბიჭს დედისთვის უთხოვია, სალამური ეჩუქებინა პრინცესასათვის. გაიზრდება, სახით დავავინყდები, ასე კი სამუდამოდ ვემახსოვრებო (პაუზა) წლების განმავლობაში იჯდა ხოლმე ეს ჩვენი მარტოსული გოგონა სარკმლის წინ და გარდაცვლილ ბიჭუნას უხმობდა. დაკვრისას მთელი სამეფო ფერფლისფერი პეპლებით ივსებოდა.

დუმილი.

**რეზო:** რის თქმას ცდილობ ამით, ასე მძიმედ ვართ ავად?



**რუსიკო:** მე უბრალოდ ჩემი ამბავი გაიამბე.

**რეზო:** იქნებ, მაგ ოხერ სალამურშია პრობლემა? იქნებ, სწორედ ეგ ინფანტილიზმი მაძულებდა შენ თავს?

**რუსიკო:** მე ხომ ყოველთვის გიხმობდი, შენ კი არ ჩანდი.

**რეზო:** ვერ ვხვდები, რა არ გაკმაყოფილებდა ჩემში, ვსვამდი, გცემდი, ნამალს ვიკეთებდი თუ ბინებში ვუფარდებოდი ვინმეს?

**რუსიკო:** ჩვენ ისე შევქმენით ოჯახი, ერთმანეთი არ გვეყვარებია, არა. გვიან მივხვდი, გვიან გავაცნობიერე, რომ გრძნობას თუ შეგრძნებას, რომელიც შენთან მაკავშირებდა, მარტოობის პანიკური შიში ერქვა.

პაუზა.

**რუსიკო:** „ჩვენ იმიტომ კი არ ვართ ერთად, რომ ერთმანეთი გვიყვარს, არამედ ერთად იმიტომ ვართ, რომ ერთნაირები ვართ“.

**რეზო:** შენ, ჩემო კარგო, ფილოსოფოსი ყოფილხარ!

**რუსიკო:** სხვისი სიტყვებია.

**რეზო:** ვისი?

**რუსიკო:** აღარ მახსოვს ან რა მნიშვნელობა აქვს ამ ყოველივეს, როცა სიტყვებმა კარგა ხნის წინ დაკარგეს მნიშვნელობები, არსი, ფუნქცია. აი, ხომ ხედავ, მეც ამდენს ვლაპარაკობ და ჯერ მთავარ ამბამდეც არ მივსულვარ.

**რეზო:** ამჯერად რას მიმაღავე? მეგონა, უკვე ყველაფერი თქვი.

**რუსიკო (ღიმილით):** გულუბრყვილო ყოფილხარ.

**რეზო:** ბავშვობიდან ზღაპრულობის გადმოტანას ცდილობდი ცხოვრებაში და ბოლოს, თავადაც კი დაიჯერე ჯადოსნური სამყაროს მარადიულობა. შენ კი ბრალს იმაში მდებ, რომ უფსკრულის სიღრმეში ჩაგახედე, რასაც სინამდვილეში თვალის ახელა ჰქვია. მეც ზუსტად მელიოდრამის სიმყავეს გავურბოდი ამ კედლებიდან.

**რუსიკო:** ახლაც მიკვირს, რით იზიდავდი ქალებს. შენ ხომ ერთ ჩვეულებრივი უქარიზმო მამაკაცი ხარ, ლაჩარი და ეგოისტი (პაუზა). რას პირდებოდი – უკონფლიქტო ურთიერთობას? კი არ

ვბრაზობ, გარკვევას ვცდილობ.

**რეზო:** არ დაემალავ, ხშირად მინანია დაოჯახება, არც მეგონა, სტუდენტობის ასაკში თუ დავიდგამდი კისერზე უღელს. მე ხომ მთელი ჩემი ახალგაზრდობა ამ შედეგებული მარტოობით სავსე კედლებს, საგნებს, სარეცელს და, რაც ყველაზე მთავარია, შენ შემოგწირე.

**რუსიკო:** თავს ნუ მაცოდებ, უნიჭოდ გამოგდის.

**რეზო (იცინის):** ორმოცდაათის გავხდი და ამ ასაკში კიდევ რომ მაქვს თამამის თავი, არ გიკვირს?

პაუზა. რეზო ფანჯარას სცილდება და მაგიდის მეორე მხარეს ჯდება.

**რეზო:** მართლა არასდროს გვეყვარებია ერთმანეთი?

**რუსიკო:** არ ვიცი.

**რეზო:** სერიოზულად გეკითხები.

**რუსიკო:** გგონია, ვხუმრობ?

**რეზო:** მე რა ვიცი.

**რუსიკო:** აი, ხომ ხედავ, ესეც კი არ იცი. არადა, ოცდახუთი წელიწადი მომისაჯე აი, აქ, ამ კარცერში.

**რეზო (ყვირის):** რატომ, ვიქეციტ ერთმანეთის ჯალათებად! რატომ-მეთქი გეკითხები!

**რუსიკო:** რა, გაყვირებს, რა! (პაუზა) ბავშვის სიკვდილის მერე სრულ უნონადობაში ვარ. თითქოს, მუცელში წელი მოქმედების ნალმი ამიფეთქდა და კოსმოსში გავიფანტე, ოღონდ უცნაური ის არის, რომ ყველა ორგანო წესრიგში მაქვს: ღვიძლი, თირკმელი, ფილტვი...

**რეზო:** და გული?

**რუსიკო:** გულიც.

პაუზა.

**რუსიკო:** ეტყობა, ჩვენი თანაცხოვრების საიდუმლო სწორედაც უსიყვარულობაშია.

**რეზო:** მერე ეგ შენ ნორმალური გგონია?

**რუსიკო:** ვინ თქვა, რომ ნორმალურია? ავად ვართ, რეზო.

**რეზო:** ამდენი არ უნდა დაგველია, თორემ, ხომ ხედავ, ჩემი იუბილე დემონთა ბენეფისად ვაქციეთ.

**რუსიკო:** ღვინო გვათამამებს.

**რეზო:** ხო.

იცინიან. რეზო რუსიკოს მიუჯდება და მხარზე აყრდნობს თავს.

**რეზო:** იცი, ბავშვობა მენატრება?!

**რუსიკო:** ესე იგი, ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაგვიკარგავს.

**რეზო:** ანუ?

**რუსიკო:** ბავშვობა ხომ ადამიანის უკანასკნელი თავშესაფარია.

**რეზო:** ხო, თავშესაფარი.

ხანგრძლივი პაუზა.

**რუსიკო:** მაინც რა გენატრება ყველაზე მეტად?

**რეზო:** ა?

**რუსიკო:** ბავშვობიდან.

**რეზო:** რა ვიცი, ყველაფერი: შეგრძნებები, შთაბეჭდილებები, ემოციები (პაუზა). სამოთხის ილუზია მენატრება, უფრო სწორად, ილუზიის იმიტაცია. ხანდახან ისიც კი მგონია, რომ ბებერ ბავშვად გავჩნდი.

**რუსიკო:** კარგი, ერთი. შენ არ ამბობდი, ბებერი არა ვარო?

**რეზო:** სხვა რამეს ვგულისხმობ.

**რუსიკო:** მაინც რას?

**რეზო:** როგორ აგისხნა... აი, ერთ ამბავს მოგიყვები, ოღონდ არ შემანყევტინო იცოდე, თორემ ვიბნევი და აზრი მეკარგება.

**რუსიკო:** მიდი.

**რეზო:** ძალიან პატარა ვარ, ექვსი თუ შვიდი წლის, მეტის არა. მახსოვს, იმ წელიწადს მაგრად მოთოვა, ისე ხვავრიელად თოვდა, რომ სახლიდან ვერ გავდიოდით, თუმცა, რომ გითხრა, რომ თანატოლებთან მიმიწვედა გული-მეთქი, მოგატყუებ. ანცი ბავშვი არც ვყოფილვარ, პირიქით. სულ მონყენილი დავეხეტებოდი ხოლმე ქუჩებში, ოღონდ, გეფიცები, დღემდე ვერ ამომიხსნია იმდროინდელი მონყენილობის საიდუმლო. ხოდა, იმას ვამბობდი, რომ ერთ დღესაც, უფრო სწორად, ღამით, სიზმარი ვნახე. დედა დამესიზმრა. საკუთარ დაბადებას დავესწარი, რუსო (ხმა ებზარება). ცარცისფერსახიან დედას ვხედავდი, რომელიც უხილავ ექიმებს უხმობდა და კივილი ხავილში გადასდიოდა. იმ კივილზე ახლაც, ორმოცდაათი წლის ასაკშიც, ცივი ოფლი მასხამს. ისე დამიმძიმდა ფეხები, გადაადგილე-

ბის უნარი დავკარგე. თითქოს, ბეტონში ამომავლეს (პაუზა). ვერაფერს ვერ ვგრძნობდი, ვიდექი და დედაჩემის ტანჯვას ვუცქერდი. ბოლოს ოთახი სარკეებით გაივსო და უნებლიეთ ერთ-ერთ მათგანში საკუთარ ანარეკლს მოვკარი თვალი. ბავშვის ნაცვლად დაღლილი კაცი მიყურებდა, ზუსტად ისეთი, როგორიც ახლა ვარ. არ მინდა გიჟად ჩამთვალო, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ რასაც ახლა ისმენ, სრული სიგიჟეა. არ უარვყოფ, მართლაც უცნაურად ჟღერს, თუმცა ნამდვილად ჩემი შეგრძნებებია, შენს თავს გეფიცები, შვილის სულს გეფიცები, რუსო.

ტირის. ხანგრძლივი პაუზა.

**რუსიკო:** ღმერთო, რა საშინელებაა! ამიტომაც ვერ იტან დაბადების დღეებს?

**რეზო:** როგორ უნდა მიყვარდეს დღე, რომელმაც დედაჩემის სიცოცხლე შეინირა. რომ არ გავჩენელიყავი, ამხელა ტკივილსაც ხომ ვერ მივაყენებდით ერთმანეთს...

**რუსიკო:** იქნებ, სწორედ მაგიტომ უნდა გეცოცხლა (ღვინის ბოთლს იღებს). დალევ?

**რეზო:** მომე.

პირდაპირ ბოთლიდან სვამს. დგება, კვლავ მაგიდაზე აბრუნებს და ამჯერად მაგიდის მეორე მხარეს ჯდება.

**რუსიკო:** მას შემდეგ, რაც, შენი თქმისა არ იყოს, უფსკრულის სიღრმეში ჩამახედე, მივხვდი, რომ, ვისაც სტიკია, ესე იგი, ჯერ კიდევ ცოცხალია. პარადოქსულ რამეს ვამბობ, მაგრამ ტკივილი კომპასია, სტიმულივითაა.

**რეზო:** სტიმულივით.

**რუსიკო:** ხო.

**რეზო:** და შენ ამის გჯერა.

**რუსიკო:** ხო.

პაუზა.

**რეზო:** სხვათა შორის, მამაჩემმა ბოღვად ჩათვალა.

**რუსიკო:** რა?

**რეზო:** ბოდავო, ასე მითხრა. სიზმარზე გეუბნები.

**რუსიკო:** იტირე?

**რეზო:** ღამის კბილებით დავგლიჯე ბალიში (ხანგრძლივი პაუზა). უფანტა-

ზიო კაცი იყო მამაჩემი, მარტო სამსახური – სახლი, სამსახური – სახლი. როგორც კი ჩემი რჩენა მობეზრდა, თორმეტი წლის ასაკში დეიდაჩემთან დამტოვა, მიმიხედო, თვითონ კი სახლიდან წავიდა, სამუდამოდ. როგორც მერე გავიგე, სხვა ცოლი შეურთავს, შვილებიც ჰყოლია, თუმცა ისე მოკვდა, არასოდეს გამჩენია მისი ნახვის სურვილი. სიკვდილიც არ მინანია. სამაგიეროდ, დეიდაჩემს სიგიჟედვე ვუყვარდი. აი, სწორედ ეგ პერიოდი მენატრება. გახსოვს, როგორ გაუხარდა ჩვენი ამბავი?

**რუსიკო:** სულ კომმის მურაბას მახვედრებდა. ისეთი, ისეთი გემრიელი იყო, რომ ნეტარებისგან ვკრუტუნებდი.

**რეზო:** თუმცა კეთება მაინც ვერ ისწავლე.

**რუსიკო (იციინის):** რა ვქნა, კულინარიამი სრულიად უნიჭო ვარ.

**რეზო (ირონიით):** სამაგიეროდ, ცხოვრებაში ვძიძგნით ერთმანეთის ხორცს.

**რუსიკო:** ისევ თავიდან დაიწყე?

**რეზო:** გგონია, ვპროვოცირებ?

**რუსიკო:** კი არ მგონია, ეგრეა.

**რეზო:** კაი, რა.

პაუზა.

**რუსიკო:** ხო, მართლა, სკოლაში რა ხდება?

**რეზო:** რა უნდა ხდებოდეს, სიმშვიდეა. ისე, ნახევარი სამასწავლებლო გვყავდა სტუმრად და გეკითხა ბარემ მათთვის.

**რუსიკო:** შენი დღე იყო და ჩემი წამოსვლის ამბებს ხომ არ გავარჩევდით (პაუზა). რაო, რას ამბობენ.

**რეზო:** საჭორაოდ მცალია? ათასი საქმე მაქვს. საკონტროლოები მოდის. ხომ იცი, რა პრობლემური კლასი მყავს.

**რუსიკო:** ვიცი, ხო.

**რუსიკო:** ხოდა, დროულად გამოვასწარი.

**რეზო:** შენს ადგილას კარგად დავფიქრებოდი.

**რუსიკო:** ძალები აღარა მაქვს.

**რეზო:** შენ არ ამბობდი, ამ ბავშვების გარეშე რა გამაძლებინებსო?

**რუსიკო:** მქონდა მიზეზი და მაგიტო წამოვედი.

**რეზო:** ვინმემ განყენინა? (პაუზა).

მითხარი, ვინმემ განყენინა?

**რუსიკო:** არა.

**რეზო:** აბა?

**რუსიკო:** არაფერი.

**რეზო:** ვინ ჰყავთ მანდ ლიტერატურის შენზე უკეთესი პედაგოგი?

**რუსიკო:** სოფრომაძე, მაგალითად. რას უწუნებ?

**რეზო:** ნუ შემჭამე ამ სოფრომაძით! ან რა აქვს დასაწუნი?

**რუსიკო:** (ირონიით) ხო, ტრაკი თუ მკერდი?

პაუზა.

**რუსიკო:** გგონია, მარტო დღეს შევნიშნე თქვენი მზერები? არა, ჩემო კარგო, სამასწავლებლოშიც ისე ხარბად უცქერდით ერთმანეთს, რომ გული მერეოდა, ოღონდ თქვენზე მეტად საკუთარ გულუბრყვილობაზე.

**რეზო:** აუ, დაიწყო!

**რუსიკო:** რა დავიწყე, რეზო, რა? შვილის ტოლა გოგოა.

**რეზო:** ამის გამო წამოხვედი?

პაუზა. რუსიკო ფანჯარასთან დგება.

**რუსიკო:** „რა უსიტყვო ნაღველს მალავს სული, ჩემი მეუფე, სულსაც აწვიმს, როგორც ქალაქს, ანდა მის გარეუბნებს“.

**რეზო:** „ანვიმს მინას და სახურავს და შრიალით ავივსე, სევდა სულში ჩასახული უკრავს წვიმის კლავიშზე“.

**რუსიკო:** ნეტა ოდესმე თუ გამოიღარებ?

**რეზო:** ალბათ.

**რუსიკო:** მთრგუნავს აქაურობა. რუხი კორპუსები, ანტენების ტყე, ხმაური. სურვილი მიჩნდება ისე, ისე დავპატარავდე, რომ კედლის რომელიმე ნახვრეტმა შემისრუტოს.

**რეზო:** და გაქრე?

**რუსიკო:** ხო, გავქრე. ვერ წარმოიდგენ, რამდენჯერ მიფიქრია თვითმკვლელობაზე.

**რეზო:** აბა, ექვსჯერო?

**რუსიკო:** ეგ მცდელობა იყო.

**რეზო:** მე კი ამ ყველაფრის შესახებ ახლა ვიგებ.

**რუსიკო:** გიჟად ჩამთვლიდი.

**რეზო:** რატომ აკეთებდი ამას? მე

ხომ შენთვის თითიც არ დამიკარებია.

**რუსიკო:** ცემა აქ არაფერ შუაშია.

**რეზო:** ქმრად თუ ვერ აღმიქვამდი, მეგობრები მაინც ხომ ვიყავით არა?

**რუსიკო:** შესაძლოა.

**რეზო:** ესეც კი გაეჭვება.

**რუსიკო:** მე ყველაფერი მაეჭვებს, არსებობაც კი.

**რეზო:** ჩემი თუ შენი?

**რუსიკო:** ჩვენი.

პაუზა.

**რუსიკო** (ფანჯრიდან იყურება): იმ კორპუსს შეხედე.

**რეზო:** რამე ხდება?

**რუსიკო:** სხვასაც უნთია შუქი. ნეტა, რა წყევლაა ასეთი, რამდენი უბედური ყოფილა ამქვეყნად.

**რეზო:** რა იცი, რომ უბედურია?

**რუსიკო:** აბა, რატომ არ სძინავს? სადაცაა გათენდება. ის კი ფხიზლადაა. ვერ ისვენებს, ეკლებზეა, ბორგავს.

**რეზო:** ვინ ის?

**რუსიკო:** სახლი. ნუთუ ვერ ხვდები, რომ იმასაც ჩვენსავით სტკივა?

**რეზო:** სახლზე მეუბნები?

**რუსიკო:** ხო, რა იყო, რა გაგიკვირდა (პაუზა) არ გიფიქრია, რომ ერთხელაც შესაძლოა ამ კედლებმაც ვერ გაუძლონ საუკუნეების მანძილზე შედედებული სიძულვილის უფსკერო სიმძიმეს და ქვეშ მოგვიყოლოს.

**რეზო:** ჩვენ ხომ ისედაც ფერფლისფერი ფანტელების უდაბნოში ვცხოვრობთ.

**რუსიკო:** ვიცი...

**რეზო:** და მაინც, რატომ ვიცხოვრეთ ერთად. რა გვაძლებინებდა?

**რუსიკო:** მარტოობის შიში. ჩემს თავზე ვლაპარაკობ, რასაკვირველია, თორემ შენ, მგონი, უჩემოდაც გაძლებ.

**რეზო:** დარწმუნებული ხარ?

**რუსიკო:** რა თქმა უნდა.

**რეზო:** უსამართლოდ მექცევი.

**რუსიკო:** აი, მე კი წარმოდგენაც მზარავს, რა შეიძლება დამემართოს სიმარტოვეში.

**რეზო:** აჭარბებ.

**რუსიკო:** არა.

**რეზო:** კი.

**რუსიკო** (ყვირის): არა, არა, არა!

**რეზო:** რა გემართება?

**რუსიკო:** მეშინია.

**რეზო:** რისი?

**რუსიკო:** არ ვიცი. მართლა არ ვიცი.

**რეზო:** დაიძინე, არ დაილაღე?

ხანგრძლივი პაუზა.

**რუსიკო:** რა უცნაურია: მალე დაგვათენდება თავზე, ჩვენ კი ცოცხლები ვართ.

**რეზო:** მეც ეგ მიკვირს.

**რუსიკო:** ჰო, მართლა, სიცოცხლეზე გამახსენდა. ერთხელ მამამ თოჯინა მიყიდა. ნაჭრისა იყო, ცისფერი თვალე-ბით. ხოდა, ყოველ ღამით დედობანას ვთამაშობდი. ტანსაცმელს ვურეცხავდი, ვაჭმევდი, ვვარცხნიდი, ვებუტებოდი კიდეც.

**რეზო:** მართლა?

**რუსიკო:** კი.

**რეზო:** მერე?

**რუსიკო:** მას მერე, რაც ჩემი მშობლები ავარიში მოყვნენ, სიცარიელის ისეთი სიმძიმე ვიგრძენი, რომ გადავწყვიტე, თოჯინა მომეკლა. ველარ ვაუძლებდი სახლში დასადგურებულ ტოტალურ მდუმარებას, მარტოობის სუსხსა და უდედმამო სიბნელეს.

**რეზო:** რა უქენი?

**რუსიკო:** ჩუმად ჩავაყოლე ჩემებს კუბოში.

**რეზო:** არ შეგეცოდა?

**რუსიკო:** სიზმრებში ამყვამისი ხმა – დედა, მეშინია, გამომიშვი აქედან, დე! – ასე მეძახდა (პაუზა). ვერ ვიტყვი, რომ ბებო ჩემზე არ ზრუნავდა, მაგრამ რალაცნაირი სიუცხოვის განცდა გვქონდა, თითქოს საკუთარ შვილიშვილს კი არ ზრდიდა, არამედ თავშესაფრიდან მოთრეულ ობოლს (პაუზა). წლები გავიდა, დავოჯახდი, დავფეხმძიმდი, თუმცა... თუმცა... (ტირის).

რეზო კოცნას ცდილობს, თუმცა რუსიკო უძალიანდება.

**რუსიკო:** დამანებე თავი! გულს მირევ. დამანებე-მეთქი თავი! (კივის).

**რეზო** (თავს ანებებს): ნუთუ ასეთი რთულია ადამიანურად ლაპარაკი?

**რუსიკო:** შენ რომ ადამიანობაზე მელაპარაკები, ეგ უკვე ცინიზმზე მეტია.

**რეზო:** როდის გახდი ასეთი სასტი-

კი? (მკლავზე ეხება).

**რუსიკო:** არ მომეკარო (მაგიდიდან დანას იღებს და რეზოს უშვერს), თორემ საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ!

**რეზო:** სულ გაგიჟდი? დადე ეგ თავის ადგილზე!

**რუსიკო** (დანას მომენტალურად ყელზე მიიდებს): გიკვირს, რომ სრულ ჭკუაზე ვარ? ისიც გიკვირს, რომ ნახევარი ცხოვრება სრულ სიცარიელეში გავატარეთ? ცოტაც და კლასტროფობიული ხუთვები დამენწყება.

**რეზო:** დაუშვი-მეთქი დანა!

**რუსიკო:** აღარ მინდა აქ, არ მინდა ამ სიდამპლის ხავსში ცხოვრება. დამანებეთ ყველამ თავი, გესმის? თავი დამანებეთ!

**რეზო:** მე კი დაგანებებ თავს, მაგრამ მეცოდები... არ მინდოდა ამის თქმა, უბრალოდ, სხვა გზას არ მიტოვებ: დარწმუნებული ხარ, რომ... დარწმუნებული ხარ, რომ ბავშვი ჩემგან გყავდა?

რუსიკო ჭიქას გაუქანებს, თუმცა კედელს ხვდება.

**რუსიკო** (ყვირის): რა ამაზრზენი კაცი ხარ!

**რეზო** (შოკშია): ავადმყოფო! შენთან ცხოვრება აუტანელია!

გარბის. ისმის კარის გაჯახუნების ხმა. რუსიკოს დანა უვარდება და ტირის. ტირილის ხმას მელანქოლიური მელოდია გადაფარავს. ბნელდება. მელოდია მალევე წყდება.

უკვე დილაა. ჩიტები ჭიკჭიკებენ. სივრცე მკრთალად ნათდება. მზის სხივი იჭრება სამზარეულოში. რუსიკოს რადიატორთან სძინავს, ემბრიონის პოზაში. ოთახში რეზო შემოდის. რუსოს დაინახავს და რადიატორთან მირბის.

**რეზო** (ანჯღრევს): რუსო, რუსიკო! ხმა გამეცი, გოგო!

რუსკო თვალებს იფშვნეტს. რეზოს დანახვისას შეკრთება, თუმცა ბრაზი არ ეტყობა.

**რეზო:** როგორ შემაშინე! როგორ შემაშინე, როგორ შემაშინე!

მომენტალურად აქვითინდება და ცოლს ეხუტება.

ხანგრძლივი პაუზაა.

დგებიან.

**რეზო:** წავალ, დავიძინებ, გახეთქვაზე მაქვს თავი. იქნებ გამიაროს, თორემ სამ საათში პირველი გაკვეთილი მენწყება (პაუზა). შენ რას აპირებ?

**რუსიკო:** ნამსხვრევებს ავალაგებ და ჭურჭელს დავრეცხავ.

**რეზო:** როგორც გინდა (კარისკენ მიდის).

**რუსიკო:** გაგაღვიძო?

**რეზო:** არა, იყოს, მალეცადრას დავაყენებ.

**რუსიკო:** კარგი. როცა გამოფხიზლდები, პიტნის ჩაის მოგიდუღებ. ტორტიც გვაქვს. თუ ყავა გირჩევნია?

**რეზო:** ამჯერად ჩაი. ყავა გულს მიჩქარებს.

**რუსიკო:** ხო, მეც.

**რეზო:** აბა, დროებით, საყვარელო (რუსიკოს კოცნის და გადის).

რუსიკო ნამსხვრევების ალაგებას იწყებს, თუმცა უეცრად ჩერდება და სივრცეს გაჰყურებს.

**რუსიკო:** „ანვიმს მინას და სახურავს და შრიალით ავივსე, სევდა სულში ჩასახული უკრავს წვიმის კლავიშზე“.

**რეზო** (ბრუნდება): მომესმა თუ რამე მითხარი.


**რუსიკო** („ფხიზლდება“): ა? არა, არაფერი.

რეზო მთქნარებ-მთქნარებით გადის. მომენტალურად ბნელდება.

ფარდა



## ნუგზარ გიგაური



### იგავ-არაქები

ხაჯახაჯი და ყვავი

ტოტზე, გვერდი-გვერდ ჩამოსხდნენ,  
 კაჭკაჭი და ყვავი,  
 აიშალეს საღერღელი  
 ფიქრები აქვთ შავი.  
 იკაჭკაჭეს, იყრანტაღეს,  
 გამოლანძღეს ყველა:  
 შველი, ტურა, მაიმუნი,  
 კურდღელი და მელა.  
 ბუს ქურდობა დააბრაღეს,  
 ცხვარს – მგლის საყვარლობა,  
 დასმენებით გააღვივეს  
 ტყეში უნდობლობა.  
 თხას ჩასძახეს: „შინ რომ არ ხარ,  
 შენს ცოლს სტუმრობს ღორი,  
 არნივს ამცნეს, რომ მის ბუდეს  
 უთვალთვალეს ქორი“.  
 ბულბულს სმენა დაუნუნეს,  
 ლომს დასწამეს ცილი,  
 მოტყუებით დასცინცლაო  
 მამას თავის ნილი.  
 კიდევ ბევრი განიკითხეს,  
 არ დაინდეს არვინ,  
 ჭორის ცეცხლში გაატარეს

ხან ვინა და ხან – ვინ.  
 ვინც ბოროტ ხმებს მოუსმინა,  
 დაიჯერა მათი,  
 ისევ თვითონ დაზარალდა  
 შაშვია თუ დათვი.  
 ტყუილების ყურის გდებამ  
 მტრად აქცია ძმები,  
 ღმერთის მგმობელი გახადა  
 ერთ დროს უფლის ყმები.  
 კობტა, წყნარი მთა და ბარი  
 გახდა კრივის რინგი,  
 ერთმანეთში აიზილა  
 ნისკარტი და დინგი.  
 კაჭკაჭ-ყვავის მონოდება  
 თუ ჩაგესმა ყურში,  
 ნუ მოისმენ, მოყვრის ღალატს  
 ნუ გაივლებ გულში.  
 დამიჯერე, ის, ვინც შენთან  
 მოძმეს განიკითხავს,  
 სხვასთან ისე გაგაშავებს  
 შენ არაფერს გკითხავს.  
 სჯობს ყოველთვის მოერიდო  
 სისინს ჭრელი გველის,  
 ვინც ცდუნებას არ აპყვება,  
 სიხარული ელის.

### ბაბი

ნიშნობაში დაპატიჟა  
 თეთრი ბატი მელიამ,  
 შეუთვალა: „ჩვენთან მუდამ  
 სიხარულით გელიან.  
 აუცილებლად გვესტუმრე  
 ნუ იდარდებ ნურაზე,  
 უფროს გოგოს ვაქორწინებ  
 დიდ თვალება ტურაზე.  
 საჩუქარზე არც იფიქრო  
 არაფერი გვჭირდება,  
 ცოტა კომში წამოიღე  
 თუ არ გაგიჭირდება“.  
 ბატმა ძალზე გაიხარა,  
 სამზადისი დაიწყო,  
 ყვითელლოყება კომშები  
 კალათაში ჩაიწყო.  
 იქვე, კრუხთან გადავიდა  
 გააოცა დობილი,  
 „ქორწილში მეპატიჟება  
 მელა, ჩემი ძმობილი!“  
 „ქა, რას ამბობ? გასულელდი?!

ეგ ხომ ჩვენი მტერია!  
 ვინც მის სიტყვას დაიჯერებს  
 ან გიჟი ან შტერია“.  
 „გშურს შენც, რომ არ დაგპატიჟა,  
 ყველაფერი გავიგე,  
 გიჯობს, თავი დამანებო  
 მაინც უნდა წავიდე“.  
 გზაზე მიდის, მიყიყინებს  
 აქეთ-იქით ქანაობს,  
 კურტუმს მიიქნევს-მოიქნევს  
 როგორც ჩინურ მარაოს.  
 ტყის პირას გამოეგება  
 სტუმარს წუნკი მელია,  
 ბრიყვი ბატის მოლოდინში  
 გული გადაელია.  
 მიიყვანა უმაღლ სახლში,  
 ჩამოართვა საგზალი,  
 ტახტზე დასვა, დაასვენა  
 დაღლილი და ნამგზავრი.  
 ცოლს გასძახა: „დედაკაცო  
 ერთი გამოგვხედო,  
 სანამ საქმეს მოვაგვარებ,  
 სტუმარს მიმიხედო!“  
 თვითონ ეზოში გავიდა,  
 დანას პირი აუნყო,  
 ცეცხლზე ქვაბი შემოდგა  
 შიგ კომშები ჩაუნყო.,,  
 შუადღისთვის შემოუსხდა  
 სუფრას მთელი ოჯახი,  
 ჩაშუშული ბატის სურნელს  
 ვერ იტევდა ოთახი.  
 მელაკუდამ მოამზადა  
 გემრიელი სადილი,  
 ვინც მტერ-მოყვარეს ვერ არჩევს  
 სულელია ნამდვილი.

### მთვრალი თხა

თხა-კიკინა, ცანცარა  
 შავი ღვინით გამოთვრა  
 და დაიწყო ციკნების  
 უგზო-უკვლოდ დამოძღვრა.  
 ალთას მიედ-მოედო,  
 ბალთას გადმოიარა,  
 ოცნებებში სამყარო  
 ასჯერ შემოიარა.  
 გაიხსენა ბავშვობის  
 საქმენი საგმირონი...  
 რუხი მგელი ყოფილა



მისი ნათლიმირონი.  
 რქებით გამოუფატრავს  
 მურა დათვი ბურტყუნა,  
 სხვა ბრძოლებშიც მარჯვენამ  
 ერთხელაც არ უმტყუნა.  
 მისი შიშით ტყეებიდან  
 გახიზნულა ნადირი,  
 ლომმა შერიგების ნიშნად  
 გაუმართა ნადიმი.  
 ეტლში ტურა-მელა ჰყავდა  
 ცხენებივით შებმული,  
 ეზოში კი ძაღლის ნაცვლად  
 ვეფხვი ჰყავდა დაბმული.  
 პატივს სცემდა, აფასებდა  
 თურმე მთელი მსოფლიო  
 „ტყუილად არ დამიღვრია  
 ამოდენა ოფლიო!“  
 როცა თვალი გაახილა,  
 უკვე ყველა წასულა,  
 ტრაბახსა და ბაქი-ბუქში  
 კარგა ხანი გასულა.  
 თხაც ადგა და ნაბანცალდა,  
 აერია გზა-კვალი,  
 ტყეს მიადგა, დაინახა  
 შავთვალეხა მაყვალი.  
 გაუხარდა, მოინდომა  
 პირის ჩატკბარუნება,  
 უმალ გამოუკეთდა  
 მოჟამული გუნება.  
 გემრიელი ნაყოფის  
 ჭამა-ჭამით გასწია,  
 უზომოდ გამომძლარმა  
 თავი მაღლა ასწია.  
 ნადირთ ლხინი სულელმა  
 სწორედ მაშინ შენიშნა,  
 დაფთაფების გუგუნის  
 სანყალს ცუდად ენიშნა...  
 მგელს ქორნილი ჰქონია,  
 გაახურა მაყალი,  
 ტრაბახსა თხის მწვადებით  
 დააპურა მაყარი.  
 ცაზე მთვარე ანათებდა,  
 გულში ეცინებოდა,  
 მთებს გადაღმა გარიჟრაჟი  
 ღამეს ერკინებოდა.  
 ალბათ, მიხვდი ტყუილები,  
 რომ არ გამოგადგება,  
 ღმერთი იმას არ გასწირავს,  
 ვინც სწორ გზას დაადგება!

## ტრაბახა თაზვი

თაგვებმა თედოს მარანში  
 გამართეს დიდი ლხინიო,  
 არც შავი ღვინო მოიკლეს  
 არც კაკალი და თხილიო.  
 ერთი წრუნუნა გამოთვრა  
 ყანნებს გაუმრო ძირიო,  
 გასძახა: „კატა მომგვარეთ  
 უნდა დავაძრო კბილიო!“  
 აქეთ ბიჭები იჭერენ,  
 იქით ცოლი და შვილიო,  
 „თავს რად ილუპავ, დადექი,  
 ხალხს ნუ დაუფრთხე ძილიო“.


ხვენწა-მუდარამ არ გაჭრა  
 ხმაღს აულესა პირიო,  
 ქამარ-ხანჯალი აისხა  
 „გიჩვენებთ, რომ ვარ გმირიო“.

კარი გააღო გავარდა,  
 გზას აადინა ბღღვირიო,  
 „ციცაო, მოდი ვიბრძოლოთ,  
 თუ კარგ კატის ხარ შვილიო“.

კატამ თვალი გაახილა  
 დააღო დიდი პირიო,  
 ეშვები გამოაჩინა  
 თაგვს დაუკარგა ნირიო.

ერთი მოქნევით დააგდო  
 ტრაბახა, ვითომ გმირიო,  
 გემრიელად ისადილა  
 მინვა განაგრძო ძილიო.

თავისი ბაქი-ბუქობით  
 თაგვმა მოგვჭამა ჭირიო,  
 წრუნუნები დააობლა  
 ცოლი დატოვა ქვრივიო.



## რობერტ ფოქსი

რობერტ ფოქსი მწერალი, რეპორტიორი, კომენტატორი და დიქტორია. ფოლკლენდში ფრონტის ხაზიდან რეპორტაჟებს გადმოსცემდა (ამის გამო ბრიტანეთის იმპერიის ბრწყინვალეების ორდერით დაჯილდოვდა), ასევე შუა აღმოსავლეთიდან, ერაყის, პალესტინის, ბოსნიის, კოსოვოსა და ავღანეთის ტერიტორიებიდან. ის გახლავთ ივნიგ სთანდარდის თავდაცვის კორესპონდენტი და უფროსი ასოცირებული თანამშრომელი ლონდონის კინგს კოლეჯის თავდაცვის კვლევების ცენტრში. რეგულარულად აკეთებს კომენტარებს ბბსი-სა და სქაისთვის და წერს პუბლიკაციებს, რომელთა შორისაა ასევე ონლაინ გარდიანი და ფესთ ფოსტი, ტაიმს ლითერარი საფლიმენტის და ტაბლეტის ჩათვლით.

მისი ავტორობით გამოცემული წიგნებია: „ფოლკლენდის თვითმხილველი“ (1982), „ანტარქტიკა და სამხრეთ ატლანტიკა“ (1985), „კამერა კონფლიქტისას“ (1995) და „ლაინერები“ (1998).

რობერტ ფოქსი, ბრაიან ჰანრაჰანთან ერთად, თანაავტორია წიგნებისა: „მე ისინი ყველა გავრიცხე“ (1982); „ომი და სიმართლე: რეპორტაჟი და ისტორია“. ასევე მისი ავტორობით გამოიცა ანთოლოგია „ისტორიის თვითმხილველი“ (2010).

### 306 წარს ყველაზე მოკლე ნოველებს?

ძალიან მოკლე ნოველების წერა მას შემდეგ დავიწყე, რაც კოლეჯი მივატოვე, ეს ის დროა, როცა მწერალი გავხდი. უილიამ იორკ ტინდოლზ ლორენსისა და ჯოისის შემდეგ საროიანის „მამაცი ჭაბუკი მფრინავ ტრაპეციაზე“, ასე ვთქვათ, მოქცევამ გამათავისუფლა. მოქმედი პირი, სიუჟეტი, კონფლიქტი, გადანაცვლებები და ფალოსური სიმბოლიზმი უკვე აღარ მჭირდებოდა. საროიანის ნაშრომმა ასევე ნაკლებად სერიოზული გამხადა. იდეებზე იმპროვიზაციით ახლებურად ვხალისობდი. ჩემი მოთხრობები, როგორებიცაა: „იგავი“, „ქალმა დაწერა“, „როკ, ჰადსონის ფან კლუბის წევრი“, რომლის ამბავიც საროიანის „ძვირფასი გრეტა გარბოდან“ ავიღე, ფანტაზიებში მერყეობდა. მიმაჩნია, რომ საროიანი ფორმაზე არ ფიქრობდა, მისგან რაც ვისწავლე, ტონალობაა. ძალიან მოკლე ნოველები შეიძლება ისეთივე ტონალური იყოს, როგორც პოეზია.

რამდენიმე წლის დაგვიანებით ბორხესმა, კორტასარმა და ხუან ხოსე არეოლამ ისევ ფორმისკენ დამაბრუნეს. ჩემთვის ბორხესი განსაკუთრებით ბუნებრივი იყო. „ის დიდებული მატყუარაა“, – მითხრა პოეტმა, სერხიო მონდრაგონმა. რამდენიმე წლის შემდეგ, უნივერსიტეტს რომ ვამთავრებდი, თამაში კიდევ ერთხელ დამჭირდა.

ჩემი მთავარი ინტერესი ოცნებების მეტაფორებად გამოყენება და ასევე ფიზიკურ რეალობაზე კომენტარებია. ასევე დაწერილი მაქვს სატირები, პაროდები, მითიური მოგონებანი და რეალისტური ანეგდოტები, ფრიტოს სერიის ადრეული მოთხრობების მსგავსად. ფორმის ეკონომია დიდებული გამოწვევაა და სწრაფი დასასრული.

ძალიან მოკლე ნოველებს ისე წარმოვიდგენ ხოლმე, როგორც ლექსებს, ნაწარმოების სტრუქტურას მთლიანობაში ვხედავ, თუმცა ისევ არ ვიცი, გამოდგება თუ არა ჩემი ნაწარმოები, ვიდრე სიტყვებს ქალაქზე გადავიტან. სიამოვნება იმაშია, რომ ძალიან მოკლე ნოველის შესაქმნელად სიმჭიდროვე და სიზუსტეა საჭირო. მრავალი წარუმატებელი კონცეფცია მქონია: პერსონაჟები, რომელთაც განვითარება ან იდეები სჭირდებოდათ, მაგრამ ადეკვატური არ აღმოჩნდა.

ხშირად, როდესაც ვკითხულობ, მსმენელებს ძალიან მოკლე ნოველისა და ლექსის ერთმანეთისგან გარჩევა უჭირთ. მე ვხვდები განსხვავებას, რადგან ფორმას წინასწარი განზრახვით, ინსტინქტურად ვირჩევ, თუმცა ბევრი პროზაული ლექსით ვარ დაინტერესებული, რომელთაც ამ ბოლო დროს ჟურნალებში ვკითხულობ, ფორმებს შორის ბუნდოვანი განსხვავება რომ ახასიათებთ.

ავტორისაგან

## იზაზი

ახალგაზრდა კაცს პირი სუფთად გაეპარსა და მოხდენილად ეცვა. ორმაბათის ადრიანი დილა იყო და მეტროში ჩავიდა. მისი პირველი სამსახურის პირველი დღე იყო და უმნიშვნელოდ ნერვიულობდა; ზუსტადაც არ იცოდა, რა სამუშაო უნდა შეესრულებინა. სხვა მხრივ თავს მშვენივრად გრძნობდა. ყველა უყვარდა, ვისაც ხედავდა. ქუჩაში თითოეული გამვლელი თუ მეტროში გაუჩინარებული – ყველა უყვარდა, მთელი სამყარო უყვარდა, რადგან მშვენიერი, ნათელი დღე იდგა და სამსახურს პირველად იწყებდა.

ვინმესთვის გვერდის გაუკვრელად, ახალგაზრდა კაცმა მანჰეტენისკენ მიმავალ მატარებელში შეძლო ადგილის პოვნა. მანქანა მალე გაივსო და კაცმა ფეხზე მდგომ ადამიანებს ახედა, მისი ადგილისა რომ შურდათ. მათ შორის საყიდლებზე მიმავალი დედა და ქალიშვილი გახლდათ. ლამაზ გოგონას ქერა თმა და ნაზი სახის კანი ჰქონდა და კაცი მისით წამსვე მოიხიბლა.

– შენ მოგშტერებია, ჩურჩულით უთხრა დედამ ქალიშვილს.

– დიახ, დედა, თავს ისე არასასიამოვნოდ ვგრძნობ. რა უნდა გავაკეთო?

– შეყვარებულია შენზე.

– ჩემზეა შეყვარებული? როგორ მიხვდი?

– იმიტომ, რომ დედაშენი ვარ.

– მაგრამ რა უნდა ვქნა?

– არაფერი. გამოლაპარაკებას შეეცდება. თუ ასე მოიქცა, უპასუხე. კარგად მოეპყარი. ის მხოლოდ ბიჭია.

მატარებელმა საქმიან რაიონს მიაღწია და ბევრი ხალხი ჩავიდა. გოგონამ და დედამისმა ახალგაზრდა კაცის წინ აღმოაჩინეს ადგილი. კაცი გოგონას

ყურებას განაგრძობდა. გოგონა დროდადრო ამოხედავდა ხოლმე, კაცი ისე თუ უცქერდა.

კაცმა ფეხზე დგომის საბაბი იპოვა და თავისი ადგილი ხანშიშესულ მამაკაცს დაუთმო. გოგონას და დედამისს თავზე დაადგა. ისინი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და კაცს ახედავდნენ ხოლმე. მომდევნო გაჩერებაზე გოგონას გვერდით სკამი გათავისუფლდა და კაცმა, სირცხვილისგან განითლები მიუხედავად, ადგილი მსწრაფლ დაიკავა.

– ასეც ვიცოდი, – კბილებში გამოსცრა დედამ. – ასეც ვიცოდი, ასეც ვიცოდი...

ახალგაზრდა კაცმა ყელი ჩაინმინდა და გოგონას ხელი მსუბუქად დაჰკრა. გოგონა გვერდზე გახტა.

– მომიტევეთ, – თქვა კაცმა. – ძალიან ლამაზი გოგონა ხართ.

– გმადლობთ, – თქვა გოგონამ.

– ნუ ესაუბრები! – თქვა დედამისმა. – პასუხს ნუ სცემ! გაფრთხილებ, დამიჯერე!

– შემეყვარდი! – უთხრა კაცმა გოგონას.

– არ მჯერა. – თქვა გოგონამ.

– ნუ პასუხობ! – თქვა დედამ.

– ნამდვილად ასეა, – თქვა კაცმა. – ფაქტობრივად, ისე ძლიერ მიყვარხართ, რომ თქვენზე დაქორწინება მსურს.

– სამსახური თუ გაქვთ? – ჰკითხა გოგონამ.

– დიახ, დღეს ჩემი სამსახურის დანყების პირველი დღეა. მანჰეტენში მივდივარ, რომ მუშაობა დავიწყო.

– რა სახის სამუშაო უნდა შეასრულოთ? – ჰკითხა გოგონამ.

– ზუსტად კი არ ვიცი, – თქვა კაცმა. – იცი? ჯერ არ დამიწყია.

– ამაღელვებლად ჟღერს! – თქვა გოგონამ.

– ეს ჩემი პირველი სამსახურია, თუმცა საკუთარი მაგიდა მექნება, ხელთ უამრავი ფურცელი მეჭირება, რომლებსაც პორტფელით ვატარებ, კარგადაც გადამიხდიან და დამანიანაურებენ კიდევ.

– მიყვარხარ! – თქვა გოგონამ.

– ცოლად გამომყვები?

– არ ვიცი. დედაჩემს უნდა ჰკითხო. ახალგაზრდა კაცი წამოდგა და გოგონას დედის წინ დადგა. ყელს დიდი სიფრთხილით, ხანგრძლივად ინმენდდა.

– შეიძლება, პატივი დამდოთ და ქალიშვილის ხელი გთხოვოთ? – თქვა კაცმა, მაგრამ მისი ხმა მეტროს ხმაურმა ჩაახშო.

დედამ კაცს ახედა და თქვა:

– რა?

კაცმა ქალის ნათქვამი ვერ გაიგო, თუმცა მისი ტურჩების მოძრაობით და სახის დამანჭვით მიხვდა, რომ მან თქვა – რა?

მატარებელმა გასაჩერებლად სვლა შეანელა.

– შეიძლება, პატივი დამდოთ და ქალიშვილის ხელი გთხოვოთ? – დაიყვირა კაცმა. – ვერ მიხვდა, რომ მეტროში ხმაური აღარ იყო. მატარებელში ყველამ მას შეხედა, გაუღიმეს და მერე ტაში დაუკრეს.

– გადაირიეთ? – ჰკითხა დედამ.

მატარებელი ისევ დაიდრა.

– რა? – თქვა კაცმა.

– მასზე დაქორწინება რატომ გინდათ? – ჰკითხა ქალმა.

– რა ვიცი, მშვენიერია! ვგულისხმობ, რომ მასზე შეყვარებული ვარ.

– სულ ესაა?

– ასე მგონია, – თქვა კაცმა. – მეტს ელოდით?

– არა. ჩვეულებისამებრ, არა! – თქვა დედამ. – მუშაობთ?

– დიახ, ფაქტობრივად, ამიტომაც

მივდივარ მანჰეტენში ასე დილაადრიან. დღეს ჩემი პირველი სამსახურის პირველი დღეა.

– გილოცავთ! – თქვა დედამ.

– გმადლობთ! – თქვა კაცმა. – შეიძლება, თქვენს ქალიშვილზე დავქორწინდე?

– მანქანა გყავთ? – ჰკითხა ქალმა.

– ჯერ არა, – თქვა კაცმა. – მაგრამ ძალიან მალე შევძლებ, რომ მყავდეს და სახლიც, აგრეთვე.

– სახლი?

– ბევრი ოთახით.

– დიახ, ველოდი, რომ ამას მეტყვოდით, – თქვა ქალმა. – ქალი თავის ქალიშვილს მიუბრუნდა. – გიყვარს?

– დიახ, დედა, მიყვარს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კარგია და მშვიდი... და კეთილი.

– დარწმუნებული ხარ?

– დიახ.

– ასე რომ, ნამდვილად გიყვარს?

– დიახ.

– დარწმუნებული ხარ, რომ სხვა არავინაა, რომელიც შესაძლოა, შეგიყვარდეს და მასზე გათხოვებაც მოგიხდეს?

– არა, დედა! – თქვა გოგონამ.

– მაშ, კარგი, – უთხრა დედამ ახალგაზრდა კაცს. – როგორც ჩანს, ვერაფერს ვიზამ. ისევ სთხოვეთ ხელი.

მატარებელი გაჩერდა.

– ჩემო უძვირფასესო... – თქვა კაცმა. – ცოლად გამომყვები?

– დიახ! – თქვა გოგონამ.

მატარებელში ყველამ გაიღიმა და ტაში დაუკრა.

– ცხოვრება ხომ მშვენიერია? – ჰკითხა ბიჭმა დედას.

– ლამაზი! – თქვა დედამ.

როგორც კი მატარებელი დაიდრა, კონდუქტორი ვაგონებს შუა გამოძვრა და მუქი ფერის ჰალსტუხის სწორებით, საზეიმო შავი წიგნით ხელში, მათ მიუახლოვდა.

ინგლისურიდან თარგმნა

**მაია ბოლაშვილმა**

## ნილ გეიმანი

### ჯაჟიანი გზის მოგონებები

(ნოველების კრებულიდან „მეიფე საგნები“)

მიყვარს, როცა ყველაფერს მოთხრობის სახე აქვს, თუმცა, რეალობა როდი ჰგავს მოთხრობას და არც ჩვენს ცხოვრებაში ამოფრქვეული უჩვეულო ამბები მიეკუთვნებიან მოთხრობის ჟანრს. მათი ფინალი არ არის ბოლომდე დამაკმაყოფილებელი. უცნაური ისტორიის მოყოლა იგივეა, რაც საკუთარი სიზმრის აღწერა: ჩვენ შეგვიძლია გადმოვცეთ სიზმარში მომხდარი მოვლენები, მაგრამ არა მისი ემოციური შინაარსი, რომელიც ჩვენს თითოეულ დღეს ასე აფერადებს. ბავშვობაში მჯეროდა, რომ არსებობდა ადგილები, სადაც მოჩვენებები სახლობდნენ, მაგალითად, მიტოვებული სახლები, რომლებიც მე ძალიან მაშინებდნენ; გადავწყვიტე, მათთვის თავი ამერიდებინა: ასე რომ, იმ დროს, როცა ჩემი დები ცარიელი სახლების ფანჯრებში თვალმოკრული უცნაური ფიგურების შესახებ სავსებით დამაჯერებელ ისტორიებს ყვებოდნენ, მე არაფერი მქონდა მოსაყოლი. არც ახლა მაქვს. ახლა კი მინდა ჩემი მოჩვენების ისტორია მოგიყვებო, რომელიც ასევე ნაკლებად დამაჯერებელია.

თხუთმეტი წლის ვიყავი. ახალ სახ-



ლში ვცხოვრობდით, რომელიც ჩვენი ძველი სახლის ბაღში იყო აშენებული. ისევ ძველი სახლი მენტრებოდა: ის უზარმაზარი ძველებური სასახლე. ჩვენ იმ სახლის ნახევარი გვეკავა. იმ ხალხმა, ვინც მეორე ნახევარში ცხოვრობდა, თავიანთი წილი უძრავი ქონება დევლოპერებს მიჰყიდა; მამაჩემმაც ჩვენი

ნახევარი მათვე შეასყიდა. ეს ხდებოდა სასექსში, იმ ქალაქში, რომელზეც ნულოვანი მერიდიანი გადის: მე აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ვცხოვრობდი, სკოლაში კი დასავლეთ ნახევარსფეროში დავდიოდი. ძველი სახლი უცნაური ნივთების ნამდვილი განძსაცავი იყო: მბრწყინავი მარმარილოს ქვები და თხევადი ვერცხლისწყლით სავსე შუშის კოლბები, აგურის კედლებისკენ გამავალი კარები; იდუმალებით მოცული სათამაშოები; ანტიკვარული და მივიწყებული ნივთები. ჩემს საკუთარ სახლს – ამერიკის შუაგულში მდებარე ვიქტორიანული სტილის აგურის შენობას, როგორც მითხრეს, მოჩვენებები სტუმრობდნენ. ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ხალხი, ვინც იქ ოდესმე კიდევ ღამეს მარტო გაათევს. ჩემმა ასისტენტმა მიაშობო, იქ ღამეები როგორ გაატარა მარტომ: შუალამისას ფაიფურის მუსიკალური ყუთი-მასხარა თავისით რომ ჩაირთო და რომ ის აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ მას ვიღაც უთვალთვალედა. სხვებიც, ვისაც იქ ღამე მარტოებს გაუთენებიათ, მსგავს რაღაცებზე ჩიოდნენ. პირადად მე იქ შემაშფოთებელი გამოცდილება არასდროს მქონია, თუმცა ღამე მარტოც არასდროს დავრჩენილვარ და, ვეჭვობ, მსგავსი სურვილი ოდესმე გამჩენოდა. „როცა აქ მე ვარ, არანაირი მოჩვენებები არ არიან!“ – ვთქვი მე ერთხელ, როცა მკითხეს, იყვნენ თუ არა ჩემს სახლში მოჩვენებები. „იქნებ შენ თვითონ ხარ მოჩვენება?“ – შენიშნა ვიღაცამ; ვეჭვობ, ეს ასე იყო. თუ აქ მოჩვენებები გვყავს, ის ერთი მშიშარა ვინმე უნდა იყო, რომელსაც უფრო ეშინია ჩვენი, ვიდრე ჩვენ მისი.

ჩვენი ძველი სახლის შესახებ გიყვებოდით, რომელიც გაყიდეს და დაანგრის (არ შემეძლო მშვიდად მეყურებინა, როგორი დაცარიელებული იყო ის; ვერ ვუძლებდი, როცა ვხედავდი, როგორ იყო ის ნაწილ-ნაწილ დაშლილი და ბულდოზერით გადასწორებული: ჩემი გული იმ სახლში დარჩა და

ახლაც კი, ღამ-ღამობით, ძილის წინ ყურში ჩამესმის, როგორ კვნესოდა ქარი ცირცელის ხესთან, ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრებქვეშ, ოცდახუთი წლის წინ. მოკლედ, ახალ სახლში გადავედით, რომელიც, როგორც გითხარით, ძველი სახლის ეზოში იყო აშენებული. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. იმ დროს, სახლი ერთ უკაცრიელ ადგილას იდგა, მიხვეულ-მოხვეული გზის ახლოს, მინდვრებით და ხეებით გარშემორტყმული. დარწმუნებული ვარ, ახლა რომ იქ დამაბრუნა, ის კაჟის გზა მოასფალტებული დამხვდება, ის მინდვრები კი უსასრულო საცხოვრებელ კვარტლად იქნება გადაქცეული, მაგრამ მე უკან აღარ ვბრუნდები. თხუთმეტი წლის ვიყავი, გამხდარი, მოუქნელი და მაგარ ბიჭობაზე ვოცნებობდი. შემოდგომის ღამე იყო. ჩვენი სახლის გარეთ განათების ბოძი იდგა, რომელიც მაშინ დააყენეს, როცა სახლი აშენდა და იმ ჩაბნელებული სოფლისთვის ისევე უადგილოდ გამოიყურებოდა, როგორც განათების ბოძი „ნარნიის ქრონიკებში“. ეს იყო ნატრიუმის შუქი, ყვითლად რომ იწვოდა და ყველა სხვა ფერს შთანთქავდა და ყვითელ და შავ ფერებად გარდაქმნიდა.


ის ჩემი შეყვარებული არ ყოფილა (ჩემი შეყვარებული კროიდონში ცხოვრობდა, სადაც მე სკოლაში დავდიოდი; წარმოუდგენელი სილამაზის, თაფლისფერთვალეა, ქერათმიანი გოგო იყო, რომელიც, როგორც ხშირად თავად შემომჩიოდა, გაოგნებული იყო და ვერაფრით გაეგო, მე რატომ მხვდებოდა), მაგრამ მეგობარი იყო ჩემი; ჩემი სახლიდან ფეხით ათი წუთის სავალზე, მინდვრებს გადაღმა, ქალაქის ძველ უბანში ცხოვრობდა. გადავწყიტე, მასთან ფეხით სტუმრად წავსულიყავი; ერთად დავსხდებოდით, ფირფიტებს დავუკრავდით და ვისაუბრებდით.

სახლიდან გამოვედი, გზისკენ ბალახიან ფერდობზე სირბილით დავეშვი და უცებ ერთ ადგილას გავქვავდი; ზუსტად ჩემ წინ, განათების ბოძის ქვეშ, ქალი იდგა და ჩვენს სახლს მიმტერებოდა;

მას თეატრალურ სპექტაკლში მონაწილე ბოშების დედოფალივით თუ მავრიტანელი პრინცესასავით ეცვა. ლამაზი არ იყო, უფრო სიმპათიური ეთქმოდა. მის ფერებს ვეღარ ვიხსენებ, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ყვითელი და შავი ელფერი დაჰრავდა. მოკლედ, შეშინებული მივხვდი, რომ ვიღაცის პირისპირ ვიდექი იქ, სადაც არავინ უნდა ყოფილიყო. გამარჯობა-მეთქი, მივესალმე. ქალმა პასუხი არ გამცა. შემომხედა. „ვინმეს ეძებთ?“ – ვიკითხე მე ან რაღაც ამის მსგავსი ჩავილაპარაკე; ის კი, ის დაუფერებელი ქალი, რომელიც სადაც, გადაკარგულში, ისე იყო გამონწყობილი, თითქოს სიზმრიდან იყო გადმოსული, იდგა და ხმას არ იღებდა; ქალს ნელ-ნელა ღიმილი შეეპარა, მაგრამ ეს არ იყო კეთილი ღიმილი და უცებ ვიგრძენი, რომ შიშმა ამიტანა: ღრმა, ყოვლისმომცველმა შიშმა, სიზმარში რომ განიცდიან, ისეთმა; ქალს უცებ მოვცილდი, გზაზე დავეშვი და კუთხეში შევუხვიე; ჩემს მკერდში გულს ბაგაბუგი გაუდიოდა; ცოტა ხანს კიდევ ვიდექი იქ, სახლიდან მოფარებულ ადგილას, შემდეგ კი უკან გავიხედე და დავინახე, რომ განათების ბოძის შუქზე არავინ იდგა. სახლიდან ორმოცდაათ ნაბიჯზე ვიდექი, მაგრამ უკან ვეღარ მივტრიალდებოდი, აღარ მივტრიალდებოდი, სახლში ვერ დავბრუნდებოდი; ძალიან შეშინებული ვიყავი. ამიტომ, ჩაბნელებულ,

ხეებით შემოსილ კაჟის გზას სირბილით ავუყევი და ძველ ქალაქში შევვარდი; შემდეგ კი უკვე სხვა გზით ჩემი მეგობრის სახლამდე ავალწიე; ადგილზე რომ მივედი, გულამოვარდნილი და მეტყველების უნარდაკარგული ძლივს რაღაცას ვლულულუღებდი; ისეთი შეშინებული ვიყავი, თითქოს მთელი ჯოჯოხეთის საძაღლეთი მე მომსდევდა. მეგობარს მოვუყევი, რაც გადამხდა და ჩემს მშობლებს დავურეკეთ; მათ მითხრეს, რომ ქუჩის განათების ქვეშ არავინ იდგა და დათანხმდნენ, ცოტა არ იყოს უხალისოდ, რომ მანქანით მომაკითხავდნენ და სახლში წამიყვანდნენ, რადგან იმ ღამეს სახლში ფეხით ვერ დავბრუნდებოდი. აი, სულ ეს არის ჩემი ამბავი. ნეტავ მეტი მქონდეს სათქმელი: ნეტავ შემეძლოს, გაიმბოთ ბოშათა ბანაკზე, რომელიც იმ ადგილას ორასი წლით ადრე დაიწვა – ან რაღაც ისეთი, რაც მიგახვედრებდათ, რომ ამბავი დასრულდა, ან რაღაც ისეთი, რაც მას მოთხრობის სახეს მისცემდა, მაგრამ ასეთი ბანაკი არ არსებობდა. ამიტომ, საკუთარ სამყაროში ამოფრქვეული უჩვეულო და უცნაური მოვლენების მსგავსად, ესეც აუხსნელი რჩება. მას არ აქვს მოთხრობის სახე. მოგონებად კი იმ ქალის ყვითელ-შავი ღიმილი და იმ ღიმილით გამონვეული შიშის აჩრდილილა დამრჩა.


ინგლისურიდან თარგმნა  
**ზურაბ სონლულაშვილმა**





## ვლადიმერ ნაბოკოვი

### ნიშნები და სიგოლოები



უკვე მეოთხეჯერ მთელი ამ წლების მანძილზე ისინი ისევ იმ პრობლემის წინაშე იდგნენ – რა მიეტანათ დაბადების დღეზე საჩუქრად ბიჭისთვის, რომელსაც განუკურნებელი ფსიქიკური აშლილობა სჭირდა. მას არანაირი სურვილები არ ჰქონდა. მისთვის ყველაფერი, რაც ხელოვნური იყო, იმ ბოროტების სკას ჰგავდა, რომელშიც მავნებლური საქმიანობა იყო გაჩაღებული, რომელიც მხოლოდ მას ესმოდა ან კიდევ იმ ვულგარულ კომფორტს, რომელიც მის აბსტრაქტულ სამყაროში სრულიად უსარგებლო რამ იყო. მთელი რიგი ნივთების გამორიცხვის შემდეგ, რომლებ-

საც ბიჭი, შესაძლოა, შეეშინებინა ან შეურაცხყოფა მიეყენებინა (მაგალითად, ტაბუ ედო ყველაფერს, რაც გაჯეტების კატეგორიას მიეკუთვნებოდა), ბიჭის მშობლებმა გემრიელი და უწყინარი წვრილმანი შეარჩიეს: კალათა, რომელიც ათ პანანინა ქილაში მოთავსებული ათი სხვადასხვა სახის მარმელადით იყო სავსე.

ბიჭი რომ დაიბადა, ისინი უკვე დიდი ხნის დაქორწინებული იყვნენ; მას შემდეგ ათეულმა წელმა განვლო და ახლა ისინი უკვე საკმაოდ ხანდაზმულები იყვნენ; მაგრამ ქალს თავისი გახუებული ჭალარა თმა საგულდაგულოდ დაევარცხნა; ტანზე იაფფასიანი შავი კაბა ეცვა. მისი ასაკის სხვა ქალებისგან განსხვავებით (მაგალითად, მისი კარის მეზობელი, მისის სოლი, ფერუმარილისგან

სახე სულ მთლად წითელ-იისფრად რომ ულაპლაპებდა, ხოლო მისი ქუდი ნამდვილი მინდვრის ყვავილების თაიგული იყო), ქალი შიშველ თეთრ პირისახეს გაზაფხულის დღეების დაუნდობელ შუქს არ არიდებდა. მის ქმარი, რომელიც თავის ქვეყანაში საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენი გახლდათ, ახლა მთლიანად თავის ძმაზე, თითქმის ორმოცი წლის სტაჟის მქონე ნამდვილ ამერიკელზე, აიზეკზე იყო დამოკიდებული. ცოლ-ქმარი მას იშვიათად ხედავდა და მეტსახელად „პრინცი“ შეარქვა.

ის პარასკევი თარსი გამოდგა. მინისქვეშა მატარებელს ორ სადგურს

შორის დენი გაეთიშა და ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში მგზავრებს მხოლოდ საკუთარი დამჯერი გულისცემა და გაზეთების შრიალი ესმოდათ. ავტობუსმა, რომელზეც უნდა გადამჯდარიყვნენ, მთელი საუკუნე ალოდინათ და როცა გამოჩნდა, გაუთავებლად მოლაყბე საშუალო სკოლის მოსწავლეებით იყო გადატენილი. სანატორიუმისკენ მიმავალ ყავისფერ ბილიკს რომ შეუყვანენ, ძლიერმა წვიმამ დასცხო. შემდეგ ისევ ცდა მოუწიათ; და თავიანთი ბიჭის ნაცვლად, რომელიც ოთახში, როგორც წესი, ფეხების ფრატუნით შემოდოდა (საბრალოს სახე მუნუკებით ჰქონდა დაფარული, გაუპარსავი, პირქუში და დაბნეული იყო), ბოლოს მედდა გამოეცხადათ (ვისაც კარგად იცნობდნენ და ვის მიმართაც გულგრილნი იყვნენ), რომელმაც მათ მხიარულად მოახსენა, რომ მათმა შვილმა თვითმკვლელობა კიდევ ერთხელ სცადა. მისი თქმით, ბიჭი ახლა თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ მათ ვიზიტს, შესაძლოა, შეენუხებინა. იმ დაწესებულებაში არც პერსონალი ჰყავდათ საკმარისი ან სულ რაღაცას კარგავდნენ, ან სულ რაღაცები ერეოდათ; ამიტომ, მშობლებმა გადაწყვიტეს, საჩუქარი, ოფისში დატოვების ნაცვლად, შემდეგ მოსვლაზე მოეტანათ.

ქალმა დაიცადა, სანამ მისი ქმარი ქოლგას გაშლიდა და შემდეგ მას ხელკავი გამოსდო. ქმარმა ყელი რამდენჯერმე განსაკუთრებით ხმამაღალი ამოხველებით გაინმინდა, ისე, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა რაღაც ანუხებდა. ქუჩის მეორე მხარეს რომ გადავიდნენ და თავი ავტობუსის გაჩერებას შეაფარეს, ქმარმა ქოლგა დაკეცა. მათგან რამდენიმე ფუტის მოშორებით, ხის ქვეშ, ქარი რომ არხევდა და

წყალი წვეთებად სდიოდა, ჯერ კიდევ ცოცხალი, შეუბუმბლავი ჩიტი გუბეში უმწეოდ ფართხალებდა.

მეტროს სადგურამდე მიმავალი გრძელი გზა ცოლ-ქმარმა სრულ მდუმარებაში გაიარა და ქმრის დამჭუნარი ხელების (დაბერილი ვენების, ყავისფერი ლაქებიანი კანის) ყოველ შეხედვაზე, ქოლგის სახელურს რომ ჩაფრენოდა და უთრთოდა, ცოლი ტირილს ძლივს იკავებდა. ქალმა ირგვლივ მიმოიხედა, უნდოდა გონება სხვა რამეზე გადაეტანა და შეამჩნია, რომ ერთ-ერთ მგზავრს, მუქთმიან გოგოს, ჭუჭყიანი ფეხის ფრჩხილები რომ ჰქონდა, თავი მოხუცებული ქალის მხარზე ჩამოედო და ტიროდა. ამის დანახვაზე ქალს მსუბუქი შოკისმაგვარი და ერთდროულად თანაგრძნობისა და გაოცების შეგრძნება დაეუფლა. ვის ჰგავდა ქალი? – რეზეკა ბორისოვნას, ვისი ქალიშვილიც რამდენიმე წლის წინ მინსკში ცოლად ერთ-ერთ სოლოვეიჩიკს გაჰყვა.

ბოლოს, როცა ბიჭი ამის გაკეთებას შეეცადა, მის მიერ გამოყენებული მეთოდი, ექიმის სიტყვებით, გამომგონებლობის შედეგად იყო; და შეძლებდა კიდევ საქმის ბოლომდე მიყვანას, თანაპალატელს ეჭვი რომ არ გასჩენოდა, რომელსაც ეგონა, რომ ბიჭი ფრენას სწავლობდა და შეაჩერა. სინამდვილეში, ბიჭს მხოლოდ ერთი რამ სურდა, თავისი სამყარო გაერღვია და გაქცეულიყო.

მის ბოდვების სისტემას ყოველთვის სამეცნიერო გამოცემაში ვრცელი ნაშრომი მიეძღვნა, თუმცა, იქამდე კარგა ხნით ადრე ცოლ-ქმარი მასში თავად გაერკვნენ. „ხსენებითი მანია“<sup>1</sup> – ასე უწოდა მას ჰერმან ბრინკმა. მსგავს, ერთობ იშვიათ შემთხვევებში, პაციენტის წარმოდგენაში ყველაფერი,

<sup>1</sup> ხსენებითი მანია – ავტორის მიერ გამოგონილი ტერმინი. ის, სავარაუდოდ, გულისხმობს ფსიქიკური (პარანოიდული) აშლილობის განსაკუთრებული ფორმას – დამოკიდებულების ბოდვას. დამოკიდებულების ბოდვითი იდეების არსებობისას პაციენტი ობიექტებს, მოვლენებს ან ადამიანებს, რომელთაც მასთან არანაირი კავშირი არ აქვთ, უკავშირებს საკუთარ თავს. მაგ., პაციენტს შეიძლება სჯეროდეს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია ან ტელევიზიით გაკეთებული განცხადება უშუალოდ მას ეხება, ან თავად მას ატყობინებს რაიმეს, ან სხვებს აწვდის ინფორმაციას მის შესახებ.

რაც მის ირგვლივ ხდება, არის დაფარული მინიშნება მის პიროვნებაზე და არსებობაზე. ის ამ კონსპირაციიდან გამორიცხავს რეალურ ადამიანებს, რადგან მას საკუთარი თავი სხვებზე გაცილებით უფრო ჭკვიანი ჰგონია. სადაც არ უნდა წავიდეს, მას ბუნების მოვლენები ყველგან აჩრდილივით თან სდევნენ. ღრუბლები ვარსკვლავებით მოჭედდებიან ცაზე მის შესახებ ერთმანეთს ნელი ნიშნების საშუალებით და უფერებლად დეტალურ ინფორმაციას გადასცემენ. როგორც კი შებინდდება, ხეები, რომლებიც საიდუმლო ფესტების ენას ფლობენ, ბიჭის იდუმალი ფიქრების შესახებ ფიზიკური ანბანის საშუალებით მსჯელობენ. თითოეული კენჭი, ლაქა, მზის ათინათი – ეს ყველაფერი ის გამოსახულებები და ის საშინელი გზავნილებია, რომლებიც მხოლოდ მან უნდა მიიღოს. ყველაფერი კოდი და ყველაფრის საგანი ის არის თავად. ზოგიერთი ჯამში გარეშე დამკვირვებელი გახლავთ – ასეთებია მინის ზედაპირები და უძრავი გუბურები; სხვები, მაგალითად, მაღაზიების ვიტრინებში გამოკიდებული პალტოები – მიკერძობული მონმეები, გულის სიღრმეში ლინჩის წესის აღმსრულებლები; დანარჩენებს (გამდინარე წყალი, ქარიშხლები), სიგიჟის ზღვრამდე ისტერიულებს, დამახინჯებული წარმოდგენა აქვთ მასზე და გროტესკულად განმარტავენ მის ყველა ქმედებას. ის მუდამ ფხიზლად უნდა იყოს და ცხოვრების ყოველი წუთი და წამი უნდა მიუძღვნას საგნების ვიბრაციის გაშიფვრას. თვით ჰაერიც, რომელსაც ის ამოისუნთქავს, ინომრება და არქივში ინახება. ნეტავ მისი ინტერესები მხოლოდ მისი უშუალო გარემოთი იყოს შემოფარგლული – ვაი, რომ ეს ასე არ არის! მანძილთან ერთად, ველური ცილისნამების ნაკადები იზრდებიან და ხდებიან უფრო ხმამაღალი და სიტყვამრავალი. მილიონჯერ გადიდებული მისი სისხლის ბურთულების აჩრდილები მოივლიან ვრცელ დაბლობებს; და კიდევ უფრო შორს ჯოჯოხეთური სიმტკიცისა

და სიმაღლის აზიდული მწვერვალები გრანიტის და მკვნესარე ნაძვების ენაზე აჯამებენ ელემენტარულ ჭეშმარიტებას მისი ყოფერების შესახებ.

||

მეტროს გრუხუნსა და აშმორებულ ჰაერს თავი რომ დააღწიოს, დღის სინათლის უკანასკნელი ნარჩენები უკვე ქუჩის განათებაში იყო შთანთქმული. ცოლს ვახშმისთვის თევზის ყიდვა უნდოდა, ამიტომ მარმელადის ქილებიანი კალათა ქმარს მიაჩერა და უთხრა, სახლში წასულიყო. ქმარი მესამე სართულზე ავიდა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ დილით თავისი გასაღები ცოლს მისცა.

როცა ათი წუთის შემდეგ ცოლი დაბრუნდა, ქმარი, კიბის საფეხურებზე ჩუმად ჩამომჯდარი, ისევე ჩუმად წამოდგა; ცოლი მძიმე ნაბიჯებით კიბეზე ამოდიოდა და ბაგეზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილით და თავის ქნევით თავის სულელურ საქციელს კიცხავდა. ისინი თავიანთ ოროთახიან ბინაში შევიდნენ და ქმარმა იმნამსვე სარკეს მიაშურა; მან ცერის თითებით პირის კუთხეები განზე გაჭიმა, საშინელი ნიღბისმაგვარი გრიმასით პირიდან მისი საშინლად მოუხერხებელი კბილის პროთეზი გამოიღო და მას პირიდან გამოყოლილი ნერწყვის გრძელი ეშვები მოაცილა. სანამ ცოლი სუფრას შლიდა, ქმარი რუსულენოვან გაზეთს კითხულობდა; კითხვაში გართული ქმარი იმ უფერულ საჭმელს შეექცეოდა, კბილები რომ არ სჭირდებოდა. ცოლიც, იცოდა რა ქმრის ხასიათი, ჩუმად იყო.

როცა ქმარი დასაძინებლად წავიდა, ცოლი თავის ბანქოს ბინძური ქალღმების დასტასთან და ძველი ფოტოების ალბომთან ერთად სასტუმრო ოთახში დარჩა. ვინრო ეზოს მეორე მხარეს, სადაც ღამის სიბნელეში წვიმა დაჭყლეთილ საფერფლებზე წკაპუნით ეცემოდა, მკრთალად განათებულ ერთ-ერთ ფანჯარაში აულაგებელ სანოლზე გულაღმა გამოტილი და თავექვეშეშველ იდაყვებამოდებული, შავშარვლი-

ნი მამაკაცი გამოჩნდა. ცოლმა დარაბა ჩამოსწია და ფოტოების თვალიერება განაგრძო. ბიჭს ბავშვობის ასაკში, სხვა ბევრ თავის თანატოლთან შედარებით, უფრო გაკვირვებული გამომეტყველება აქვს. ალბომიდან, ლაიფციგში რომ ჰყავდათ, იმ გერმანელი მოახლის და მისი მსუქან სახიანი საქმროს ფოტო გადმოვარდა. მინსკი, რევოლუცია, ლაიფციგი, ბერლინი, ლაიფციგი, ფოკუსიდან ამოვარდნილი დაქანებული სახლის ფასადი. ოთხი წლის, პარკში: მონყენილი, შეშინებული, კოპებმეკრული, ზურგი შეუქცევია ცნობისმოყვარე ციყვისთვის; ანალოგიურად ეპყრობოდა სხვა ნებისმიერ უცხოსაც. დეიდა როზა – მოუსვენარი, ბუზღუნა ქალბატონი შემლილი გამომეტყველებით, რომელიც ცხოვრობდა ცუდი ამბების, გაკოტრებების, სარკინიგზო ავარიების, ავთვისებიანი სიმსივნეების მღელვარე ეპოქაში – იქამდე, სანამ მას გერმანელები სიკვდილით არ დასჯიდნენ ყველა იმ ადამიანთან ერთად, რომლებზეც ის წუხდა. ექვსი წლის ასაკში – ეს მაშინ იყო, როცა ბიჭი ხატავდა მშვენიერ ჩიტებს ადამიანის ხელებითა და ფეხებით და უძილობისგან იტანჯებოდა ზრდასრული ადამიანივით. მისი ბიძაშვილი, ამჟამად ცნობილი მოჭადრაკე. ისევე ბიჭი, დაახლოებით რვა წლის ასაკში, როცა უკვე ძნელი იყო მისი გაგება; ეშინოდა დერეფანში გაკრული შპალერის, ეშინოდა წიგნის კონკრეტული ილუსტრაციის, რომელზეც ჩვეულებრივი იდეალური პეიზაჟი იყო გამოსახული კლდიანი მთის ფერდობებით და უფოთლო ხის ტოტზე ჩამოკიდებული ძველი ურმის თვლით. ათი წლის ასაკში: ეს ის წელია, ევროპა რომ დატოვეს. სირცხვილი, შებრალება, დამამცირებელი სირთულეები, მახინჯი, მავნე, ჩამორჩენილი ბავშვები, ვისთან ერთადაც ის იმ სპეციალურ სკოლაში სწავლობდა. შემდეგ კი მის ცხოვრებაში დადგა დრო, რომელიც პნევმონიიდან ხანგრძლივი გამოჯანმრთელების პერიოდს დაემთხვა, როდესაც ის უმნიშვნელო ფობიები, რომლებიც მის

მშობლების ჯიუტი მტკიცებით, მხოლოდ დაუჯერებლად ნიჭიერი ბავშვის ექსცენტრიულობები იყო და მეტი არაფერი, ლოგიკურად ურთიერთდამოკიდებული ილუზიების ხლართში გაიჭედა, რის შედეგადაც ის ნორმალურად მოაზროვნე ადამიანებისთვის სრულიად მიუწვდომელი გახდა.

მან აიტანა ესეც და ბევრი სხვა რამეც – რამეთუ, ბოლოს და ბოლოს, ყოველი სიცოცხლე ერთი სიხარულის მეორე სიხარულის მიყოლებით დაკარგვასთან შეგუებაა; მის შემთხვევაში, სიხარულისაც არა – უბრალოდ გაუმჯობესების შესაძლებლობების. ქალი ფიქრობდა ტკივილის იმ უსასრულო ტალღებზე, რომლებიც, გაურკვეველ მიზეზთა გამო, მას და მის ქმარს უნდა აეტანათ; იმ უჩინარ გოლიათებზე, მის ბიჭს წარმოუდგენელ ტკივილს რომ აყენებდნენ; იმ აუნონავ სინაზეზე, ამ სამყაროში რომ არსებობდა; იმ სინაზის ხვედრზე, რომელიც ან ნადგურდება, ან ფუჭად იხარჯება, ან სიგიჟედ გარდაიქმნება; იმ მიტოვებულ ბავშვებზე, დანაგვიანებულ კუთხეებში თავისთვის რომ ღლინებენ; იმ მშვენიერ სარეველა ბალახებზე, გლესს რომ ვერსად დამალვიან და იძულებულნი არიან, უმწეოდ ადევნონ თვალი, როგორ ტოვებს ჯოჯოხეთურ სიბნელეში მაიმუნის მსგავსი კუზიანის აჩრდილი მის კვალდაკვალ გათელილ ყვავილებს.

III

შუალამე იქნებოდა გადაცილებული, სასტუმრო ოთახიდან ქმრის კვნესა რომ შემოესმა და ცოტა ხანში ოთახში კიდევ შემობარბაცდა; პიჟამოს ზევიდან ძველი შინელი ეცვა ასტრახანული საყელოთი, რომელიც მას მის ლამაზ ცისფერ საბანაო ხალათს ერჩინა.

„ვერ ვიძინებ!“ – ყვირილით წარმოთქვა ქმარმა.

„რატომ?“ – ჰკითხა ცოლმა. – „რატომ ვერ იძინებ? თითქოს დაღლილი იყავი“.

„ვერ ვიძინებ იმიტომ, რომ ვკვდები!“ – მიუგო ქმარმა და დივანზე წამოწვა.

„ისევ შენი მუცელი? გინდა, ექიმ სოლოვს დაუქაბო?“

„არავითარი ექიმები, არავითარი ექიმები...“ – ამოიკვნესა ქმარმა. – „ემ-მაკსაც ნაუღია ექიმები! ბიჭი იქიდან სასწრაფოდ უნდა გამოვიყვანოთ. წინა-აღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლები ვიქნებით. პასუხისმგებლები!“ – გაიმეორა მან და უცებ დივანზე წამოვარდა, ორივე ფეხი იატაკზე დააწყო და შეკრული მუშტი შუბლში შემოირტყა.

„კარგი“, – ჩუმად თქვა ცოლმა, – „ხვალ დილით მას სახლში წამოვიყვანთ!“

„ჩაი მინდა,“ – თქვა ქმარმა და სააბაზანოსკენ წავიდა.

ცოლი რის ვაივაგლახით დაიხარა და დივნიდან იატაკზე ჩამოსრიალებული ბანქოს ქალაღდები და ორი თუ სამი ფოტო აკრიფა: გულის ვალეტი, ყვავის ცხრიანი, ყვავის ტუზი, ელზა და მისი პირუტყვი კავალერი. ქმარი სააბაზანოდან კარგ ხასიათზე დაბრუნდა და ხმამაღლა გამოაცხადა:

„ყველაფერი მოვიფიქრე. ჩვენ მას საწოლ ოთახს დავუთმობთ. ჩვენ კი ღამეს ხან მასთან ახლოს და ხანაც ამ დივანზე გავატარებთ. რიგრიგობით. მინიმუმ კვირაში ორჯერ მას ექიმს გავასინჯინებთ. რა მნიშვნელობა აქვს, პრინცი რას იტყვის. ნებისმიერ შემთხვევაში, მას სათქმელი ბევრი არაფერი ექნება იმიტომ, რომ ასე უფრო იაფი გამოვა“.

ტელეფონმა დარეკა. ასეთ დროს ტელეფონის ზარი მათთვის უჩვეულო იყო. ქმარს მარცხენა ფეხიდან ფლოსტი გასძვრა; შუა ოთახში იდგა და ფეხის ქუსლითა და თითებით ფლოსტს ეძებდა; ბავშვივით უკბილო პირი დაელო და ცოლს მიშტერებოდა. ცოლმა ქმარზე მეტი ინგლისური იცოდა, ამიტომ ტელეფონის ზარებს თავად პასუხობდა.

„თუ შეიძლება, ჩარლი დამალაპარაკეთ!“ – გაისმა გოგონას ჩუმი, მოწყენილი ხმა.

„რა ნომერზე რეკავთ? არა. ნომერი შეგეშალათ!“

ყურმილი აპარატზე ნაზად დაემკვა. ქალმა ხელი თავისი ბებერი, დაღლილი გულისკენ წაიღო. ქმარმა მოკლე ღიმილი შეაგება და წამსვე თავის ალტაცებულ მონოლოგს დაუბრუნდა. გათენდება თუ არა, ბიჭს იქიდან წამოიყვანენ. დანები დაკეტილ კარადაში უნდა შეინახონ. ყველაზე ცუდ დროსაც კი ის სხვა ადამიანებისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

ტელეფონმა მეორედ დარეკა. იგივე მონოტონურმა, შენუხებულმა ახალგაზრდა ხმამ ჩარლი იკითხა.

„არასწორი ნომერი გაქვთ. გეტყვით, რასაც აკეთებთ: თქვენ ნულის ნაცვლად ასო O-ს კრეფთ.“

შუალამის სახელდახელო საზეიმო ჩაის მიუსხდნენ. მაგიდაზე დაბადების დღის საჩუქარი იდო. ქმარი ჩაის ხმაურით ხვრეპდა; სახე წამოსწითლებოდა; დროდადრო მაღლა აწეულ ჩაის ჭიქას ატრიალებდა, თითქოს ცდილობდა შაქრის გადნობა დაეჩქარებინა. მელოტი თავის საფეთქელზე, უზარმაზარი ხალის გვერდით, ვენა შესამჩნევად გამობერვოდა და, თუმცა წვერი ჯერ კიდევ დილით გაეპარსა, ნიკაპზე ვერცხლისფერი ბალანი ემჩნეოდა. სანამ ცოლი კიდევ ერთ ჭიქა ჩაის უსხამდა, სათვალე გაიკეთა და ბრჭყვიალა ყვითელ, მწვანე და წითელ ქილებს კიდევ ერთხელ სიამოვნებით ათვალეიერებდა. მისი მოუქნელი სველი ტუჩები ქილების მაღალფარდოვან ეტიკეტებს ასო-ასო მარცვლავდა: გარგარი, ყურძენი, ზღვის ქლიავი, კომში. ის-ის იყო ველურ ვაშლამდე მიანდნია, რომ ტელეფონმა ისევ დარეკა.

თარგმნა

**ზურაბ სონღულაშვილმა**